ფუძეძლიანურული ბლიკცია

ნინო სეფლოფლია

შუამდინარეული გლიპტიკა

IVANE JAVAKHISHVILI
TBILISI STATE UNIVERSITY

NINO SAMSONIA

MESOPOTAMIAN GLYPTIC

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნინო სამსონია

შუამდინარული გლიპტიკა

წინამდებარე ნაშრომში – „შუამდინარული გლიპტიკა“ – წარმოჩენილია გლიპტიკის ხელოვნების განვითარების ოთხი ეტაპი, რაც ძირითადად შუამდინარული ნიმუშებითაა წარმოდგენილი.

ავტორი განიხილავს ცილინდრული საბეჭდავების უძველეს ნიმუშებს, რომელთა იკონოგრაფიაზეც არის დაფუძნებული ბაბილონისა და ასურეთის სახვითი ხელოვნება.

ნაშრომი ეყრდნობა ძველი ახლო აღმოსავლეთის სფეროში არსებულ უახლეს გამოკვლევებს.

განკუთვნილია აღმოსავლეთმცოდნეების, ისტორიკოსების, ფილოლოგების და ასევე აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

რედაქტორი პროფ. ზურაბ კიკნაძე

რეცენზენტები: პროფ. ჯემალ შარაშენიძე
პროფ. ეკა ავალიანი

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008

ISBN 978-9941-13-035-9

შინაარსი

შესავალი	7
ურუქის და ჯემდეთ-ნასრის პერიოდები	27
ადრედინასტიური ხანის ცილინდრები	40
აქადური და პოსტ-აქადური პერიოდები	60
ურის III დინასტიის გლიპტიკა	94
ისინ-ლარსას პერიოდი	106
ძველბაბილონური პერიოდის გლიპტიკა	109
ძველბაბილონური პერიოდის ღვთაებები	126
ძველბაბილონური სტილის გავლენები	133
სირია და პალესტინა	137
ირანი	144
ანატოლია	148
სამეფო და დინასტიური საბეჭდავები	150
ღვთაებათა საბეჭდავები	161

შესავალი

გლიპტიკის ხელოვნება სათავეს იღებს შუამდინარეთში, რაც წარმოდგენილია რბილ (ნახევრად ძვირფას) ქვებზე გამოკვეთილი საბეჭდავების სახით. უძველესი მესოპოტამიური საბეჭდავები ცილინდრული ფორმისაა, საიდანაც მიიღო სახელწოდება – ცილინდრული. ასევე ცნობილია კონუსის ფორმის ე.წ. კონუსური საბეჭდავები. ცილინდრის ფორმა განაპირობა ხმარების წესმა, რომ კარგად გადატრიალებულიყო ფირფიტაზე და დაეტოვებინა სასურველი ანაბეჭდი. შუამდინარეთში გლიპტიკის ხელოვნების ნიმუშები მოგვეპოვება ჯერ კიდევ ურუქის პერიოდიდან, როდესაც ლურსმული დამწერლობა არ იყო შექმნილი.

მესოპოტამიაში და, საერთოდ, ძველ ახლო აღმოსავლეთში საბეჭდავები გამოკვეთილია სხვადასხვა ტიპისა და ფორმის ქვებისაგან, როგორც ინტალიო, რათა კარგად აღბეჭდილიყო თიხაზე – ქონების ფლობის დადასტურება ან დოკუმენტის ავთენტურობა. თუმცა, უფრო მეტად, საბეჭდავს თილისმის ფუნქცია ჰქონდა – მას უნდა დაეცვა მფლობელი და მისთვის ბედნიერება მოეტანა. საბეჭდავები გამიზნული იყო სატარებლად. ამიტომაც მათი უმრავლესობა მცირე ზომისაა – დაახლოებით ორმოციდან ოც მილიმეტრამდე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის ძველი ახლო აღმოსავლეთის გადარჩენილი ხელოვნების ძირითად ნაწილს წარმოადგენს.

მესოპოტამიაში საბეჭდავები, გარკვეულწილად, იქმნებოდა სატარებლად, რომელსაც ჰქონდა მოხერხებელი ფორმა და დიზაინი. მათი უმრავლესობა გახვრეტილია ან ყულფი აქვს მიმაგრებული. საბეჭდავები ძალიან მჭიდროდ იყო დაკავშირებული მფლობელთან და ითვლებოდა, რომ მფლობელის პიროვნების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა.[1]

---

[1] Ancient Art in Seals, Princeton, New Jersey, p. 5-20.

საბეჭდავების იკონოგრაფია ძირითადად სამ თემად შეიძლება დაიყოს: პაექრობები, რიტუალები და მითოლოგიური სცენები. კომპოზიციის ყოველი დეტალი მიმართულია ერთი მიზნისაკენ – ზუსტად გადმოგვცეს ამბავი; ხშირად აშკარაა დედააზრი – სრულიად გასაგები ფაქტები კარგად ცნობილი მითოლოგიური ტექსტებისა, რომლებიც ზუსტად შეესაბამება საბეჭდავების გამოსახულებებს.

საბეჭდავების კვეთის განვითარების ძირითადი ეტაპები მესოპოტამიაში

საბეჭდავების კვეთის, ანუ გლიპტიკის ხელოვნების განვითარება მესოპოტამიაში შეიძლება დაიყოს ექვს ძირითად ეტაპად.

პირველი ეტაპი ემთხვევა მესოპოტამიური ცივილიზაციის შექმნას ძვ.წ.აღ. IV ათასწლეულის ბოლოს. სწორედ ამ დროს განისაზღვრა საბეჭდავების იკონოგრაფიის ფორმები, ჩრდილები და ორნამენტის ხვეულები. შეიქმნა კომპოზიციური სქემა და საყრდენი ფიგურები, რაც შენარჩუნდა მესოპოტამიური ხელოვნების ისტორიის მთელ მანძილზე.

პირველი ეტაპის სტილი პრიმიტიულად რეალისტურია. ფიგურები გამოსახულია ისე, როგორც მას ხელოვანი ხედავდა და ხშირად გასაოცრად ბუნებრივ მდგომარეობაში. ესაა ე. წ. ჯემდეთ-ნასრის ცილინდრები, რომლებიც უხეშადაა შესრულებული მექანიკური ბურღით. გათხრებმა დაადასტურა, რომ ეს საბეჭდავები ე.წ. ურუქის სტილის საბეჭდავების თანამედროვეა. ურუქის სტილი უნდა მომდინარეობდეს მესოპოტამიის გარე რაიონებიდან, მაგალითად, ჰაბუბა ქაბირადან, რომელიც თარიღდება დაახლ. ძვ.წ.აღ. 3200 წ. ურუქის პერიოდის კულტურა ვრცელდებოდა მესოპოტამიის საზღვრებს გარეთაც. ამის დამადასტურებელი მასალა აღმოჩნდა 1969-1975 წ.წ. სირიაში გათხრებისას, რაც უფრო ადრეული უნდა იყოს, ვიდრე ურუქის კულტურა გადავიდოდა ჯემდეთ-ნასრის პერიოდში.[1] ურუქისა და ჯემდეთ-ნასრის სტილს შორის მკაფიო გამიჯვნა

[1] Ancient Art in Seals, Princeton, New Jersey, p. 6.

აღარ არსებობს, ხოლო ახალი ქრონოლოგიური დიფერენციაციები ჯერჯერობით დაუდგენელია.

შემდეგი მნიშვნელოვანი ეტაპია ძვ.წ.აღ. III ათასწლეულის ადრეული ხანა – ე. წ. ადრედინასტიური პერიოდი. საბეჭდავების მჭრელები იყენებდნენ აბსტრაქტულ, ხაზოვან სტილს. ამ პერიოდის მთავარი თემა იყო ცხოველთა ბრძოლის სცენები, რომლებიც ფრიზებად გამოსახული ჯოგებით და ფარებით იყო წარმოდგენილი. ამ ფრიზებში ფიგურების თავები განლაგებულია ერთ დონეზე. ფიგურები გადაგრეხილია ერთმანეთში და იხრება ისე, როგორც კომპოზიცია მოითხოვს. I ადრედინასტიური პერიოდის გლიპტიკის სტილებს შორის პროფ. ფრანკფორტი უპირატესობას ანიჭებს დეკორატიულ, მოგრძო, თხელ საბეჭდავებს და უწოდებს მათ „ფარჩისებრ სტილს". ეს სტილი განსაკუთრებით გავრცელებული იყო დიალას რეგიონში. მკვლევარი ასევე აღნიშნავს, რომ ქ. ურის სამეფო სამარხების ცილინდრული საბეჭდავების ანაბეჭდების დიდი რაოდენობა მიეკუთვნება პირველ ადრედინასტიურ პერიოდს. ეს ფაქტი დასტურდება ანაბეჭდებზე გამოსახული ჩაქსოვილი გეომეტრიული ფორმებით, დამწერლობის ნიშნებით, ადამიანებისა და ცხოველების ფორმებით.[1] ამ მოსაზრებას იზიარებს პროფ. ე. პორადაც. მისი აზრით, ხსენებული საბეჭდავები უნდა ეკუთვნოდეს ადრედინასტიურ პერიოდს და წარმოადგენს ურუქის ხანის გლიპტიკის ხელოვნების მემკვიდრეობას.[2] პ. ამიემ[3] დაადგინა I ადრედინასტიურ პერიოდში ერთდროულად გავრცელებული გლიპტიკის არაერთი სტილი. არქეოლოგიურმა გათხრებმა ქ. ნიფურში და ფარაში (ძვ. შურუფაქი) განამტკიცა მოსაზრება I და III ადრედინასტიური პერიოდების ცილინდრულ საბეჭდავებსს შორის არსებული ქრონოლოგიური დაყოფისა.[4]

III ადრედინასტიური პერიოდის (ძვ.წ.აღ. 266-2400 წ.წ.) შესახებ

[1] Frankfort, "The New Contribution of the First Early Dynastic Period: the Brocade Style", Cylinder Seals, p. 39-43.
[2] E. Porada, "Chronologies in Old World Archaeology", AJA 72 (1968), p. 303.
[3] P. Amiet, "Gluptique mesopotamiaenne archaique", p. 111-116.
[4] Ancient Art in Seals, Princeton, New Jersey, p. 8.

ჰ. ნისენი ვარაუდობს, რომ ცილინდრული საბეჭდავები უნდა დაჯგუფდეს მფლობელთა სახელების მიხედვით, რომლებიც ისტორიული ფიგურები, ანუ მეფეთა ფიგურებია. მაგრამ ისეთი დიდი კოლექციები, როგორიცაა თუნდაც მორგანის ბიბლიოთეკის კოლექცია, ამგვარად ვერ დაჯგუფდება. სხვა მკვლევარები III ადრედინასტიურ პერიოდს ოლქების მიხედვით განიხილავენ: დიალას მხარე, ფარა და ურში სამხრეთი ცენტრით.[1]

III ადრედინასტიური ხანა სრულდება სარგონ აქადელით, რომელმაც მესოპოტამიის ქალაქ-სახელმწიფოები ცენტრალიზებულ იმპერიად გააერთიანა (ძვ.წ.აღ. 2335-2155 წ.წ.), თუმცა აქადური ხელოვნების სტილი და იკონოგრაფია ბევრად უფრო დიდი ხნის განმავლობაში იყო გავრცელებული მესოპოტამიაში და მის მოსაზღვრე ქვეყნებშიც. ასე იწყება გლიპტიკის განვითარების მესამე ეტაპი – აქადური პერიოდი, რომელიც ყველაზე საინტერესო ფაზაა საბეჭდავების იკონოგრაფიაში. ამ პერიოდის ხელოვანები წინა პერიოდის სტატიკურ, წარმოსახვით დიზაინს ცვლიან გამოსახვის დინამიკური მანერით. ისინი ამას აღწევენ რეალისტური მოდელების და სივრცის, ხშირად კი ფიგურების მკვეთრი მოძრაობების საშუალებით. უფრო მეტიც, ისინი წარმოგვიდგენენ მდიდარ მითოლოგიურ მასალას, რასაც მანამდე მეორეხარისხოვანი ადგილი ეჭირა საბეჭდავების დიზაინში. აქადური პერიოდის საბეჭდავებზე გამოსახული ფიგურები და მათი გამოსახვის ფორმა წარმოადგენდა ნიმუშს მომდევნო პერიოდის მესოპოტამიელი მხატვრებისთვის.

ჰ. ფრანკფორტმა პირველმა შეისწავლა საბეჭდავების თემები მითოლოგიური თვალსაზრისით, რაც, შემდგომში, შესაბამისი ლიტერატურული ტექსტებით დაასაბუთა შუმეროლოგმა ტ. იაკობსენმა.[2]

აქადური პერიოდის ცილინდრული საბეჭდავების იკონოგრაფია, წარწერები და ქრონოლოგია გამოკვლეულია ევროპელი მეცნიერების მიერ.[3]

[1] R. M. Boehmer, "Zur Glyptik zwischen Mesilim und Akkad-zeit (Early Dynastic III)" ZA , 1969, p. 261-294.

[2] Ancient Art in Seals, Princeton, New Jersey, p. 9.

[3] R. M. Boehmer, Die Entwicklung der Glyptik während der Akkad-Zeit (Unter-

აქადური პერიოდის საბეჭდავები შეიცავს მრავალ მითოლოგიურ მოტივს, რაც სხვადასხვა წყაროებიდან მომდინარეობს. ისინი ერთმანეთშია ჩაქსოვილი და გადმოცემულია ვიზუალური კომპოზიციებით. ჩვენ ხელთაა ასევე ზეპირსიტყვიერების ამსახველი ნიმუშებიც, რაც ცნობილი ლიტერატურული ტრადიცია იყო შუამდინარეთში.[1]

აქადური ე.წ. ადას საბეჭდავის ზომის გაზრდა ამ პერიოდის გლიპტიკის და მონუმენტური ხელოვნების ურთიერთკავშირზე უნდა მიანიშნებდეს. ეს და სხვა მრავალი საბეჭდავი გამოყენებულ იქნა ტაძრების მხატვრობის მთავარ კომპოზიციებში, რომელთა პირველწყაროც აქადური პერიოდის ცილინდრული საბეჭდავებია.[2] აქადური სტილის გავლენა მესოპოტამიურ ხელოვნებაზე ძვ.წ.აღ. II ათასწ. შუა ხანებამდე გაგრძელდა.

მომდევნო პერიოდში საგრძნობლად სუსტდება გლიპტიკის ხელოვნება. ეს გრძელდება ურის მესამე დინასტიიდან ძველბაბილონური პერიოდის დასასრულამდე (ძვ.წ.აღ. 2100-1600 წ.წ.). ისინლარსას პერიოდიდან ძველბაბილონურ ხანამდე ცილინდრული საბეჭდავების კლასიფიკაცია ხერხდება საბეჭდავების ანაბეჭდებით დათარიღებული ფირფიტების და იმ საბეჭდავების მიხედვით, რომელთა წარწერებიც დათარიღებულია. ძველბაბილონური სტილის საუკეთესო ანაბეჭდების ნიმუშები ეკუთვნის ხამურაბის ეპოქას (ძვ.წ. 1792-1750 წ.წ.), რომელთაც ვხვდებით ქ. სიფარში აღმოჩენილ ფირფიტებზე. ამ ნიმუშების სტილი ენათესავება მორგანის ბიბლიოთეკის ნიმუშების სტილს. მათზე გამოსახული ღვთაებათა ფიგურები მოკვდავთაგან განსხვავდება მხოლოდ რქიანი თავსაბურავით და სამეფო სამოსით.

ამავე პერიოდში მითანური (ძვ.წ.აღ. 1600-1350 წ.წ.) საბეჭდავ-

suchungen zür Assyriologie und vordersiatischen Archäoogie, v. 4, Berlin, 1965; D. O. Edzard, "Die Inschriften der altakakadischen Rollsielgel, "AOF XXII, 1968-69.

[1] A. L. Oppenheim, "Assyriology – Why and How?" Current Anthropology 1 (196). p. 414.

[2] Ancient Art in Seals, Princeton, New Jersey, p. 10.

ების ძველბაბილონურ სტილს ენაცვლება ახალი, სადაც უფრო თავისუფლად იხმარება საჭრელი ბურღი. თავს იჩენს სქემატური დიზაინი დემონებით, მონსტრებით, ფართოდ განლაგებული სცენებით, სადაც თაყვანისმცემლები ემსახურებიან თავიანთ ღვთაებებს.

ამ დროს გლიპტიკის ძირითადი ცენტრი ინაცვლებს ჩრდილოეთით, სადაც დასახლდა ახალი ეთნოსი, რომელმაც ახალი შთაგონება მოიტანა. აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან წამოსული სხვადასხვა იდეები მესოპოტამიურ კონცეფციებს შეერწყა. მოხდა ახალი თემების გათავისება. გაჩნდა ახალი კომპოზიციები. ამ ეკლექტიკურ სტილს მითანური ეწოდება.

ძვ.წ.აღ. XIV საუკუნის ასურელი ოსტატები ბაბილონურ სახასიათო დიზაინს მყარ, პლასტიკურ ნიმუშებად გარდაქმნიან. ხდება მესოპოტამიური საბეჭდავების კვეთის მეხუთე ეტაპზე გადასვლა. მიუხედავად იმისა, რომ ძვ.წ.აღ. X-VIIIსს. ასურეთში ცვლილება განიცადა გლიპტიკის სტილმა, ხოლო უცვლელი დარჩა ის ტრადიციები, რაც აერთიანებდა ასურელ და ბაბილონელ ხელოვანებს ძვ.წ.აღ. I ათასწლეულის მითანელ ოსტატებთან.

საუკეთესო მითანური ცილინდრული საბეჭდავები ხშირად მზადდებოდა ფერადი ქვებისაგან. ისევე, როგორც ძველბაბილონური სტილის საბეჭდავებისთვის, მასალად იყენებდნენ მარმარილოს, ჰემატიტს, კირქვას. მიუხედავად იმისა, რომ საბეჭდავთა უმეტესობა მზადდებოდა ქაშანურისგან, გაოცებას იწვევს ამ საბეჭდავებზე დამუშავებული დეტალების დახვეწილობა. მათი უმეტესობა მოჭიქული უნდა ყოფილიყო ღია ლურჯი ფერით, რისი ნაკვალევიც შემორჩენილია. დანარჩენებზე წარმოდგენილია ეგვიპტური, მუქი ლურჯი კომპოზიციები.

ქაშანურით დამზადებული ეს ცილინდრული საბეჭდავები მიჩნეულია, როგორც მითანური სტილი და აღმოჩენილია კვიპროსზე და ირანში არქეოლოგიური მასალის ფენებში, რომლებიც ძვ.წ.აღ. XV-XIV საუკუნეებს განეკუთვნება.[1]

მესოპოტამიის შემდეგ გლიპტიკის ყველაზე ხანგრძლივი

[1] Edith Porada, Ancient Art in Seals, Princeton, New Jersey, p. 11, 1947.

ტრადიცია ჰქონდა ირანს, განსაკუთრებით, მის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს, რომელიც ძველ მსოფლიოში ელამის სახელით იყო ცნობილი (დედაქალაქი – სუზა). ცილინდრების ძირითადი სტილი ქვეყნის ორსავე ნაწილში ერთი და იგივე იყო, თუმცა ისეთ დეტალს, როგორიცაა, მაგალითად, სამოსი ძირითადად ირანული იკონოგრაფია უდევს საფუძვლად. პ. ამიე არქაულს უწოდებს ცილინდრების იმ ნაწილს, რომელიც ადრინდელ ურბანულ პერიოდშია ნაწარმოები. ეს საბეჭდავები სუზადანაა.[1] აქ ვხვდებით ურუქის პერიოდის ადამიანთა ყოველდღიური ცხოვრებისა და საქმიანობისგან განსხვავებულ სცენებს. ელამურ გლიპტიკაში არის ცხოველებით წარმოდგენილი სცენები და სიმბოლური გამოსახულებები. პ. ამიეს მიერ შესწავლილია არქაული მესოპოტამიის გლიპტიკაც.[2] პროტოელამური სტილი, რომლისთვისაც დამახასიათებელია ცხოველთა მონაწილეობა ადამიანის საქმიანობაში, მოგვიანებით მესოპოტამიის ხელოვნებაშიც გავრცელდა, მაგრამ მყარად ვერ მოიკიდა ფეხი.

გლიპტიკის ხელოვნების ბოლო ეტაპი მთლიანად აქემენიდურია. ეს ეტაპი იწყება ძვ.წ.აღ. VI საუკუნის ბოლოდან და გრძელდება ძვ.წ.აღ. IV საუკუნემდე. მიუხედავად მათი ირანული წარმოშობისა, ამ საბეჭდავებში ჩანს მესოპოტამიური ტრადიციებიც, რაც ძველი ახლო აღმოსავლეთის გლიპტიკის ხელოვნების უკანასკნელ ფაზას წარმოადგენს.

ჩვენს ნაშრომში წარმოდგენილია მესოპოტამიური გლიპტიკის ხელოვნების წარმოშობისა და განვითარების ისტორია ძველბაბილონური პერიოდის ჩათვლით (ძვ.წ.აღ. II ათასწ. I ნახევარი).

საბეჭდავების ხმარებისა და დამზადების წესი

ძველი ახლო აღმოსავლეთის ყოველდღიურ საქმიანობასა და ცხოვრებაში შესაღწევად ცილინდრული საბეჭდავები წარმოადგენდა უნიკალურ მასალას. ეს ტენდენცია განსაკუთრებით თვალსა-

[1] P. Amiet, Gliptique Susienne, Arts Asiatiques XXVI , 1973.

[2] P. Amiet, Glyptique Mesopotamienne Archaique, 1980.

ჩინოა მესოპოტამიაში: ურუქის, ჯემდეთ-ნასრის და აქადურ პერიოდებში. საბეჭდავებზე ასახულია ყოფითი, ყოველდღიური საქმიანობები. მრავალი მათგანი დაკავშირებულია ნაყოფიერებასთან, რასაც, მათი წარმოდგენით, იღბალი უნდა მოეტანა. ამ საბეჭდავებზე წარმოდგენილი ღვთაებები და მითიური არსებებიც, გარკვეულ შემთხვევებში, ასევე ასრულებენ შესაბამისს საქმიანობებს.

სამარხებში ნაპოვნ ყველაზე ადრინდელ საბეჭდავებს, ცხოველების ფორმებით გამოსახულს, მფლობელისთვის თილისმის ფუნქცია ეკისრებოდა. ძველი ადამიანის სამყარო მოცული იყო ზებუნებრივი ძალების გავლენით, ხოლო მაგია იყო ყველაზე ეფექტური საშუალება ამ ძალების წინააღმდეგ საბრძოლველად. ნიშანდობლივია საბეჭდავების მაგიური ძალის ხარისხი ძველ ახლო აღმოსავლეთში. შედარებით გვიანი პერიოდის ტექსტი მოგვითხრობს, რომ სიზმარში საბეჭდავის დაკარგვა ბავშვის სიკვდილს მოასწავებდა. ამ ტექსტის გადაწერილი ვერსია ძვ.წ.აღ. I ათასწლეულს განეკუთვნება. ახალ ასურულ პერიოდში ნათლად არის ახსნილი ის მაგიური ძალები, რომლებიც საბეჭდავების ქვებს უკავშირდება:

• ჰემატიტის საბეჭდავი მოასწავებს, რომ კაცი დაკარგავს ყველაფერს, რაც მოუპოვებია.

• ლილაქვის საბეჭდავი მოასწავებს, რომ მის მფლობელს ექნება ძალა და ღმერთი დაიფარავს მას.

• მთის ბროლის საბეჭდავი მოასწავებს შემოსავლის გაზრდას.

• საბეჭდავი ZA. TU. UD. AS. მოასწავებს, რომ ის „ივლის გულის გასახარად".

• მწვანე მარმარილოს საბეჭდავი მოასწავებს, რომ სიკვდილამდე ბედნიერი იქნება.

• საბეჭდავი GUG მოასწავებს რომ მდევარი ვერ დაეწევა კაცის სხეულს.[1]

თილისმის ფუნქციის გარდა, საბეჭდავებს ამზადებდნენ ღმერთის სამსახურისთვისაც. მაგალითად, ასურეთის ერთ-ერთმა ბოლო

[1] Holly Pittman, Ancient Art In Miniature, The Metropolitan Museum of Art, New York, p. 10.

მეფემ, ასარხადონმა (ძვ.წ.აღ. 680-669 წ.წ.) ზაგროსის მთიანეთში ვასალ ქვეყანასთან ხელშეკრულება დაბეჭდა შუა ასურული საბეჭდავით, რომელიც ხუთი საუკუნით უფრო ადრინდელი იყო.

ათასწლეულის განმავლობაში საბეჭდავები ტაძრებისათვის იყო განკუთვნილი და ინახებოდა კედლებში ან საკურთხეველში. ზოგიერთ მათგანზე წარწერილია ლოცვა, ან მიძღვნა. ღვთაებათა პირადი საბეჭდავები ინახებოდა მათსავე საკულტო ტაძრებში.

საბეჭდავებზე ამოკვეთილი გამოსახულებები იდენტიფიცირდება კონკრეტულ პირებთან, ან ადამიანთა ჯგუფებთან, ასევე ახლად აღმოცენებული მესოპოტამიური სახელმწიფოს გადასახადებთან. ადმინისტრაციული სტრუქტურის ჩამოყალიბებას ძალიან მალე მოჰყვა დამწერლობის შექმნა. საბეჭდავების დამწერლობის განვითარებასთან მჭიდრო კავშირის არსებობაზე მეტყველებს საბეჭდავებზე ასახული ადრეული პერიოდის პიქტოგრაფიული ნიშნები, რომლებსაც საწერი ლერწმით გამოსახავდნენ თიხის ფირფიტებზე. დამწერლობის პირველი ეტაპი ასეთივე მჭიდრო კავშირშია საბეჭდავების ხმარებასთან სხვა ძველ კულტურებშიც, მაგალითად, ეგვიპტეში, ეგეოსისა და ჩინეთის ცივილიზაციებში.

მესოპოტამიური ლურსმული ტექსტების საშუალებით შეგვიძლია თვალი გადავავლოთ, თუ როგორ ხდებოდა საბეჭდავების კვეთა, მათი დამზადება, როგორი იყო სამუშაო პირობები, რა მასალა გამოიყენებოდა და რა ადგილი ეკავა საბეჭდავებს საზოგადოებაში. აქემენიდური ხანის ტექსტში ვკითხულობთ (ძვ.წ.აღ. 538-331 წ.წ.), რომ მონა, წლების მანძილზე, იყო საბეჭდავების ოსტატის შეგირდი. ფირფიტა ურიდან გვამცნობს, რომ ლაპიდარები (ქვის ოსტატები) და საბეჭდავების მჭრელები ერთად მუშაობდნენ ლითონზე, ხეზე, ტყავზე, თოკზე და ლერწამზე.[1] ურის საამქროში მასალად იყენებდნენ ისეთ რბილ ქვას, როგორიცაა ალებასტრი და ისეთ მაგარ ქვებსაც, როგორიცაა ლილაქვა და კვარცი. ლაპიდარები არა მარტო ჭრიდნენ, არამედ ფორმასაც აძლევდნენ და აპრიალებდნენ ქვას,

[1] Holly Pittman, Ancient Art In Miniature, The Metropolitan Museum of Art, New York, p. 14.

ქმნიდნენ ხელოვნურ მასალას. მათ შორისაა ქაშანური და შუშა.

საბეჭდავების შესაქმნელად ქვას ეძლეოდა ფორმა, იხვრიტებოდა ჩამოსაკიდად და, ბოლოს, იკვეთებოდა მისი დიზაინი. საბეჭდავის ხელით გაბურღვის ამსახველ სცენას პირველად ვხვდებით ეგვიპტური კედლის მხატვრობაში (ძვ.წ.აღ. 2345წ. – V დინასტია, ფიგ.I). XIX დინასტიის კედლის მხატვრობაში გამოსახულია კაცი, რომელიც ჰორიზონტალური მშვილდით ქაჩავს ბურღის ნაწილს. მშვილდისებრი ბურღი უფრო სწრაფი და ადვილად გამოსაყენებელი იარაღი იყო (ფიგ. II).[1]



I II

ბორბლის ღიობისებური სტილი, რომელიც III-I ათასწელულების განმავლობაში პერიოდულად ვრცელდებოდა ხოლმე, ადასტურებს საჭრელი ბორბლის არსებობას. ბორბალს შეაყენებდნენ ჰორიზონტალურ ხარიხაზე, რომელიც წრიულ ბრუნვაში მოჰყავდა მშვილდისებურ მოწყობილობას. საფიქრებელია, რომ საბეჭდავი ხელით მიჰქონდათ სადგომზე დაფიქსირებულ მშვილდისებურ მოწყობილობასთან.

სიმბოლური და ესთეტიკური დატვირთვის გარდა, ტექნოლოგიური შესაძლებლობების ზღვარი ნაკარნახევი იყო ქვის ტიპით. ძვ.წ.აღ. III ათასწლეულის შუა პერიოდამდე საბეჭდავების დასამზადებლად გამოიყენებოდა რბილი ქვები: ქლორიტი, სტეატიტი, სერპენტინი, მარმარილო, კირქვა და ალებასტრი, რომელთა დაჭრაც შესაძლებელი იყო ნებისმიერი მყარი იარაღით. შუა ბრინჯაოს ხანაში, ლითონის იარაღის შექმნის შემდეგ, ლაპიდარებმა ქვის სათლელი იარაღის დახმარებით (მათ შორის, კვარცისა და კორუნდის) შეძლეს უფრო მყარი ქვები დაემუშავებინათ და მათთვის საბეჭდავების ფორმა მიეცათ. ხშირად გამოიყენებოდა წითელი რკინაქვა, ხოლო გვიანი ბრინჯაოს და რკინის ხანებში უპირატესობა კვარცს ენიჭებოდა.

[1] Holly Pittman, Ancient Art In Miniature, The Metropolitan Museum of Art, New York, fig. 5. იხ. I – კედლის ქვის დეტალი ტაის სამარხის რელიეფიდან. ეგვიპტე, საქარა, V დინასტია (ძვ. წ. 2498-2345). Drawing after P. Newberry, Proceedings of the Society of Biblical Archaeology (December 1905). fig. 6. იხ. II – დეტალი რეხიმას, თოტმეს III-ის ვეზირის, სამარხის კედლის მხატვრობიდან (ძვ. წ. 1504-1450). XVIII დინასტია, თებეს ნეკროპოლისი, ეგვიპტე. Drawing after C. Wilkinson, Egiptian Wall Paintings: The Metropolitan Museum of Art's Collection of Facsimiles (New York, 1983).

თითქმის ყველა ქვა, რომელიც გამოიყენებოდა საბეჭდავების დასამზადებლად, გარედან შემოჰქონდათ მესოპოტამიაში. ზოგიერთი ქვის მოპოვება შესაძლებელი იყო ახლოს მდებარე მთიან რაიონებში; სხვა ქვები უფრო შორეული ადგილებიდან მოჰქონდათ. ლილაქვა – ღრმა ლურჯი ფერის ქვა, რომელსაც პატივს მიაგებდნენ მეფეები და ღმერთები, მოიპოვებოდა ჩრდილო-აღმოსავლეთ ავღანეთის ტერიტორიის საბადოებში.

შუმერების მიწისა და ნაყოფიერების ქალღმერთი ინანა მიწისქვეშა სამყაროში როდესაც ეშვებოდა, ლილაქვისგან დამზადებული ყელსაბამი და ბეჭედი ეკეთა, აგრეთვე ეჭირა მისგანვე დამზადებული კვერთხი. ლილაქვა იყო ის ქვა, რომელიც ურუქის მეფემ წმინდა ადგილების დასამშვენებლად შეარჩია. III ათასწლეულის მითში აღწერილია ადრეული შუმერების მეფე ენმერქარის ლოცვა ინანას წინაშე:

დაე მათ (არათას ხალხმა) ლამაზი ფორმა მისცენ ოქროსა (და) ვერცხლს,

დაე მათ ----- წმინდა ლილაქვა ქვის ფილიდან,

დაე მათ ----- ძვირფასი ქვა (და) წმინდა ლილაქვა; ....

წმინდა არურუ, სადაც შენ დაამკვიდრე (შენი) [სავანე],

არათას (ხალხმა) მოხდენილად მორთოს იგი.[1]

[1] Samuel Noah Kramer, Enmerkar and the Lord of Aratta [Philadelphia, 1952], p. 9.

საბეჭდავებზე ამოკვეთილი გამოსახულებები

საკუთარი იდეებისა და ემოციების გამოხატვა, რაც თანამედროვე ვიზუალურ და ხელოვნების სხვა დარგებს ახასიათებს, ნაკლებად ფასობდა ძველი ახლო აღმოსავლეთის ხალხებში. უფრო მეტიც, ვიზუალური გამოსახულებების ფუნქცია, უმეტესწილად, საზოგადოების პრინციპების წინ წამოწევას და მათ გამყარებას ემსახურებოდა. მისი საჯარო ხასიათის გამო მონუმენტური ხელოვნება ქმნიდა ვიზუალურ გარემოს, სადაც ეს მიმართულებები ყველაზე მკაფიოდ იყო ასახული. შენობების კედლებზე, ქვაში ამოკვეთილ მრგვალ და დაბალ რელიეფებზე გამოსახული სცენები, ასევე თიხის ფიგურები ასახავდა ურთიერთობებს ღმერთებს, მეფეებსა და კაცთა მოდგმას შორის. იცვლებოდა ურთიერთობები და, შესაბამისად, იცვლებოდა საზოგადოებრივი დანიშნულების გამოსახულებებიც. ასეთი მოდიფიკაცია სხვადასხვა ხარისხით გავლენას ახდენდა საბეჭდავებზეც.

მესოპოტამიის საზოგადოებაში საბეჭდავის უმთავრესი დანიშნულება იყო საკუთარი თავის, როგორც ინდივიდის, ან ჯგუფის წევრის იდენტიფიკაცია. ადრედინასტიური პერიოდის თითქმის შუა ხანებამდე ზოგიერთ საბეჭდავზე ამოტვიფრული იყო პირადი და ინსტიტუტების სახელწოდებები. საბეჭდავთა უმრავლესობა მხოლოდ გამოსახულებებით განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. საცნობი რომ ყოფილიყო, გამოსახულებას განსაკუთრებული დანიშნულება უნდა ჰქონოდა, რასაც განსაზღვრავდა მისი დამატებითი გამოყენება. საბეჭდავებზე წარმოდგენილი გამოსახულებები მრავალ სხვადასხვა წყაროდან მომდინარეობდა და, რა თქმა უნდა, დროთა განმავლობაში იცვლებოდა. არის პერიოდები, როცა ძალიან ცოტა მოტივია საბეჭდავების მჭრელების ნამუშევარში, თუმცა უამრავი მოტივი შეიძლება აღმოვაჩინოთ მონუმენტებზე. სხვა პერიოდებში საბეჭდავების გამოსახულებებს, როგორც ჩანს, უფრო ფართო იკონოგრაფიული მასშტაბები ჰქონდათ. ამ დროს იყენებდნენ როგორც საბეჭდავების ცნობილ სცენებს, ისე სხვა კარგად ნაცნობ უამრავ სცენასაც.

საბეჭდავების შესწავლით ჩვენ ბევრი რამ შეგვიძლია გავიგოთ

ძველი ახლო აღმოსავლეთის ხალხების შესახებ. საბეჭდავები ჩვენთვის სახვითი ხელოვნების ყველაზე უფრო სრულყოფილი თვალსაჩინოებაა, სადაც წარმოჩენილია ზოგიერთი უძველესი დროის ოსტატის ჭეშმარიტი შემოქმედებითი ნიჭი.[1]

ცილინდრული საბეჭდავების კოლექციები

არქეოლოგიური თვალსაზრისით საბეჭდავები არც ისე გამოსადეგი მასალაა დათარიღებისთვის. მათ ინახავდნენ, როგორც საგვარეულო ან დინასტიურ რელიკვიებად, ასევე იცავდნენ ტაძრის საგანძურში. ასე რომ, შესაძლოა, მათ გაცილებით დიდი ხნის მერე პოულობდნენ. არის შემთხვევები, როცა საბეჭდავები, რაღაც შემთხვევის გამო მოექცა თხრილში და, შესაბამისად, მოსალოდნელზე ბევრად უფრო ადრინდელ ფენებში მოხდა მათი აღმოჩენა. ძლიერ წვიმებსაც შეეძლო ჩამოეტანა ნანგრევებიდან, სადაც ათასწლეულების განმავლობაში ინახებოდა.

XIX ს-ში ბრიტანეთის მუზეუმმა, ლუვრმა და სხვა მუზეუმებმა დაიწყეს საბეჭდავების კოლექციების შექმნა. ყველაზე დიდი კოლექციები დაცულია ბრიტანეთის მუზეუმში და ლუვრში, პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში, აშმოლეის მუზეუმში ოქსფორდში, კოპენჰაგენის ნაციონალურ მუზეუმში, ჟენევის ხელოვნებისა და ისტორიის მუზეუმში, ფილადელფიის უნივერსიტეტის მუზეუმში, მეტროპოლიტენ მუზეუმში, ჩიკაგოს აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, სადაც ინახება დიალას რეგიონის საბეჭდავების ძირითადი ნაწილი (იხ. ლიტერატურა).

წარწერები

წარწერები საბეჭდავებზე უძვირფასესი მასალაა მათი მფლობელის ვინაობის დასადგენად, თუმცა არის ისეთი პერიოდებიც, როდესაც არც ერთ საბეჭდავზე არ არის წარწერა. წარწერებიანი

[1] Holly Pittman, Ancient Art In Miniature, The metropolitan Museum of Art, New York, p. 17, 1994.

საბეჭდავები, ჩვეულებრივ, მაღალი წრის ოფიციალურ პირებს ეკუთვნოდათ. თუმცა, გვიანი III და ადრეული II ათასწლეულის საბეჭდავების მფლობელებად მონებიცაა დასახელებული.

საბეჭდავების წარწერებით დგინდება მფლობელის წარმოშობა და საქმიანობა. ცნობილია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ერთდროულად სხვადასხვა საბეჭდავი იყო ხმარებაში. ყველაზე ძველი წარწერიანი საბეჭდავები მხოლოდ მათი ანაბეჭდებით არის ცნობილი. ასეთი ანაბეჭდები აღმოჩენილია ურში, ჯემდეთ-ნასრში, ურუქში და თარიღდება ადრეული III ათასწლეულით.

ნიშნების რამდენიმე ჯგუფი მიიჩნევა ქალაქების სახელებად და მოიხსენიება, როგორც „ქალაქის საბეჭდავები" (IV).[1] ცოტა მოგვიანებით ვხვდებით ღვთაებათა სახელებს. პირველი საბეჭდავი არის (III),[2] რომლის შესახებაც შეიძლება ითქვას ის, რომ იგი პირად საკუთრებას წარმოადგენდა. ამგვარ შემთხვევებში, წარწერა გვამცნობს ან მხოლოდ სახელს, ან სახელს და ტიტულს.

III



IV



V



VI

[1] Dominique Collon, First Impressions Cylinder Seals in the Ancient Near East, British Museum Press, no. 455. იხ. IV – ური, ერაყი U-14586. ქალაქის საბეჭდავის ანაბეჭდი, პერიოდი II.

[2] Dominique Collon, First Impressions Cylinder Seals in the Ancient Near East, British Museum Press, no. 456. იხ. III. წარწერა: AL?-a-en?-lil. თეთრი კირქვა, 3,15X2,05 სმ. პერიოდი II.

შემდგომში, ლურსმული დამწერლობის გავრცელებასთან ერთად, წარწერებიც უფრო ვრცელი ხდება. საბეჭდავების წარწერაზე მოხსენიებულია ხოლმე ოჯახი და მათი საქმიანობა. ამასთან, ხშირად საბეჭდავის მფლობელი თავს მმართველის მსახურად წარმოადგენს, რაც ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორია საბეჭდავის დასათარიღებლად. ურის III დინასტიის საბეჭდავების წარწერები საკმაოდ ვრცელი და მრავლისმთქმელია. აქ სრულადაა წარმოდგენილი მაღალი ოფიციალური ტიტულები. ურის III დინასტიის ბოლო ორი მმართველის დროს გამოჩნდა ე.წ „ინაბა" საბეჭდავები – მეფის ან მმართველის მიერ მაღალჩინოსნებისთვის ბოძებული საბეჭდავები (VI).[1] გარდა ამისა, მოგვეპოვება „ბურგულ" ან „ფურქულუ" საბეჭდავები, რომლებიც არაა ბურღით გახვრეტილი; მათზე მხოლოდ წარწერაა და დამზადებულია თიხისგან ან თაბაშირისგან. შესაძლოა, რომ საბეჭდავებს ხმარობდნენ გარკვეულ შემთხვევებში ისინი, ვისაც მანამდე არ სჭირდებოდათ მათი გამოყენება (VII).[2] ეს საბეჭდავები ნაპოვნია ეშნუნაში და სამხრეთ მესოპოტამიაში. მათზე, ჩვეულებრივ, არის წარწერა, რომელიც გვამცნობს მფლობელის ვინაობას და წარმოშობას. ზოგიერთ შემთხვევაში აღნიშნულია მათი პროფესიაც.

VII



VIII

[1] Dominique Collon, First Impressions Cylinder Seals in the Ancient Near East, British Museum Press, no. 459. იხ. VI – თელ აშმარი (ეშნუნა), ერაყი. წარწერა: ურ-ნინგიზიდა, ეშნუნას ბატონი, ირაბანის, მის ვაჟს, ებოძოს (მისი პირადი საბეჭდავი).

[2] Dominique Collon, First Impressions Cylinder Seals in the Ancient Near East, British Museum Press, no. 460. იხ. VII – ური, ერაყი. წარწერა: ადა, დუდუს ვაჟი (ორივე სახელი შუმერულია), თიხა, 3,0X0,95 სმ, პერიოდი III ან IV.

ძველბაბილონური პერიოდების საბეჭდავების წარწერები ძირითადად სამხაზიანია. პირველი ხაზი გვამცნობს პატრონის სახელს, მეორე – მის წარმოშობას, ხოლო მესამე წარმოგვიდგენს პატრონს, როგორც ღვთაების მსახურს (V)[1] და იშვიათად – მეფის მსახურს. პროფესიები, რომლებიც საბეჭდავებზე ისინ-ლარსას პერიოდამდე იყო აღნიშნული, საერთოდ ქრება წარწერებიდან. ძველბაბილონური პერიოდის დასასრულს ჩნდება პირველი ლოცვები. წარწერებში მხოლოდ იმ ღვთაებათა სახელებია მოხსენიებული, რომელთაც ეძღვნებათ ლოცვები. მაგიური ფორმულები დამახასიათებელია კასიტური პერიოდისათვის. აქ ხშირად არ მოიხსენიება მფლობელის სახელი (VIII).[2] მესოპოტამიის გარეთ არსებული საბეჭდავების წარწერები ერთმანეთისგან განსხვავდება ადგილმდებარეობის მიხედვით. სირიაში და დიალაში საბეჭდავების მფლობელებს მიაჩნდათ, რომ ღვთაების რჩეულები იყვნენ და არა მსახურები მესოპოტამიის საბეჭდავების მსგავსად. მოცემულია პიქტოგრაფიული ფორმები, რომლებიც იხმარებოდა ანატოლიაში ხეთურ დამწერლობამდე (X),[3] თუმცა არ ხერხდება მათი გაშიფვრა. ზოგ საბეჭდავს აქვს ეგვიპტური (XIII-XIV)[4] ან ხეთური (IX)[5] იეროგლიფური წარწერა. მოგვიანებით დადასტურდა ფინიკიური ანბანური წარწერაც – (XI).[6]

---

[1] Dominique Collon, First Impressions Cylinder Seals in the Ancient Near East, British Museum Press, no. 461. იხ. V – წარწერა: რაბუთ-სინი, იგმილ-სინის ვაჟი, ადადის მსახური. დიორიტი; 2,85X1,5, პერიოდი IV.

[2] Dominique Collon, First Impressions Cylinder Seals in the Ancient Near East, British Museum Press, no. 462. იხ. VIII. წარწერა: მარდუქ, უფალი, ბატონი, რომლის ხელშია ცისა და მიწის ძალაუფლება, მსახური შენი თაყვანს გცემს, შენი შეხედვით გაგვაბედნიერე. ხალცედონი, 3,6X1,4 სმ, პერიოდი V.

[3] Dominique Collon, First Impressions Cylinder Seals in the Ancient Near East, British Museum Press, no. 835. იხ. X. ჰემატიტი, 2,9X2,2 სმ. პერიოდი IV.

[4] Dominique Collon, First Impressions Cylinder Seals in the Ancient Near East, British Museum Press, no. 203, 205. იხ. XIII, ჰემატიტი 1,95X1,0 სმ; XIV. – მწვანე იასპი; 2,5X1,5 სმ.

[5] Dominique Collon, First Impressions Cylinder Seals in the Ancient Near East, British Museum Press, no. 310. იხ. IX. რას შამრა და მეკენე, სირია. წარწერა: ინი-თეშუბ, მეფე ქარგამიშის. ხეთური იეროგლიფურით. 2,6 სმ.

[6] Dominique Collon, First Impressions Cylinder Seals in the Ancient Near East,



IX



XI



X



XIII



XII



XIV



XV



XVI

XII[1] ცილინდრული საბეჭდავის წარწერა შესრულებულია ინდის ველის ბინადართა დამწერლობით. ანაბეჭდი მკაფიო რომ ყოფილი-

---

British Museum Press, no. 464. იხ. XI, არამეული წარწერა, ბელათ-აბიდინის საბეჭდავი, სერდოლიკი; 2,1X1,1 სმ, პერიოდი VI.

[1] Dominique Collon, First Impressions Cylinder Seals in the Ancient Near East, British Museum Press, no. 614. იხ. XII. წარწერა შესრულებულია ინდის ველების დამწერლობით; გამომწვარი თეთრი აქატი; 3,6X2,0სმ.

ყო, ამიტომ წარწერა მოთავსდა საბეჭდავის უკანა მხარეს. თითქმის ყველა წარწერა დაწერილია ზემოდან ქვემოთ, ხოლო ანაბეჭდზე იწერებოდა მარჯვნიდან მარცხნივ, რადგანაც საბეჭდავი 90°-ით ტრიალდებოდა. ეს ასახავს უძველესი დამწერლობის მიმართულებას. ძვ.წ.აღ. II ათასწ. II ნახევარში ჩნდება ჰორიზონტალური წარწერები საბეჭდავების ზედა ნაწილის გასწვრივ, თუმცა არც ამ დროისათვის ვხვდებით ვერტიკალურ წარწერებს. ახალელამურ და აქემენიდურ საბეჭდავებზე ხშირადაა წარწერები მოკლე, ჩარჩოიან, ჰორიზონტალურ ხაზებად (XVI).[1]



XVII

XIX

ადრეული წარწერები არ არის ჩარჩოებში მოთავსებული და შედარებით მოკლეა. ორი ხაზი მიანიშნებს მის დასასრულს. აქადური პერიოდიდან წარწერები ხშირადაა მოთავსებული ჩარჩოებში. აქადური და ურის III დინასტიის ვრცელი წარწერები განლაგებულია ჯგუფებად, რომლებიც ჩარჩოებშია მოქცეული. ძველბაბილონური პერიოდის წარწერების ხაზი ყოველთვის არ სრულდება ქვედა ხაზით (V), ხოლო სირიაში ისინი შემოსაზღვრულია (XIX).[2]

[1] Dominique Collon, First Impressions Cylinder Seals in the Ancient Near East, British Museum Press, no. 465. იხ. XVI, წარწერა ძველსპარსულია: არშაკაა სახელით, [ვაჟი] ათ(ა)ივაბ(ა)უშათასი. სერდოლიკი; 2,8X1,2, პერიოდი VII.

[2] Dominique Collon, First Impressions Cylinder Seals in the Ancient Near East, British Museum Press, no. 542. იხ. XIX, სირია, ალალახი. წარწერა: აბანის, იამხადის მეფის, ღვთაება ადადის მიერ შეყვარებული, 2,3X3,2 + მეტალის ყულფი, პერიოდი IV.

ზოგ შემთხვევაში, განსაკუთრებით სიფარის საბეჭდავებზე, წარწერა შემოუსაზღვრავია და გაბნეულია ფიგურებში (XVII).[1]

I პერიოდი	ურუქი და ჯემდეთ-ნასრი				
ძვ.წ. 3000	ადრედინასტიური	ადA	ური	ლაგაში	
II პერიოდი		ადB	ფუ-აბი (ძვ.წ. 2600) მეს-ანე-პადა (ძვ.წ. 2550) ე-ანა-თუმი (ძვ.წ. 2450) ლუგალ-ანდა (ძვ.წ. 2350)		
ძვ.წ. 2334	აქადური		სარგონი 2334-2279 ნარამსინი 2254-2218 შარ-ქალი-შარი 2217-2193		
III პერიოდი	პოსტ-აქადური ური III		გუდეა ურ-ნამუ 2112-2090; შულგი 2094-2047; ამარ-სინი 2046-2038; შუ-სინი 2037-2029 იბი-სინი 2028-2004		
ძვ.წ. 2000	ძველბაბილონური	ბაბილონი	ასური	მარი	ეშნუნა	იამხადი
IV პერიოდი		ხამურაბი 1792-1750 სამსუ-ილუნა 1749-1712 სამსუ-დითანა 1625-1595	შამში-ადადი 1809-1776	იაგიდ-ლიმი იახდუნ-ლიმი იასმახ-ადუ ზიმრი-ლიმი	იფიქ-ადად II დადუშა იბალ-ფი-ელ II	იარიმ-ლიმ I ხამურაბი I აბანი იარიმ-ლიმ II ნიქმეფუხი იარიმ-ლიმ III

[1] Dominique Collon, First Impressions Cylinder Seals in the Ancient Near East, British Museum Press, no. 799. იხ. XVII, დამტვრეულია. წარწერა: ავილი..., ვაჟი ნაბიუმ-მალიკის, ღვთაება შაქანის მსახურის; ჰემატიტი, 2,1X1,2; პერიოდი IV.

ძვ.წ. 1500	კასიტური ბაბილონი	მითანი	ასურეთი
	კარდინიაში	საუსშათარი	
	ქურიგალზუ I		ერიბა-ადად I 1390-1364
V პერიოდი	კადაშმან-ენლილი	თუშრათა	ასურ-უბალიტ I 1363-1328
	ბურნაბურიაშ II 1359-1333	ართათამა	ადად-ნირარი I 1305-1274
	ქურიგალზუ II 1332-1308		სალმანასარ I 1273-1244
	შაგარაქთი-შურიაში 1245-1233		თუქულთი-ნინურთა I 1243-1207
			ტიგლათ-ფილესერ I 1114-1076
ძვ.წ. 1000	ასურეთი	ბაბილონი	ურარტუ
	ასურნასირფალ II 883-859		
	სალმანასარ III 858-824		არგიშთი
	ადად-ნირარი III 810-783	მარდუქ-ზაქირ-შუმი	
	ტიგლათ-ფილესერ III 744-727		
VI პერიოდი	სარგონ II 721-705	მეროდახ-ბალადან II	რუსა
	სინახერიბი 704-681		
	ასარხადონი 680-669		
	ასურბანიფალი 668-627		
	ნინევიის დაცემა 612	ნაბუქოდინოსორი 604-562	
		ნაბონიდი 555-539	
		კიროსი 538-530	
ძვ.წ. 500		დარიოს I 521-486	
	აქემენიდები	ქსერქსე I 485-65	
		ართაქსერქსე I და II	
VII პერიოდი		დარიოს III 335-331	

URUQIS DA ZEMDEGI-NASRIS PERIODEBI

URUQIS PERIODIS CILINDRULI SABECDAVEBI (ZV.W.AR. 3200 – 3000 W.W.)

მესოპოტამიაში, ურუქის პერიოდში, ცილინდრული საბეჭდავების ნიმუშები გამოჩნდა. ამ პერიოდის ხასიათზე მეტყველებს ქ. ვარქაში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა, რომელიც მოიცავს ძველი ქალაქის – ურუქის მხარეს (ბიბლიური ერეხი). ეს კულტურა მიიჩნევა ყველაზე ადრეულ კულტურად მესოპოტამიაში.

ურუქის პერიოდის გლიპტიკის ხელოვნება მაღალი ხარისხისაა მესოპოტამიაში, თუმცა არ არის ცნობილი საბეჭდავების კვეთის განვითარების წინა საფეხურები. საბეჭდავზე დაწოლით და მისი დატრიალებით თიხაზე ან შესაფერის მასალაზე რჩდებოდა ანაბეჭდი. ურუქის პერიოდის საბეჭდავებზე პირველი ამოკვეთა ხდებოდა მექანიკური იარაღით – მშვილდისებრი ბურღით, ხოლო შემდგომი სათუთი სამუშაო სრულდებოდა შესაბამისი ხელის იარაღით, რითაც იშლებოდა ბურღის ნაკვალევი.

ურუქში არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნია ცილინდრული საბეჭდავები და მათი ანაბეჭდები თიხაზე, რომლებიც თარიღდება დაახლ. ძვ.წ.აღ. 3200 წლით. ეს ის პერიოდია, როდესაც სწრაფად ამოტივტივდა მესოპოტამიური ცივილიზაცია. არ შეგვიძლია გლიპტიკის ხელოვნების თანდათანობითი განვითარების მიმართულების ჩვენება ისევე, როგორც შეუძლებელია თვალი მივადევნოთ დამწერლობის ევოლუციას. ჩვენ თვალწინაა ურუქის პერიოდის საბეჭდავები, რომელთა გამოსახულებებიც სავსეა ენერგიით. ამ პერიოდს ეკუთვნის 1, 2 და 3[1] ნიმუშები. აქედან, პირველი

[1] Porada Edith, Mesopotamian Art in Cylinder Seals of The Pierpont Morgan Library, new York, 1947, no. 1, 2, 3. იხ. 1 – სცენა ტყავის საამქროში, მომწვანო შავი სერპენტინი, 2,95X2,5 სმ; 2 – მითოლოგიური სცენა ერთთვა-

მოადგენს – მას მხოლოდ ერთი თვალი აქვს. მესოპოტამიურ ლიტერატურაში არსად არ არის მინიშნებული, რომ გილგამეშს ერთი თვალი აქვს, როგორც ციკლოპს „ოდისეაში". ცალთვალა გილგამეშს არც შუმერული და არც აქადური ტრადიცია არც იცნობს. სცენის დანარჩენი ნაწილის ამოცნობა თითქმის შეუძლებელია. ღობე გმირის მარჯვნივ და მარცხნივ მიუთითებს მის შემოსაზღვრულობაზე. კაცი ზევით მიმართული კულულებითა და გადაღუნული ჯოხით, შესაძლოა წარმოადგენდეს მწყემსს. ლომისთავიანი სვავი ორჯერაა წარმოდგენილი ამ საბეჭდავზე და მიჩნეულია ანზუდად – მითიურ ჩიტად, რომელიც ხშირად გვხვდება მესოპოტამიურ ლიტერატურაში და პერსონიფიცირებულია ავდართან და ქარიშხალთან. ცაზე გადაკრული ღრუბელი, რომლის მაგივრადაც შეიძლება გამოსახული იყოს ჩიტი, ზოგჯერ კი მოზრდილი ფრინველი გაშლილი ფრთებით. ისევე როგორც შიშველი გმირი, ეს ლომისთავიანი სვავიც ურუქის პერიოდში გამოჩნდა და შემდეგ დამკვიდრდა მესოპოტამიურ ხელოვნებაში.

3) ეს არის ცხოველთა არქივი მცირე ვარიაციებით, რომელიც მომდევნო საუკუნეებშიც აგრძელებს მესოპოტამიური ხელოვნების ჩაკეტილ მოტივს. დედა ქალღმერთის სიმბოლო არის ლერწმის კარიბჭე, რომელიც სრულყოფს სცენას. შესაძლოა, ეს წმინდა ნახირზე მიანიშნებდეს.

მესოპოტამიური საბეჭდავების კვეთა ურუქის პერიოდში ექსპერიმენტის დონეზე იყო. ამას ნათელყოფს ზომისა და სილუეტის სტანდარტების ნაკლებობა. ამ საბეჭდავების უმეტესობა დაახლოებით 1-ლის ზომისაა – თითქმის კვადრატული, გადაბმული განყოფილებებით. აგრეთვე, გვხვდება მე-2-ის მსგავსი დიდი და მე-3-ის მსგავსი პატარა საბეჭდავებიც. ეს სამივე სახეობა დამახასიათებელია ამ პერიოდისათვის. უფრო მეტიც, ყველა საბეჭდავი არ არის გახვრეტილი, როგორც ეს მომდევნო პერიოდებში იყო. მაგ., მე-2-ს თავსა და ბოლოში აქვს ღრუ, რაც, შესაძლოა, განკუთვნილი იყო ლითონის ჩამოსაკიდებლისთვის. მომდევნო პერიოდის საბეჭდავებს ხშირად აქვს მსგავსი ლითონის საკიდები, მაგრამ ასეთ ადრეულ

პერიოდში მისი არსებობა ცოტათი საკვირველია. მასალა, რომელიც გამოიყენებოდა ურუქის პერიოდის საბეჭდავების დასამზადებლად ძირითადად იყო სერპენტინი და მარმარილო დასამუშავებლად და ამოსაკვეთად ადვილი, რბილი ქვები.[1]

ურუქის საბეჭდავები, უმეტესად, მსუბუქი კირქვისაგან არის დამზადებული. მოგვიანებით იწყება ბასრი ქვის გამოყენება. ხოლო, რაც შეეხება ლილაქვის გამოყენებას საბეჭდავების დასამზადებლად, სავარაუდოა მისი დაკავშირება ავღანეთთან. დღემდე გაურკვეველია, რომელი იყო პირველწყარო.

ის ცილინდრული საბეჭდავები, რომლებზეც ცხოველების მწკრივია გამოსახული, უნდა ეკუთვნოდეს ადმინისტრაციის იმ განაყოფს, რომელიც განაგებდა მეცხოველეობას ან ნადირობას. ხოლო ის ნაწილი, რომელიც ასახავს ნაოსნობის სცენებს, ეკუთვნოდა მეთევზეობისა და ირიგაციის წინამძღოლებს.

ჩანს, ურუქში მესაქონლეობა წამყვანი დარგი ყოფილა.

საკმაოდ რთულია ის კატეგორია საბეჭდავებისა, რომლებზეც მითიური სცენებია წარმოდგენილი დრაკონებით. ურუქის საბეჭდავები პირველი ილუსტრირებული ნათელყოფაა ძველი ახლო აღმოსავლეთისა. აქ ღვთაებები არ ჩანს, თუმცა წარმოდგენილია ტაძრის რიტუალი, არქიტექტურა და მოწყობილობა. ამ საბეჭდავებით დასტურდება ეკონომიკისა და შინაური მეურნეობის განვითარება. ნავები და ლერწმის სახლები შეესაბამება სამხრეთ შუამდინარულ სტილს. გარდა ამისა, საბეჭდავები გვაწვდიან გუმბათების უძველეს ნიმუშებს. ომისა და ნადირობის სცენებში მეფეები ხშირად იყენებენ მშვილდს. ეს არის მსოფლიოში მშვილდის გამოყენების უძველესი დადასტურება. ურუქის სტილი სუზაშიც უნდა ყოფილიყო გავრცელებული, თუმცა „ურუქის სტილის" საბეჭდავები ნაპოვნია ირანის სხვა ქალაქებშიც, რომელთაც კავშირი ჰქონდათ სუზასთან, ასევე სამხრეთ მესოპოტამიაში, სირიაში, ანატოლიაში – ყველგან, ვისაც ურთიერთობა ჰქონდა ურუქთან. საბეჭდავები ძირითადად

[1] Porada Edith, Mesopotamian Art in Cylinder Seals of The Pierpont Morgan Library, New York, 1947, p. 14-18.

აღმოჩენილია ტაძრების ტერიტორიაზე გათხრების დროს. ტაძრების რეკონსტრუქცია ხშირად ხდებოდა, რის გამოც არ შეესაბამებოდა თავის პირვანდელ სახეს. ურუქის გლიპტიკა საჭიროებს სათანადო შეაწავლას, რადგან ჯერ კიდევ ბევრი საკითხია ბუნდოვანი.[1]

ჯემდეთ-ნასრის პერიოდის ცილინდრები ძვ.წ.აღ. 3000 – 2800 წ.წ.

ურუქის პერიოდს მოსდევს ჯემდეთ-ნასრად წოდებული პერიოდი. სახელწოდება მოდის იმ ბორცვიდან, სადაც არქეოლოგებმა პირველად აღმოაჩინეს ეს კულტურა. ამ პერიოდში სამხრეთ მესოპოტამიის მოსახლეობა თავის ნაკვალევს მისი ქვეყნის საზღვრებს გარეთაც ტოვებს. ამას ადასტურებს ჯემდეთ-ნასრის ტიპის საბეჭდავების აღმოჩენა ირანის აღმოსავლეთში, ანატოლიაში, სირიასა და ეგვიპტეში.

ზოგადად თუ დავახასიათებთ ჯემდეთ-ნასრის საბეჭდავებს მათ გამარტივებულად გადმოაქვთ ურუქის პერიოდის საგნები. ისინი ამოკვეთილია ამ პერიოდისთვის დამახასიათებელი ბურღის უხეში ხმარებით. ჩვენ ხელთ არსებული კოლექციების ნიმუშებით, ჯემდეთ-ნასრის საბეჭდავები იყოფა ოთხ ჯგუფად მასზე აღბეჭდილი საგნების, ორნამენტების, ჩრდილებისა და მასალის მიხედვით. ეს ჯგუფებია:

1) სხვადასხვა საქმიანობებით დაკავებული კიკინებიანი ფიგურები (4,5)[2] მოკლე და ფართო მარმარილოს, სერპენტინის ან კირქვის საბეჭდავები.

[1] Dominique Collon, First Impressions Cylinder Seals in the Ancient Near East, British Museum Press, 1987, p. 13-15.

[2] Porada Edith, Mesopotamian Art in Cylinder Seals of The Pierpont Morgan Library, New York, 1947, p. 17, no. 4; იხ. 4 – ყოველდღიური სცენა: ქალის ფიგურები ქოთნებით და ძროხებით, მწვანე სერპენტინი, 2,1X2 სმ; 5 – ქალის ფიგურების მწკრივი ქოთნებით, ვარდისფერი მარმარილო, 2,1X20,5 სმ; 6 – რქოსანი ცხოველები ტაძრის წინ, თეთრი მარმარილო, 3,7X3,3 სმ.



4



5



6

2) რქოსანი ცხოველების მწკრივები (6,7),[1] (11,12,13);[2] სერპენტინის, უფრო ხშირად, თეთრი მარმარილოს, მოგვიანებით – მოყვითალო მარმარილოს საბეჭდავები.

3) სხვადასხვა ტიპის ცხოველები (15,16).[3] აქ იგივე მასალაა გამ-

[1] Porada Edith, Mesopotamian Art in Cylinder Seals of The Pierpont Morgan Library, New York, 1947, p. 17, no. 6,7; 6 – რქოსანი ცხოველები ტაძრის წინ, თეთრი მარმარილო, 3,7X3,3 სმ; 7 – რქოსანი ცხოველები ტაძრის წინ, მოყვითალო მარმარილო, 3X2,2 სმ.

[2] Corpus of Ancient Near Eastern Seals in North Ametican Collections, The Bollingen Series XIV, Pantheon Books, 1949 – 17, 19-20, იხ. 11 – შავი სერპენტინი, 2,7X2,3 სმ; 12 – თეთრი მარმარილო, 2,9X2,5 სმ; 13 – მომწვანო შავი სერპენტინი, 2,5X2,2 სმ.

[3] Porada Edith, Mesopotamian Art in Cylinder Seals of The Pierpont Morgan Library, New York, 1947, p. 17, no. 8, 9. იხ. 15 – ვარდისფერი მარმარილო, 2,35X2,5 სმ. 16 – თეთრი მარმარლო, 3,6X2,1 სმ.

ოიყენებული, რაც პირველი ჯგუფის საბეჭდავებისთვის.

4) სხვადასხვა ტიპის ორნამენტები (14),[1] ესაა შავი სერპენტინის ან გამჭვირვალე სტეატიტის საბეჭდავები. მათი ერთი ნაწილი მოგრძო, თხელი ფორმისაა, ხოლო მეორე დაბალი და ფართოა, რომელიც მარმარილოს, სერპენტინისა და კირქვისაგან არის დამზადებული. ჯემდეთ-ნასრის პერიოდში ნაპოვნი სათუთად ნაკვეთი საბეჭდავებითაც დასტურდება ის ფაქტი, რომ ურუქის პერიოდისთვის დამახასიათებელი მაღალი სტანდარტები შენარჩუნებულია. ამის თვალსაჩინოებას წარმოადგენს მე-4 საბეჭდავზე გამოსახული მოდერნიზებული ძროხა, რომელიც ჯემდეთ-ნასრის პერიოდის I ჯგუფს განეკუთვნება. ამ ჯგუფის საბეჭდავებზე ბურღი ისეა გამოყენებული, როგორც ურუქის პერიოდის ნიმუშებზე. იქ ისეთსავე მთებს ვხედავთ, როგორც ურუქის პერიოდის საბეჭდავებზე, თუმცა ჭილოფზე ჩაცუცქული კიკინიანი ფიგურები ჯემდეთ-ნასრის ეპოქისთვის ყველაზე სახასიათო ფიგურებია, რომელიც რამდენიმე ადგილას ბურღით არის დამუშავებული, ხოლო მხრებისა და კიკინისათვის ლერწმით შესრულებული მსუბუქი ხაზებია გამოყენებული.[2] ჯემდეთ-ნასრის პერიოდში უხეშად შესრულებული დიზაინი ართულებს საბეჭდავების შინაარსის გაგებას. მე-4 ნიმუშზე ძროხასთან ჩაცუცქული ნაწნავიანი ქალი ქოთნებით, შესაძლოა, დაკავებულია ყოველდღიური პროდუქტის დამზადებით, სავარაუდოდ, ტაძრის მსახურებისათვის. მოგვიანებით ტაძრების ფრიზებზე ჩნდება ქურუმების ფიგურები, რომლებიც წველიან ძროხას, დღვებენ კარაქს. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მე-4-ზე წარმოდგენილი სცენაც ამის მსგავსია. შესაძლოა, იგივეა გამოსახული მე-5 საბეჭდავზეც. აქ მამაკაცის ნაცვლად წარმოდგენილია ქალების ფიგურები, თუმცა ასახულია იმავე საქმიანობის სცენები.

II ჯგუფს განეკუთვნება მე-6 საბეჭდავზე გამოსახული რქოსანი ცხოველების მწკრივი ტაძრის ან ბოსლის წინ. ცხოველთა ფიგურები

[1] Porada Edith, Mesopotamian Art in Cylinder Seals of The Pierpont Morgan Library, New York, 1947, p. 17, no. 10, იხ. 14 – შავი სერპენტინი, 4,8X1,35 სმ.

[2] Corpus of Ancient Near Eastern Seals in North Ametican Collections, The Bollingen Series XIV, Pantheon Books, 1949, p. 18-19.

გადმოტანილია ურუქის სტილიდან, თუმცა შეინიშნება უფრო მცირე და მოზრდილი ბურღის მონაცვლეობა, რაც დამახასიათებელია ჯემდეთ-ნასრის პერიოდისთვის. ცხოველთა გადაბმული მწკრივი, რომელსაც ამ საბეჭდავზე ვხედავთ, ტიპურია ჯემდეთ-ნასრის პერიოდისთვის და განეკუთვნება ტაძრის ფარას. ცხოველთა ტანის გამოსახვა უფრო მეტად სწორი ხაზებით ხდება, ვიდრე ბურღით და I ადრედინასტური პერიოდის სტილის წინაპირობას წარმოადგენს. ისინი, ჩვეულებრივ, ჩვენ მიერ წარმოდგენილ ნიმუშზე უფრო დიდია. მათი უმეტესობა ნაპოვნია ტაძრების ტერიტორიაზე გათხრების დროს და, ამიტომაც, სავარაუდოა, რომ ისინი გარკვეული თვალსაზრისით ტაძრებისათვის იყო განკუთვნილი შესაწირი ძღვენის სახით. ამ შემთხვევაში, საქმე არ უნდა გვქონდეს საბეჭდავების ჩვეულებრივ, ყოველდღიურ მოხმარებასთან.



7

8



9



10



11



12



13

ამავე ტიპისაა მე-7 საბეჭდავი, თუმცა ის უფრო მცირე ზომისაა და ისიც ძღვენის ფუნქციას ასრულებს. ამას ადასტურებს არა მარტო ტაძრის დიზაინი, არამედ მისი კუთხეების ფორმაც. ამ საბეჭდავის მთლიანი ფორმა ტაძარს ჰგავს.

III ჯგუფს წარმოადგენს მე-16 საბეჭდავზე გამოსახული მორიელი – ნაყოფიერების სიმბოლო, ხოლო მე-15 საბეჭდავის ობობისებრი ქმნილება დამახასიათებელი მოტივია ჯემდეთ-ნასრის პერიოდისთვის და შესაძლებელია მთელი რიგი მსგავსი მოტივები მოდიოდეს ჯემდეთ-ნასრის პერიოდის კერამიკისაგან. ასეთი ნატურალისტური ფორმები, რომლებიც სქემატურად მეორდება, ჩანს კერამიკის ნიმუშებზე. ორივე საბეჭდავი უეჭველად იხმარებოდა დასაბეჭდად. მე-16 განსაკუთრებით სათუთადაა ნახმარი. ეს საბეჭდავები მცირე ზომისაა და გამოირჩევა ამოზნექილი გვერდებით.

IV ჯგუფს წარმოადგენს საბეჭდავების ჯგუფი, სადაც ვხვდებით ორნამენტებსა და დეკორაციებს. ეს ჯგუფი იყოფა ორ ნაწილად. პირველი, ანუ ე.წ. 'შევრონის' ორნამენტები ქსოვის და წნვისაგან უნდა მომდინარეობდეს (14). ორნამენტები, სავარაუდოდ, ქსოვის ან ჭილოფის დაწვნის მსგავსად უნდა იყოს შექმნილი. გრძელი, თხელი შტრიხები და ფორმები ის სიახლეა, რომელიც ახასიათებს ჯემდეთ-ნასრის პერიოდს. ამ ჯგუფის მეორე ნაწილი წარმოგვიდგენს მორბენალი რქოსანი ცხოველების შემოკლებულ ფორმებს, რაც, ასევე, ჯემდეთ-ნასრის სხვა ჯგუფის საბეჭდავების დიზაინიდან უნდა მომდინარეობდეს.[1]

ისევე, როგორც ურუქის პერიოდში, ამ დროსაც გრძელდება საბეჭდავების მასალად მარმარილოსა და სერპენტინის გამოყენება. მასალად აგრეთვე გამოიყენება სხვადასხვა ფერის კირქვა და ქაშანური. საბეჭდავების ძირითადი ნაწილი, რომლებიც ძღვენისათვის იყო განკუთვნილი, დამზადებულია ძალიან თეთრი მარმარილოსაგან, ხოლო სხვები – მოგრძო, თხელი ქაშანაურის ან მოჭიქული სტეატიტისაგან.[2]



14

15

[1] Corpus of Ancient Near Eastern Seals in North Ametican Collections, The Bollongen Series XIV, Pantheon Books, 1949, p. 19.

[2] Porada Edith, Mesopotamian Art in Cylinder Seals of The Pierpont Morgan Library, New York, 1947, p. 18-22.



16

ჯემდეთ-ნასრის სტილის საბეჭდავებს მუქი ქვისაგან, ზოგჯერ მთის ბროლისგან ამზადდებდნენ, რომლებიც გაბურღული და საკმაოდ მცირე ზომის იყო. ურუქისა და ჯემდეთ-ნასრის სტილი ნაწილობრივ ემთხვევა და, ამასთან, არ უახლოვდება ერთმანეთს. საინტერესოა, თუ რამდენად საჭირო უნდა ყოფილიყო ცილინდრული საბეჭდავების ასეთი განსხვავებული ტიპების ერთსა და იმავე დროს ხმარება. ნისენი აღნიშნავს, რომ ურუქის საბეჭდავები გამოიყენებოდა ინდივიდუალური პიროვნებების მიერ, ხოლო ჯემდეთ-ნასრისა – ცალკეული ინსტიტუტებისათვის.

როგორც ვნახეთ, ურუქის სტილი მამრობით ხასიათს ატარებს, რაც აისახება ტაძრის, ნადირობის, მეურნეობის, ირიგაციისა და სხვა დარგების განვითარებაში. რაც შეეხება ჯემდეთ-ნასრის სტილს, ის უფრო განპირობებული იყო გაბატონებული ქალღმერთის ტაძრით და მასთან დაკავშირებული საქმიანობებით: რთვა, ქსოვა, წვნა და ა.შ. ყოველივე ეს აისახა გლიპტიკაში. ჯემდეთ-ნასრის საბეჭდავები ფართოდ იყო გავრცელებული და მისი მრავალი ნიმუში სირიაშიცაა ნაპოვნი. მათი უმრავლესობა ასახავს ცხვრებისა და თხების მწკრივებს. ეს საბეჭდავები უნდა უკავშირდებოდეს მატყლისა და ქსოვილების მწარმოებლებს. უფრო საიდუმლოებითაა მოცული ის საბეჭდავები, რომლებზეც გამოსახულია თიხის ჭურჭელი ფოჩებიანი საგნებით. ამასთან, არ არის ცნობილი აქ გამოსახული საგნები ნელსაცხებლებისა და ქსოვილებისთვის იხმარებოდა, თუ ქსოვილების ტრანსპორტირებისთვის (8-9).[1] ეს ცილინდრული საბეჭდავები ადასტურებენ სავაჭრო ურთიერთობებს სირიასა და სუზასთან, ასევე ეგვიპტესთან, შესაძლოა, არაბეთის ნახევარკუნძულის გავლით. სუზასა და ურუქში ასევე წინადინასტიური და I დინასტიის ეგვიპტური დანის ტარებზე, პალიტრებზე აღმოჩენილი ნიმუშები ადასტურებენ ასეთი საბეჭდავების გამოყენებას ამ რეგიონებში (10).[1]

[1] Dominique Collon, First Impressions Cylinder Seals in the Ancient Near East, British Museum Press, 1993, no. 19, 20. იხ. 8, 9, 8 – მუქი დიორიტი, 2,15×2,2 სმ. 9 – ჯებელ არუდა, სირია. ანაბეჭდი – 2,5 სმ.

IV ათასწლეულის დასასრულს ფართოდ ვრცელდება სქემატური დიზაინი. ბურთისებრი ცხოველების მწკრივები ნაპოვნია სამხრეთ მესოპოტამიასა და ეგვიპტეში. მხოლოდ ეს საბეჭდავები ამყარებენ იმ სავაჭრო კავშირებს, რომლებშიც შესაძლოა მონაწილეობდა[2] სამხრეთ მესოპოტამია.

[1] Dominique Collon, First Impressions Cylinder Seals in the Ancient Near East, British Museum Press, 1993, no. 24. იხ. 10 – სუზა, ირანი. ანაბეჭდი, 3,0 სმ.

[2] Dominique Collon, first Impressions Cylinder Seals in the Ancient Near East, British Museum Press, 1993, p. 15-20.

ადრედინასტიური ხანის ცილინდრები
ძვ.წ.აღ. 2800-2330

ურუქისა და ჯემდეთ-ნასრის პერიოდებს მოსდევს ადრედინასტიური პერიოდი. მას ასე ეწოდება, რადგან ამ დროს შესრულებულ წარწერებში მოიხსენიება მეფეთა სახელები, რომლებიც მართავდნენ ურუქს, ურს და სამხრეთ მესოპოტამიის სხვა პატარა ქალაქ-სახელმწიფოებს.

ამ პერიოდში ხდება მესოპოტამიის ისტორიის ჩაწერა. კულტურა, რომელიც ამ ხანას განეკუთვნება შუმერებს ეკუთვნით.

წარწერებიანი ფირფიტები ჩვენამდე მოღწეულია ურუქის და ჯემდეთ-ნასრის პერიოდებიდანაც. ძვ.წ.აღ. 2800 წლიდან შუმერები ისტორიულ ასპარეზზე გამოდიან და ამ პერიოდიდან აღმოჩენილი ტექსტები შუმერებს ეკუთვნით.

ამ დროს რადიკალურად იცვლება გლიპტიკის ხელოვნება. იქმნება ახალი მეთოდები და მოდელები, რომელთა წარმოდგენაც ხდება საბეჭდავებით. ადრედინასტიური პერიოდის დასასრულს უკვე ჩამოყალიბებული იყო სამხრეთ მესოპოტამიის ხელოვნება და იწყებოდა მისი განვითარების ახალი საფეხურები.

ადრედინასტიური ხანის საბეჭდავები წარმოდგენილია სამ პერიოდად: პირველი, მეორე და მესამე ადრედინასტიური ხანის ნიმუშები, რაც განისაზღვრა არქეოლოგიური გათხრების შედეგად თელ-აშმარში და ხაფაჯაჰში.[1]

განსხვავება პირველ და მეორე პერიოდებს შორის აშკარაა მაშინ, როდესაც უფრო რთული გამოსარჩევია მეორე და მესამე პერიოდების ნიმუშები. პერიოდებს შორის ზუსტი ზღვრის დადგენა შეუძლებელია, თუმცა პირველი პერიოდი ძალიან მოკლე ჩანს, ხოლო მესამე – ყველაზე გრძელი, რომელიც დაახლოებით ძვ.წ.აღ. 2600 წლიდან უნდა დაწყებულიყო.

[1] H. Frankfort, In Oriental Institute Comunication, no.20, Chicago, 1942.

პირველი ადრედინასტიური პერიოდი

პირველი ადრედინასტიური პერიოდის საბეჭდავების დიზაინი შეიცავს უძველეს ფორმებს. აქ მეორდება ცხოველთა გამოსახულებები. ამ დიზაინს ჰ. ფრანკფორტი „ფარჩის სტილს“ უწოდებს. ეს სტილი ნათლად ჩანს მე-17 და მე-19 საბეჭდავებზე.[1] თუ ერთმანეთს შევადარებთ მე-17 და მე-7 საბეჭდავებს, აშკარაა მჭიდრო კავშირი ჯემდეთ-ნასრის პერიოდთან. ადამიანთა დაუმთავრებელი, უხეში ფიგურები, რომელთაც მე-11 საბეჭდავზე ვხედავთ, რაც იშვიათი მოვლენაა „ფარჩის სტილის“ ცილინდრულ საბეჭდავებზე.

მე-17 – მე-19 საბეჭდავების თემატიკა საკმაოდ რთული დასადგენია. მათი ფიგურების დიზაინი არ დგას ერთმანეთთან ახლოს. საბეჭდავების მჭრელები, ყველა შემთხვევაში, აქცენტს აკეთებენ ექსკლუზიურ ორნამენტზე. ამის მაგალითია მე-17 საბეჭდავი, რომელიც გაფორმებულია მოხტუნავე ქურციკებით. შემდგომ ეს სტილი უნდა გადაეღოთ ბაბილონელებს I ათასწლეულში. სავარაუდოდ, ეს საბეჭდავი პირად ხმარებაში უნდა ყოფილიყო.

„ფარჩის სტილის“ საბეჭდავების მოგრძო, თხელი, ფორმა წარმოიშვა ჯემდეთ-ნასრის პერიოდისათვის დამახასიათებელი ტიპური საბეჭდავებისგან, რაც მე-14 ნიმუშზეა ასახული. მასალას ძირითადად წარმოადგენდა სერპენტინი და კირქვა.



17



18

[1] Porada Edith, Mesopotamian Art in Cylinder Seals of The Pierpont Morgan Library, New York, 1947, no. 11-13; იხ. 17-19. 17 – ფარჩის სტილი, შავი სერპენტინი, 8,45X1,8 სმ; 18 – მწვანე სერპენტინი, 4,1X1,3 სმ; 19 – შავი სერპენტინი, 4,2X1, 05 სმ.



19



20

ეს საბეჭდავები ფორმითაც და დიზაინითაც განსხვავებულია ამავე პერიოდის საბეჭდავთა ანაბეჭდებისგან, რომლებიც ურის გათხრებზე აღმოჩნდა. მხოლოდ მე-20[1] ნიმუში მიეკუთვნება იმ საბეჭდავთა კლასს, რომელიც აღმოჩენილია ურის გათხრებზე. I ადრედინასტიური ხანის ურის განათხარ მასალაში უხვადაა წარმოდგენილი მსგავსი ჩაჩოქილი ირმები თაღისებრი რქებით.

მეორე ადრედინასტიური პერიოდი

II ადრედინასტიური პერიოდის გლიპტიკის სტილი წინა პერიოდის ტენდენციების გაგრძელებაა, თუმცა ამ დროს ხდება დეკორატიული ორნამენტის სრულყოფა. დიზაინის კომპოზიციაც უფრო რიტმული ხდება. ადამიანებიც და ცხოველებიც დიზაინის მთელ სიგრძეზე, უმეტესად, ნახევრად მოხრილ მდგომარეობაშია გამოსახული. ფიგურის პოზის მიუხედავად, თავები სიგრძეზეა განლაგებული. ამის თვალსაჩინო მაგალითია 22-ე ნიმუში, სადაც ცხოველთა მწკრივია წარმოდგენილი, რაც II ადრედინასტიური პერიოდის სახასიათო სტილია.[1]

[1] Corpus of Ancient Near Eastern Seals in North Ametican Collections, The Bollongen Series XIV, Pantheon Books,1949, no. 49. იხ. 20. I ადრედინასტიური პერიოდი, მომწვანო სტეატიტი, 3,15X2,5 სმ.

ამ პერიოდის ძირითადი თემაა პაექრობები დემონებს, გმირებს, ცხოველებსა და მონსტრებს შორის (იხ. 23-4[2]). ამ პაექრობის ფრიზის ელემენტები შერწყმულია მითოლოგიურ წარმოდგენებთან.[3]



21

ამ პერიოდში არ იცვლება ცილინდრების ზომაც. მასალად გამოიყენება კირქვა, მარმარილი, კალციტი, ნიჟარის გული, ონიქსის მარმარილო, ალებასტრი და ლილაქვა.

რიტმული ორნამენტის განვითარება დაიწყო I ადრედინასტიურ პერიოდში. იგი გამიზნულია დეკორაციისთვის და წარმოდგენილია II ადრედინასტიურ პერიოდშიც. ამ დროს გაფანტულ ფიგურებს ცვლის ადამიანისა და ცხოველების ფრიზებად განლაგებული ფიგურები (22-24). სხეულები საბეჭდავის მთელ სიმაღლეზეა განთავსებული და, შესაბამისად, თავებიც ერთ სიმაღლეზეა, რაც

[1] Porada Edith, Mesopotamian Art in Cylinder Seals of The Pierpont Morgan Library, New York, 1947, no. 14. იხ. 22. უკანა თათებზე შემდგარი ხარები და მცენარე მოვარდისფო მარმარილო; 2,5X2,0 სმ.

[2] Porada Edith, Mesopotamian Art...., no. 15-16. იხ. 23 – პაექრობის სცენა, თეთრი მარმარილო; 2,6X1,6 სმ; 24 – ფრიზი მონსტრებით, სადაფი, 1,4X3,0 სმ.

[3] Corpus of Ancient Near Eastern Seals in North Ametican Collections, The Bollingen Series XIV, Pantheon Books, 1949, no. 62. იხ. 21 – ლილაქვა, 2,5X1,2. რქოსანი ღვთაება აკლდამის წინ სვამს მილაკით; ადამიანის ფიგურა ლომით ეგებება; ზემოთ ახალი მთვარე და ლომისთავიანი გველებია გამოსახული.

უკვე მკაფიოდ ჩამოყალიბებულ სისტემას ექვემდებარება. განსაკუთრებით სახასიათოდაა წარმოდგენილი ცხოველები, რომლებიც მხოლოდ უკანა ფეხებზე დგანან ძალიან დახვეწილი ფორმებით. მათ თავები ხშირად უკან აქვთ მიტრიალებული, რაც S–ის ფორმას ქმნის. 23-ე ნიმუშზე ფიგურები ერთმანეთს კვეთენ, რათა შეიქმნას მჭიდროდ ჩაქსოვილი ფრიზი. დიზაინის ეფექტს ამძაფრებს ლომის კუდების გადასვლა და შერწყმა გველის სხეულებთან. 24-ე ნიმუშზე გმირების ქვედატანი უერთდება ლომების ფიგურებს, რომელთაც გველის მსგავსი კუდები აქვთ.

I ადრედინასტიური პერიოდის „ფარჩის სტილის" დიზაინისგან განსხვავებით, არ არის ძნელი მეორე პერიოდის ფრიზების ინტერპრეტაცია. მაგალითად, 23-ე საბეჭდავზე ასახულია ამ პერიოდში ყველაზე უფრო გავრცელებული თემა – ჯოგებისა და ფარის მხეცებისაგან დაცვა.

ფარის ერთ-ერთი მცველი არის გმირი ორკუთხა თავსაბურავით, რაც მხოლოდ II ადრედინასტიური პერიოდის საბეჭდავებზე გვხვდება. მეორე დამცველი არის ადამიანი-ხარი. ეს არის არსება, რომელსაც ადამიანის სახე და ტორსი აქვს, ხოლო რქები, ფეხები და კუდი – ხარისა. ეს დამახასიათებელია მესოპოტამიური ხელოვნებისთვის. ის ხშირად ჩანს შიშველ გმირთან ერთად, რომელსაც აიგივებენ გილგამეშთან. ის მიიჩნევა ხოლმე გმირის მეგობარ ენქიდუდ, თუმცა გილგამეშის ეპოსში არსად არის ნათქვამი, რომ ენქიდუ ნახევრად ხარია. მას ქალივით გრძელი თმები და ბალნით დაფარული სხეული აქვს და ცხოვრობს მინდორში მხეცებთან ერთად.

ამ პერიოდის ცილინდრების ფორმა და ზომა წარმოდგენილია 22-ე, 23-ე და 24-ე საბეჭდავებზე. მასალად ყველაზე ხშირად გამოიყენება სადაფი, მარმარილო, სერპანტინი და ნახევრად გამჭვირვალე არაგონიტი. მცირე ზომის საბეჭდავებისთვის ასევე გამოიყენებოდა ლილაქვა. ამ დროს არ იცვლება ცილინდრების ზომაც. გარდა ამისა, ვხვდებით კირქვის, კალციტის, ონიქსის, მარმარილოს და ალებასტრის საბეჭდავებს.



22



23



24

მითოლოგიური უნდა იყოს მონსტრების კომპოზიციის თემა, რომელიც 24-ე ნიმუშზეა წარმოდგენილი. ადამიანთა და ცხოველთა აწეული თავები შესაძლოა იყოს ოსტატის მცდელობა, შეინარჩუნოს სიმეტრია და კომპაქტურობა.

პაექრობის ფრიზებში გმირები გამოირჩევიან მოძრაობის თავისუფლებით. ისინი ატარებენ ბრტყელ თავსაბურავს და მანტიას, რომელიც მუხლთან წვდებათ ამავე პერიოდის ქ. ქიშის ლილაქვის მოზაიკებზე გამოსახული ფიგურების მსგავსად. ეს მოტივები II ადრედინასტიური პერიოდის ცილინდრულ საბეჭდავებზეა გამოსახული (30).[1]

[1] Corpus of Ancient Near Eastern Seals in North Ametican Collections, The Bol-

ამ პერიოდისათვის სრულიად განსხვავებულია 27-ე და 29-ე ნიმუშები.[1] აქ წარმოდგენილი კომპოზიციები გადმოტანილია ქ. ფარას დეკორატიული თეფშის ფირფიტიდან.



25



26

27



28

29

30

lingen Series XIV, Pantheon Books, 1949, no 52. იხ. 30 – თეთრი მარმარილო, 2,8X2,35 სმ.

[1] Corpus of Ancient Near Eastern Seals....., no. 60-1; იხ. 27, 29. 27 – თეთრი მარმარილო, 2,6X1,6 სმ. ადამიანი-ხარი ხარსა და ვერძს შორის. 29 – ონიქსის მარმარილო; 3,7X2,4 სმ. დემონი ადამიანის ტორსით. წინ დიდი მორიელები.

ადამიანი-გმირები ებრძვიან ადამიან-ხარს, რომელიც პირველად ამ პერიოდში ჩნდება. როგორც აღვნიშნეთ, ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ეს პერსონაჟი ენქიდუა, გილგამეშის ეპოსის ეპიური გმირის, გილგამეშის მეგობარი. III ადრედინასტიური პერიოდის პაექრობის ფრიზები, რომელთა წყაროს გილგამეშის ეპოსი წარმოადგენს, სათავეს II ადრედინასტიურ პერიოდიდან იღებს.[1]

თავდამსხმელ ცხოველად გვევლინება ლომი, რომელიც ხან ფაფარითაა გამოსახული, ხან – მის გარეშე. მისი მსხვერპლი ძირითადად რქოსანი ცხოველები არიან. ცხოველების იკონოგრაფიაში მოცემულია II ადრედინასტიური პერიოდის ძირითადი სახასიათო შტრიხები.

III ადრედინასტიური პერიოდი

არქეოლოგიური თვალსაჩინოებების მიხედვით, III ადრედინასტიური პერიოდი შეიძლება ორ ფაზად დაიყოს, რაც გულისხმობს მასალას – 1) ხაფაჯაჰიდან, ქიშიდან და 2) ურიდან. ურის სამეფო სამარხები ასრულებს ბოლო ფაზას. ორ ფაზად დაყოფა განპირობებულია აქ წარმოდგენილი ცილინდრების სტილის მიხედვითაც. პირველი მათგანი აშკარად უფრო დაბალი ხარისხისაა (31),[2] ვიდრე მომდევნო (32).[3]

ცილინდრების ფორმები დაახლოებით იგივეა, რაც II ადრედინასტიურ პერიოდში, მაგრამ მრავლადაა უფრო მცირე ზომის ცილინდრებიც. საბეჭდავების მასალაც იგივეა და გამონაკლისს წარ-

[1] Corpus of Ancient Near Eastern Seals in North Ametican Collections, The Bollingen Series XIV, Pantheon Books, 1949, p. 10; no. 55-57. იხ. 26, 25; 26 – თეთრი კირქვა, 1,9X1,05 სმ. გმირი, ადამიანი-ხარი ორივე მხარეს ეჭიდებიან ლომებს და ქურციკებს. 25 – თეთრი მარმარილო, 2,9X2,35. ლომისთავიანი არწივი, ადამიანი და ორი ადამიანი-ხარი.

[2] Corpus of Ancient Near Eastern Seals in North Ametican Collections, The Bollingen Series XIV, Pantheon Books, 1949, no. 53. იხ. 31. თეთრი მარმარილო, 2,8X2,35 სმ. ლომი, ადამინი-ხარი, იბიქსი. პაექრობის სცენა.

[3] Porada Edith, Mesopotamian Art in Cylinder Seals of The Pierpont Morgan Library, New York, 1947, no. 17; იხ. 32 – პაექრობის ფრიზი, კრემისფერი მარმარილო, 4,1X2,5 სმ.

მოადგენს მხოლოდ რამდენიმე ოქროსა და ვერცხლის ცილინდრი, რომლებიც ურის სამარხებშია ნაპოვნი.[1]



31

ამ პერიოდის ოსტატები აგრძელებენ ცხოველებიანი ფრიზების შექმნას, მაგრამ გასაქანს აძლევენ საკუთარ შესაძლებლობებსაც და ქმნიან ინდივიდუალურ სტილს. მათ მიერ შექმნილი ნიმუშები ძალიან მაღალი ოსტატობითაა შესრულებული, როლებიც წარმოგვიდგენენ რადიკალურად სახეცვლილ კომპოზიციებს. ცხოველთა ფიგურები ზოგჯერ სრულიად გამართულია. ისინი უფრო თვალსაჩინოდ და სიზუსტის დაცვითაა წარმოდგენილი. მაგალითად, ლომები გადმოტანილია მასიური თავებით ისე თითქოს ზემოდან მოჩანს, რაც მეტი სიძლიერის ეფექტს იძლევა. ფიგურები უფრო ხშირად კვეთს ერთმანეთს, ვიდრე წინა პერიოდში, რაც, ერთი შეხედვით, ართულებს აღქმას, თუ რომელი თავი რომელ ტანს ეკუთვნის.

33-ე[2] საბეჭდავზე მისმა ამომჭრელმა ხარის ქვედატანი ჩაანაცვლა მარჯვენა მხარეს კატისებრი, ვერაგი არსების უკანა ფეხებით და თავით, რაც ადვილი აღსაქმელია. აქ იკვეთება კომპოზიციის ორი სქემა. პირველი მათგანი გვიჩვენებს (32-ე და 33-ე) ერთმანეთზე გადაბმულ ცხოველთა ჯგუფს. ისინი ხშირად წარმოდგენილია წყვილებადაც, სადაც ფიგურები კვეთს ერთმანეთს (32-ე). აქ გმირი ან ადამიანი-ხარი უტევს გვერდიდან. მეორე სქემა წარმოგვიდგენს

[1] Corpus of Ancient Near Eastern Seals in North Ametican Collections, The Bollongen Series XIV, Pantheon Books, 1949, p. 11-13;

[2] Corpus of Ancient Near Eastern Seals in North Ametican Collections, The Bollingen Series XIV, Pantheon Books, 1949, no. 85. იხ. 33 – ლილაქვა, 2,2X1,4 სმ. გმირი სატევრით, ხარის და ლომის ბრძოლა. ზედა ნაწილში ცარიელი სივრცეა წარწერისთვის.

გმირს, რომელიც ცენტრშია განთავსებული და იცავს ორრქიან ცხოველებს ორი მხეცისაგან. ამ ტიპისაა 34-ე ნიმუში.[1] იმ შემთხვევაში, თუ სივრცე ამის საშუალებას იძლევა, შესაძლებელია დამატებული იყოს სხვა ფიგურებიც, რომლებიც გარედან უტევენ ისე, როგორც შიშველი გმირი, რომელიც ლეოპარდს ხანჯალს და მოჩუქურთმებულ იარაღს უღერებს.

32

ადამიანებისა და დემონების ფიგურების უმეტესობა, რომლებიც ჩართული არის ამ პაექრობებში, ნაცნობია უფრო ადრეული პერიოდის საბეჭდავებიდან. 34-ე ნიმუშზე გამოსახული შიშველი გმირი და კაცი ზევით მიმართული კულულებით თავდაპირველად ჩნდება ურუქის პერიოდის საბეჭდავებზე. 32-ე ნიმუშზე წარმოდგენილი ადამიანი-ხარი პირველად გვხვდება 23-ეზე, რომელიც არის II ადრედინასტიური პერიოდის საბეჭდავი. III პერიოდში ხდება ამ გმირის სრულყოფა და იგი წარმოდგენილია წინახედიდან განიერი სახით.



33

[1] Porada Edith, Mesopotamian Art in Cylinder Seals of The Pierpont Morgan Library, New York, 1947, no. 19; იხ. 34. პაექრობის ფრიზი, ლილაქვა, 2,4X1,3 სმ.



34

34-ე ნიმუშზე ამოკვეთილი უნდა იყოს ურუქის უფლისწულის სახელი.[1]

a) Lugal.lú(?). me[š](?) .....

[p]ad(?). da.ni .....

b) Uru^{ki}.ga.....ურუქის

კომპოზიციაში ლურსმული ნიშნების ჩასმა ხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ სივრცე იძლეოდა ამის საშუალებას. ჩვეულებრივ, წარწერის ჩასაწერად ამ პერიოდში ცალკეა გამოყოფილი ზოლი, რომელიც ჩართული იყო კომპოზიციაში. როგორც 33-ე ნიმუშზეა წარმოდგენილი ეს ზოლი ცარიელია, ხოლო 32-ზე შევსებულია მორიელის გამოსახულებით. წარწერების ჩასმა ხდებოდა მყიდველის მოთხოვნითაც.

III ადრედინასტიურ პერიოდში საბეჭდავებისთვის იგივე ფორმები და მასალა გამოიყენებოდა, რაც წინა, მეორე პერიოდში. თუმცა, გათხრების შედეგად ნაპოვნია მესამე პერიოდის რამდენიმე ოქროსა და ვერცხლის საბეჭდავი.

პაექრობის (ბრძოლის) სცენები

პაექრობის სცენების ჩამოყალიბება ჯერ კიდევ გვიან IV ათასწლეულიდან იწყება. ამ დროს თანდათან შემუშავდა ლომის და ხარის ბრძოლის ვარიაციები. ლომი ძირითადად ზურგიდან ესხმის

[1] Corpus of Ancient Near Eastern Seals in North Ametican Collections, The Bollongen Series XIV, Pantheon Books, 1949, no. 8. იხ. 34 – ლილაქვა, 2,4X1,3 სმ.

თავს ხარს (35).[1] ამ ტიპის კომპოზიციები კვლავ გვხდება ადრეული პერიოდის საბეჭდავებზე (37),[2] მაგრამ ამ კომპოზიციებში უკვე ადამიანიცაა ჩართული. შემდეგ მოდის საბეჭდავები, სადაც ლომი წინა მხრიდან ესხმის ხარს (36).[3] აშკარაა ამ კომპოზიციის კავშირი 38-ე ნიმუშთან,[4] რომელიც დიალას რეგიონის საბეჭდავების ჯგუფს მიეკუთვნება. აქ პირველად ჩნდება ადამიანის შერკინება ხართან (39).[5]



35

36

37

38

[1] Dominique Collon, first Impressions Cylinder Seals in the Ancient Near East, British Museum Press, 1993, p. 193. no. 940. იხ. 35 – თეთრი კირქვა, 3,4X1,8 სმ.

[2] Dominique Collon, First Impressions... no. 77. იხ. 37 – ანაბეჭდი, ფარა, ერაყი.

[3] Dominique Collon, First Impressions... no. 941. იხ. 36 – ური, ერაყი, ანაბეჭდი. 3-4 სმ.

[4] Dominique Collon, First Impressions Cylinder Seals in the Ancient Near East, British Museum Press, 1987, p. 25. no. 61. იხ. 38 – თელ აგრაბი (შარას ტაძარი). მოყვითალო მინერალი; 3,1X2,5 სმ.

[5] Dominique Collon, first Impressions... no. 78. იხ. 39 – აბუ სალაბიხი, ერაყი; ქაშანური; 2,6 სმ.

39

მე-40 საბეჭდავის მიხედვით აშკარაა, რომ კომპოზიციები რადიკალურად შეიცვალა, ანუ ჰორიზონტალურიდან ვერტიკალურზე გადავიდა.[1] აქ გამოსახული ცხოველები ძირითადად უკანა ფეხებზეა შემართული, რაც მიუთითებს იმაზე, რომ კომპოზიცია განვითარდა და უფრო კომპლექსური გახდა. 41-ე ნიმუშზე გამოსახულია გადაჯაჭვული ლომები, რაც სირიული გავლენა უნდა იყოს.[2] მასალად ლილაქვის, ფერადი კირქვისა და ნიჟარების გამოყენება ნათელყოფს კონტაქტების განახლებას აღმოსავლეთთან.

40



41

[1] Dominique Collon, first Impressions Cylinder Seals in the Ancient Near East, British Museum Press, 1987, p. 29. no. 79. იხ. 40 – ფარა, ერაყი, ანაბეჭდი. 3,6 სმ.

[2] Dominique Collon, First Impressions... no. 944. იხ. 41. ფარა, ერაყი, სადაფი; 3,4X2,4 სმ.

ძვ.წ.აღ. 2600 წლიდან მოგვეპოვება ზუსტად დათარიღებული სამეფო ცილინდრული საბეჭდავები (42).[1] მისი თანამედროვე უნდა იყოს 44-ე საბეჭდავიც, რომლის მხოლოდ ანაბეჭდია ცნობილი.[2] მებრძოლთა შორის გვევლინება ადამიანისთავიანი ხარი, ხოლო ადამიანის ფიგურაში იგულისხმებოდა გმირი, რომელიც ხშირად შიშველია წარმოდგენილი და თავზე თმები ზემოთკენ მიმართული აქვს. ამ პერიოდის დასასრულს უკვე სრულყოფილი სახით ხდება მათი წარმოდგენა – წვერით, შუაზე გაყოფილი და ბოლოში დახვეული თმებით. 46-ე საბეჭდავი მიეკუთვნება ლილაქვის ცილინდრების კლასს, რომელზეც პაექრობის სცენა თხელი, ხაზოვანი ფიგურებით, ორ წყებად არის ასახული.[3] თავები, ზოგადად, კონტურებით არის წარმოდგენილი. 45-ე ნიმუშზე გამოსახულ ჰორიზონტალურ კომპოზიციაზე შემორჩენილია სახის ნაკვთები.[4] 43-ე საბეჭდავი წარმოადგენს სტილიზებულ ბრძოლის სცენას, რომელიც აშკარად უკავშირდება ურის სტილს. ეს სტილი გაგრძელდა და განვითარდა აქადურ პერიოდში.[5]

42



43

[1] Dominique Collon, First Impressions... no. 522. იხ. 42. ური, ერაყი. ანადეჭდი. წარწერა: Mes-anc-pada, ქიშის მეფე, თაყვანისმცემელი. მესანეპადა იყო ურის I დინასტიის I მეფე, ხოლო ტიტული ქიშის მეფე ნიშნავდა სრულიად შუმერის მეფეს.

[2] Dominique Collon, First Impressions Cylinder Seals in the Ancient Near East, British Museum Press, 1987, p. 29. no. 81. იხ. 44 – ფარა, ერაყი, ანაბეჭდი. წარწერაა: Anzu-Sud. 4,8 სმ.

[3] Dominique Collon, First Impressions.. no. 86. იხ. 46 – ლილაქვა; 2,3X0,7 სმ.

[4] Dominique Collon, First Impressions.. no. 87.იხ. 45 – აბუ სალაბიხი, ერაყი, თეთრი ქვა; 2,5X1,4 სმ.

[5] Dominique Collon, First Impressions Cylinder Seals in the Ancient Near East, British Museum Press, 1987, p. 31. no. 88. იხ. 43. ერაყი, ანაბეჭდი; 3,8 სმ.



44

45



46

ნადიმის სცენები

II და III ადრედინასტიურ პერიოდებში ყველაზე ხშირად რიტუალი წარმოდგენილია ნადიმის სცენებით. ცერემონიის ხასიათი თავს იჩენს ამავე პერიოდის არქეოლოგიურ მასალაში.[1] ცილინდრები, რომელზეც წარმოდგენილია ნადიმის სცენა ძირითადად ნაპოვნია ურში, დედოფალ შუბ-ადის სამარხში, ასევე ურის სხვა სამარხებში. ნადიმის სცენა წარმოდგენილია ხოლმე საბეჭდავის ზედა რეგისტრში, რომელიც ხშირად კავშირშია ქვედასთან. ამ საბეჭდავების დათარიღება ხერხდება მათი დიზაინის მიხედვით.

[1] H. Frankfort, Cylinder Seals, p. 77.

ის ცილინდრები, რომლებზეც გამოსახულია ლხინის სცენები, მონაწილეების მიხედვით შეიძლება სამ ჯგუფად დაიყოს. მდედრობითი და მამრობითი სქესის ფიგურები, რომლებიც სასმელს სვამენ: 1) დიდი ჭურჭლიდან სასმელი მილით, 2) ფინჯნიდან ან 3) მაგიდიდან იღებენ ჩვეულებრივად სასმელს. პირველი ორი გაბატონებულია სამხრეთ-დასავლეთში, ხოლო მესამე – მხოლოდ ჩრდოლოდასავლეთით. ამ საბეჭდავების უმრავლესობა ლილაქვისგანაა დამზადებული და ნაპოვნია მდიდრების, უფრო ხშირად, ქალების სამარხებში. ხშირ შემთხვევაში, ნადიმში მონაწილეობას იღებენ მუსიკოსები (47).[1] ზოგიერთი ცერემონია წარმოდგენილია ნავში ან ეტლში (50, 48-9).[2] როგორც ჩანს, ამ საბეჭდავებზე წარმოდგენილია მეფე და დედოფალი, რომლებიც შესაძლოა ეგებებიან ღვთაებებს, რომლებიც რელიგიური დღესასწაულების დროს მოგზაურობდნენ მეზობელ ქალაქ-სახელმწიფოებში და ესრწებოდნენ ნადიმებს. 53-ე არის III ადრედინასტიური სტილის თვალსაჩინო ნიმუში, როდესაც ძალიან გავრცელებული იყო საბეჭდავის იკონოგრაფიის გაყოფა.[3]

47

[1] Dominique Collon, First Impressions.. no. 660. იხ. 47 – ირანი, ჩოგა-მიში; ანაბეჭდი.

[2] Dominique Collon, First Impressions.. no. 756. იხ. 50 – ერაყი, თელ სულიმეში; კირქვა; 3,9X2,1 სმ. 722-იხ. 48 – ზედა რეგისტრში ფაეტონი, რომელშიც ოთხი ცხენია, ქვემოთ მკის ცერემონია ტაძართან. 4,8X2,5 სმ. 723 – იხ. 49 – სადაფი; 5,05X1,77 სმ.

[3] Dominique Collon, First Impressions Cylinder Seals in the Ancient Near East, British Museum Press, 1987, p. 31, no. 93. იხ. 51 – ური, ერაყი, წარწერა: He-kun-sig, ფაბილსაგის ქურუმი ქალი. ლილაქვა; 3,9 სმ. no. 92. იხ. 52 – ლილაქვა, 3,8X1,9 სმ. no. 91. იხ. 53 – მწვანე კირქვა; 4,1X2,0 სმ. no. 94. იხ. 54 – ხაფაჯაჰი, ერაყი; კირქვა; 2,4X1,1 სმ.



48



49



50



51



52



53

54

II და III ადრედინასტიური პერიოდების მითოლოგიური გამოსახულებები

ადრედინასტიური პერიოდის გლიპტიკაში მითოლოგიური ამ-ბების გადმოცემა შედარებით ნაკლებად გვხვდება. ამ პერიოდის ცილინდრები ძირითადად პაექრობის სცენებს წარმოგვიდგენს. სამი ნიმუშიდან (55-ე, 56-ე და 57-ე) პირველზე გამოსახულია დემონი (55-ე), ლომის თათებიანი ხელებით.[1] ეს ადამიანისა და მხეცის სხ-

[1] Porada Edith, Mesopotamian Art in Cylinder Seals of The Pierpont Morgan Li-

ეულების ფანტასტიკური კომბინაცია ჩამოჰგავს 23-ე საბეჭდავზე გამოსახულ არსებას და მის მსგავსად II ადრედინასტიურ პერიოდს განეკუთვნება. ადვილი მისახვედრია, რომ ამ დიზაინის უკან დგას მითოლოგიური, უკიდურეს შემთხვევაში, სიმბოლური მნიშვნელობა. უცნობია რას გულისხმობს ხელოვანი, როდესაც გამოსახავს დემონს, ობობას ან მორიელს.



55

56



57

brary, New York, 1947, no. 20. იხ. 55 – ლომისთათებიანი დემონი, მორიელი და პატარა დამჯდარი ფიგურა. ონიქსი 3,7X2,4 სმ.

56-ე არის III ადრედინასტიური პერიოდის საბეჭდავი. აქ ღმერთი ზის ნავში და მიემართება. ამ სცენას განმარტავენ, როგორც მზის ღმერთის მოგზაურობას მიწისქვეშეთში.[1]

ნავის უკან ადამიანი-ჩიტის გამოსახულებაა, რომელიც მომდევნო პერიოდში ჩანს, როგორც დასჯილი სიცოცხლის ბალახის მოპარვისთვის. მარცხენა მხარეს განთავსებული ლომი, თასი და გუთანი ყოველთვის წარმოდგენილია ასეთ სცენებში.

57-ე კომპოზიციის ზედა ნაწილში ვხედავთ ნადიმს, სადაც მოქეიფეებს აწეული აქვთ თასები და, სავარაუდოდ, სვამენ ლუდს, რაც ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სასმელი იყო ძველ მესოპოტამიაში.[2] ერთ-ერთი დამსწრე ემსახურება მარცხნივ მყოფ ფიგურას, ხოლო მეორე დაკავებულია საჭმლის მიწოდებით. აქ ადამიანთა ყოფა უნდა იყოს წარმოდგენილი. სცენა უნდა ასახავდეს ან სამგლოვიარო სუფრას, ან რაიმე პურობას, რომელიც რეგულარულად იმართებოდა წელიწადის გარკვეულ დღეს. ჰერალდიკის მოტივები, სადაც ორ ცხოველს შორის ფრთაგაშლილი არწივია გამოსახული, ხშირად ჩნდება ნადიმის მსგავსი სცენების ქვედა ნაწილში. ეს საბეჭდავი თარიღდება III ადრედინასტიური პერიოდით, რაც დასტურდება ქურში სამეფო სამარხების გათხრებზე აღმოჩენილი სხვა მრავალი ცილინდრული საბეჭდავითაც, რომლებზეც ასახულია ასეთივე ნადიმები.

[1] Porada Edith, Mesopotamian Art in Cylinder Seals of The Pierpont Morgan Library, New York, 1947, no. 21. იხ. 56 – ღმერთი ადამიანისთავიან ნავში. მოვარდისფრო მარმარილო; 2,2X1,5 სმ.

[2] Porada Edith, Mesopotamian Art, no. 22. იხ. 57 – ნადიმის სცენა და ფრიზი არწივით, მოყვითალო მარმარილო; 2,3X0,9 სმ.

აქადური და პოსტ-აქადური პერიოდები

აქადური პერიოდის ცილინდრული საბეჭდავები (ძვ. წ.აღ 2334-2000)

დაახლოებით ძვ.წ.აღ. 2330წ. სამხრეთ მესოპოტამიაში ძალაუფლების სათავეში მოვიდნენ სემიტი აქადელები სარგონის მეთაურობით.

სარგონმა ერთ სამეფოდ გააერთიანა შუმერული ქალაქ-სახელმწიფოები და დაიწყო საზღვრების გაფართოება ჩრდილოეთისა და დასავლეთისაკენ. როგორც ტექსტებშია გადმოცემული, მას მიუღწევია საწადლისათვის. სარგონმა დააარსა დედაქალაქი აქადი. აქადელები, სანამ სამხრეთ მესოპოტამიაში პოლიტიკურ პირველობას მოიპოვებდნენ, შუმერების გვერდით ცხოვრობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ კულტურული გახლეჩა უეცარი მოვლენა არ ყოფილა, სარგონის მეფობის პერიოდში ფუნდამენტურად იცვლება მესოპოტამიის ხელოვნება. შუმერების სიზმრებისა და ოცნებების მსგავს დიზაინს ცვლის დინამიური, რეალისტური ნამუშევრები, სადაც იგრძნობა ის ენერგია, რომელმაც აქადელები გამარჯვებამდე მიიყვანა.

სარგონის დროს მკვიდრდება ახალი სტილი ხელოვნებაში, უფრო ზუსტად, ამ სტილის სრულყოფა მიეწერებათ მის მემკვიდრეებს. სარგონის პერიოდის ხელოვნებას სრულიად ახალი დინამიკა ახასიათებს, რომელიც მკვეთრად განსხვავდება ადრედინასტიური პერიოდისაგან და ასევე მომდევნო, პოსტ-აქადური პერიოდისაგან. აქადის დინასტია გაბატონებული იყო 150 წლის მანძილზე, ხოლო მისი იკონოგრაფიული და სტილისტური სიახლენი საუკუნეთა მანძილზე იშლებოდა მთელ ძველ ახლო აღმოსავლეთში.



58

59

აქადური პერიოდის პაექრობის ადრეულ სცენებზე გვხვდება შედარებით განცალკევებული ჯგუფები, რომლებიც თანდათან უფრო დამოუკიდებელია და საბოლოოდ ყალიბდება წყვილებად, რათა იქვე მოთავსდეს საკმაოდ გრძელი წარწერა. ეს წარწერა წყვილების რაოდენობას ორამდე ამცირებს (58).[1] კლასიკური აქადური ბრძოლის სცენა საბოლოოდ სრულყოფილი ხდება სარგონის უფროსი ვაჟის, ნარამსინის მეფობის დროს. ამ პერიოდს მიეკუთვნება კარგად დამუშავებული ვარიაციები (59).[2] მათ დასამზადებლად იყენებდნენ საუკეთესო მასალას – მალაქიტს, წითელ და მწვანე იასპს, მთის ბროლს, წინწკლებიან გიშერს და თეთრ დიორიტს, ასევე ლილაქვას. ეს საბეჭდავები ფორმდებოდა ორნამენტებიანი მეტალის თავით, რომელთა მიხედვითაც ისინი შეიძლება დავყოთ I, II, III აქადურ პერიოდებად.[3]

---

[1] Dominique Collon, First Impressions Cylinder Seals in the Ancient Near East, British Museum Press, 1987, no. 99. იხ. 58 – საყურადღებოა აფრიკული ანტილოპა დაბლა; სივრცე დატოვებულია წარწერისათვის. დიორიტი; 3,3X2,1 სმ.

[2] Dominique Collon, no. 100. იხ. 59 – ური, ერაყი. ყავისფერი სტეატიტი; 3,6X2,4 სმ.

[3] Dominique Collon, First Impressions Cylinder Seals in the Ancient Near East,

ადრედინასტიური ხანის საბეჭდავების ძირითადი თემა იყო ნადიმი, რაც აქადურ პერიოდშიც გაგრძელდა, მაგრამ, ხშირ შემთხვევაში, მათ წარდგენის სცენები ენაცვლება. ვარაუდობენ, რომ წარდგენის სცენით ჩანაცვლება იმიტომ მოხდა, რომ განცალკევებით წარმოეჩინათ ღვთაებები.

სარგონიდული სტილის ევოლუცია აშკარად ჩანს ცხოველთა პაექრობების ამსახველი ფრიზების ტრანსფორმაციაში, რომლებიც ნაკლებად ჩახლართულია ადრედინასტიური პერიოდისაგან განსხვავებით, რასაც ენაცვლება მხეცებისა და გმირების გაცილებით უფრო დამაჯერებელი და გამოკვეთილი ფიგურები.

ყველაზე ადრეული აქადური საბეჭდავები ასახავს ნაწილობრივ გადასვლას ძველი ეპოქიდან (60).[1] ფიგურები უფრო რეალისტურია, თუმცა მარჯვენა ლომი წარმოდგენილია წინა ხედით, რაც მის პოზას დიდებულებას სძენს. საბეჭდავზე შემდეგი წარწერაა:

I-lum-ba-ni .....

u r. PA(?) ილუმ-ბანი.



60

61 და 62 საბეჭდავები მთლიანად ღრმად, აქადური სტილითაა შესრულებული. ცხოველები კვლავ უფრო ძლიერ და შთამბეჭდავ ფიგურებად რჩება.[2] ფიგურები მთლიანად პროფილშია წარმოდგენილი. სხეულის თითოეული კუნთი ფაქიზად და დახვეწილად არის გამოკვეთილი. შიშველი გმირის ფიგურასაც ეტყობა მსგავსი მეტამორფოზა. მე-60 ნიმუშზე მისი სახე ჯერ კიდევ ადრედინასტიური საბეჭდავიდან არის გადმოღებული. თვალის გუგა გამოსახულია პატარა ნახვრეტით, ხოლო ქუთუთო გამოუკვეთელია და ძლივს მოჩანს. გვიანაქადური პერიოდის საბეჭდავებზე გმირის თვალები, შესაბამისად, ქუთუთოებშია ჩასმული.

British Museum Press, 1993, p. 20-32.

[1] Porada Edith, Mesopotamian Art ..., no. 23; იხ. 60. შავი სერპენტინი; 3,7X2,5 სმ.

[2] Porada Edith, Mesopotamian Art ..., no. 24. იხ. 61 – შიშველი გმირი და ადამიანი-ხარი. შავი სერპენტინი; 3,6X2,5 სმ. no. 25. იხ. 62 – შიშველი გმირი და ადამიანი-ხარი. წითელი და მწვანე იასპი; 3,2X2,2 სმ.



61

61ა



62

61-ე საბეჭდავზე ზემოთ აწეული მოხრილი ხელი არის ერთადერთი ხელოვნური შტრიხი ფიგურის გამოსახვისას. აქ საბეჭდავის ოსტატს სურს გმირის ხელით და მსხვერპლის წინა ფეხით შექმნას რომბისებური ბალანსი. გავრცელებულია ბრძოლის რეალისტური პოზა.

ამ დროს უკვე აღარ გვხვდება მჭიდროდ ჩაქსოვილი ფრიზები. ცხოველთა ბრძოლის ყველაზე ეფექტური ნიმუშია 61-ე და 62-ე საბეჭდავებზე გამოსახული მებრძოლები ტიპურ აქადურ პოზაში.

წყვილები განთავსებულია ჰერალდიკისთვის დამახასიათებელი მანერით – წარწერით ორივე მხარეს, სადაც მოცემულია საბეჭდავის მფლობელის მონაცემები.

ადრედინასტიურ პერიოდში შექმნილი ფანტასტიკური არსებებიდან აქადურ პერიოდში ერთადერთია შემორჩენილი. ეს არის ადამიანი-ხარი, რომელიც კვლავ ჩანს შიშველ გმირთან ერთად. თუმცა, ხშირად ხდება ამ ზეადამიანური ფიგურების ჩანაცვლება ადამიანი-მონადირით (63).[1] გმირებსა და მონადირეებს უპირისპირდებიან რქოსანი ცხოველები და ლომები, ისევე როგორც ადრედინასტიურ პერიოდში. საბეჭავზე შემდეგი წარწერაა:

Lugal-an- ni	ლუგალ-ან-ნი
dub-s[ar]	დამწერი.



63

ახალ რქოსან ცხოველთა შორის არის კამეჩი, რომლის განივრად მოჩუქურთმებული რქები წარმოდგენილია 61-ე საბეჭდავზე. კამეჩის თავი დაზიანებულია, თუმცა მაინც შეინიშნება ტკივილისაგან დანაოჭებული დრუნჩი.

ადრეულ აქადურ პერიოდს განეკუთვნება 64-ე საბეჭდავი.[2] აქ ჩვენ ვხედავთ ღმერთების ბრძოლას. ცხრა ღვთაება ხელჩართულ

[1] Corpus of Ancient Near Eastern Seals in North Ametican Collections, The Bollongen Series XIV, Pantheon Books,1949, p. 22, no. 166; იხ. 63 – მწვანე სერპენტინი; 2,7X1,7 სმ.

[2] Ancient Near Eastern Seals, A Selection of Stamp and Cylinder Seals from the Collection of Mrs. William H. Moore, The Metropolitan Museum of Art, by Elizabeth Williams forte, 1977, no. 21. იხ. 64 – ლილაქვა; 2,8X1,6 სმ.

ბრძოლაშია ჩაბმული. ოთხი მათგანი ატარებს გრძელ ნაკეცებიან ქვედა ბოლოს, ხოლო დანარჩენი – ორნამენტებიანს. წაქცეული ღვთაების თავზე სამი პარალელური ხაზია დატოვებული წარწერისათვის. ეს ე.წ. მურის საბეჭდავია, რომელიც ბრიტანელმა არქეოლოგებმა 1927-28წ. იპოვეს ტელ-ინგჰარაში, ქ. ქიშის უძველეს ნაწილში. სტილისტური და იკონოგრაფიული თვალსაზრისით, ეს საბეჭდავი მიაკუთვნეს ადრეულ აქადურ პერიოდს და წარმოადგენს ამ პერიოდის ქ. ქიშის სამარხების თვალსაჩინო მასალას. აქ, მდიდართა სამარხებში, ვხვდებით ლილაქვის საბეჭდავებს, თიხის და ალებასტრის ჭურჭელს, სპილენძის ქინძისთავებს, ოქროს, ლილაქვის, პასტის მძივებს, ოქროთი მოვარაყებული თავის ქალის ნაწილებს და სპილოს ძვლის სავარცხლებს.



64

ბრძოლაში ჩართული ღვთაებები, რომლებიც ამ უნიკალურ საბეჭდავზეა გამოსახული, შეგვიძლია მხოლოდ მათი ქვედა ბოლოების ქსოვილის მიხედვით განვასხვავოთ. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი სცენები ცნობილია, წარმოდგენილი საბეჭდავის ზუსტი მოდელი და დეტალები არ გვხვდება. ის მიეკუთვნება განსაკუთრებულ, ბრწყინვალე ოსტატთა ნამუშევართა რიცხვს.

მესოპოტამიის ხელოვნება თავისი განვითარების მწვერვალს აღწევს აქადურ პერიოდში. საბეჭდავების დიზაინის კომპოზიციები, რომლებიც ამ დროს შეიქმნა, გამოიყენება ძვ.წ. II ათასწ. შუა ხანებამდე.

უნდა აღინიშნოს აქადური პერიოდის უმთავრესი მიღწევა, რაც გამოიხატება შუმერული მიწის ღვთაებებისა და აქადური ასტრალური ღვთაებების ოფიციალურ პანთეონად ჩამოყალიბებაში. ამით აიხსნება ღვთაებების ხშირი გამოსახვა აქადური პერიოდის საბეჭდავებზე. ყველაზე პოპულარული მზის ღმერთი იყო. ის გამოისახება მხრებიდან ამოსული სხივებით და დანით, რომელიც გზას ჭრის მთებზე (65), ხოლო დამსწრეებს უჭირავთ განთიადის კარიბჭე.[1] ზოგიერთ ნიმუშზე იგი ზის და იღებს თაყვანისმცემლებს. წყლის ღვთაების გამოსახულებას წყლის ნაკადი სდის მხრებიდან, ხშირად ჩანს თევზის და ადამიანი-ჩიტის წინ (76).



65



66



67

[1] Pierre Amiet, Cylinder Seals of the Agade Period, Ancient Art in Seals, Edited and Introduced by Edith Porada, Princeton University Press, Princeton, New Jersey. fig. II-8. იხ. 65 – სერპენტინი; 3,8X2,5 სმ.



68



69

წარდგენის სცენების ძირითადი მასალა იყო სერპენტინი. ამიტომაც, ეს საბეჭდავები უფრო დიდი ზომისაა და მათ ჩაზნექილი ბოლოები ახასიათებთ (66-7).[1]

ძალიან იშვიათად სცენები განლაგებულია ორ წყებად. ეს არის ადრეული აქადური საბეჭდავების კონკრეტული ჯგუფი, რომელიც ტიგროსის ჯგუფის სახელითაა ცნობილი, რადგანაც მსგავსი ნიმუშები ცნობილია ტიგროსის მხარიდან, ან მისი აღმოსავლეთიდან (68).[2] ეს საბეჭდავები მზადდებოდა სადაფისგან, ხოლო საზღვრები გაკეთებულია თევზიფხური ქარგვით, 69-ე საბეჭდავი გვიანდელია, რადგან მასზე სხვა თევზიფხური ორნამენტია გამოსახული.[3]

[1] Dominique Collon, First Impressions Cylinder Seals in the Ancient Near East, British Museum Press, 1993, no. 107-8; იხ. 66-7. 66 – სერპენტინი; 3,45X2,05 სმ. 67 – სადაფი; 3,5X2,0 სმ.

[2] Dominique Collon, First Impressions..., no. 109, იხ. 68 – სადაფი; 6,2X2,5 სმ.

[3] Dominique Collon, First Impressions..., no. 110, იხ. 69 – წარწერა: ნინმელილა, ურ-დადას ცოლი. ლილაქვა; 3,1X1,45 სმ.

ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია ღვთაებებისა და ადამიანების წარმოდგენა მითებში, ყოველდღიურ ცხოვრებასა და ნადირობის დროს. არ არის ცნობილი, თუ რა ფუნქცია ჰქონდათ ამ საბეჭდავებს, რადგანაც მათი უმეტესობა მოგვეპოვება აქადის სამეფოს გარე რაიონებიდან, მაგალითად, სირიიდან, რაც მათი გამოყენების შესახებ ზუსტ სურათს ვერ იძლევა. ერთი კი ცხადია, რომ აქადური ცილინდრული საბეჭდავები წარმოადგენდა პირადი მორთულობის საგნებს და მათი ხელახლა გამოყენება გრძელდებოდა გვიან პერიოდებშიც. აქადური ცილინდრული საბეჭდავების ნაკვალევს ვხვდებით ცენტრალურ ანატოლიაში. ლილაქვის აქადური საბეჭდავი ჩასმულია XX დინასტიის ეგვიპტელი ფარაონის ოქროს სამაჯურშიც.[1]

70-ე საბეჭდავი განეკუთვნება გვიანაქადურ პერიოდს.[2] აქ ვხედავთ ტახტზე მჯდომ შამაშს, რომელსაც ხელში ხერხი უპყრია და მხრებიდან სხივები ამოსდის. მას უახლოვდება ფიგურა, რომელსაც არშიამოყოლებული სამოსი აცვია და ხელში სასწორი უჭირავს, რომელიც ხარისფეხებიანი საკურთხევლის თავზე აქვს გაჩერებული. თაყვანისმცემელს ხელში უჭირავს შესაწირი ცხოველი. პატარა დამსწრე ფიგურას რაღაც მომცრო საგანი უჭირავს მეორე საკურთხევლის თავზე. კუთხეებში მცენარეებია გამოსახული. წარწერისთვის გამიზნული ჩარჩო დაუმთავრებელია.

70

[1] Dominique Collon, First Impressions Cylinder Seals in the Ancient Near East, British Museum Press, 1987, p. 34

[2] Ancient Near Eastern Seals, A Selection of Stamp and Cylinder Seals from the Collection of Mrs. William H. Moore, The Metropolitan Museum of Art, by Elizabeth Williams forte, 1977, no. 18. იხ. 70 – მარმარილო; 2,0X1,3 სმ.

ამ უნიკალურ საბეჭდავზე გამოსახულია მზის ღმერთი შამაში, როგორც უზენაესი მოსამართლე. ის კანონს და სამართალს იცავს – თავისი ხერხით ჭრის გადაწყვეტილებებს. აქვე ვხედავთ სამართლიანობის სიმბოლოს, სასწორის უნიკალურ გამოსახულებას, რომელიც ხელში უჭირავს შამაშის წინ მდგომ ფიგურას. ეს სიმბოლო დღესაც ძალაშია და იგი უნდა უკავშირდებოდეს ეგვიპტურ ანუბისს,[1] რომელიც წონიდა გარდაცვლილთა სულებს. რადგანაც შამაში თავისი მოგზაურობისას ხერხით ჭრის გზას და ყველაფერს, რაც ამ გზაზე შეხვდება, მას შეეფერება მოსამართლის როლი. შესაძლოა, ჩვენ წინაშეა შამაში, რომელიც „წონის" გადაწყვეტილებას მასთან თხოვნით მისული თაყვანისმცემლისთვის.

71-ე საბეჭდავზე კვლავ მზის ღმერთს ვხედავთ, რომელსაც მისთვის დამახასიათებელი სხივები ამოსდის მხრებიდან.[2] ის ატარებს ფურჩალებიან კაბას. მას უახლოვდება ოთხი ღვთაება ნაკეცებიანი ქვედაბოლოებით. პირველი ასევე მზის ღმერთი უნდა იყოს, რომელსაც მაჯაში აქვს ჩავლებული ხელი მომდევნო ღვთაებისთვის. მესამეს კვერთხი აქვს მხარზე გადებული და თაყვანისცემის ჟესტით შესცქერის ტახტზე მჯდომ მზის ღმერთს. მეოთხეს წელზე აქვს ხელები შემოჭდობილი. ბოლოში, პატარა ღვთაების თავზე, რომელსაც ხელში ლარნაკი უჭირავს, წარწერაა მოთავსებული. წარწერა გვამცნობს შემდეგს:

lugal-bum ლუგალ-ბუმი (=Shar-Pum)

dub-sar დამწერი.

[1] ანუბისი – (ეგვიპტ. „ინპუ", ბერძ. „ანუბისი") ოსირისისა და ნეფტიდას შვილი. მიცვალებულთა მფარველი. გამოისახებოდა ტურის ან ძაღლის სახით. ანუბისი ითვლებოდა ღმერთების მოსამართლედ (ეგვიპტ. „მოსამართლე" იწერებოდა ტურის ნიშნით). სამსონია ნ., ეგვიპტური მითოლოგიის ლექსიკონი, თსუ, 2005, გვ. 12.

[2] Williams Forte Elizabeth, Ancient Near Eastern Seals, A Selection of Stamp and Cylinder Seals from the Collection of Mrs. William H. Moore, The Metropolitan Museum of Art, 1977, no. 19. იხ. 71 – მარმარილო; 4,5X3,0 სმ.



71

აქ, ადრეული პერიოდებისგან განსხვავებით, ღვთაებები ადამიანურ სამოსში არიან წარმოდგენილი. აქადურ პერიოდში უფრო ხშირად ხდება ღვთაებათა ანთროპომორფულად გამოსახვა. მათ ღვთაებრიობაზე მხოლოდ მათი რქოსანი თავსაბურავი მიუთითებს. მხრებიდან ამოსული სხივებით დასტურდება, რომ წარმოდგენილი ღვთაება შამაშია. საბეჭდავის ოსტატი გვაძლევს ღმერთების კრების სცენის უნიკალურ ნიმუშს. უფრო გვიანდელი ტექსტი, რომელიც ხოტბას ასხამს შამაშს, მიმართავს ღმერთების სასამართლოს და შეესაბამება ამ საბეჭდავზე წარმოდგენილ სცენას. აქ ჩამოთვლილია ღმერთები: სინი, როგორც მოსამართლე; ანუ და ენლილი, რომლის გარეშეც არაფერი წყდება; ეა, რომელიც ადგენს სამყაროს სამართალს. აქ ყველა ღვთაების ყურადღება შამაშის ბრწყინვალებისკენაა მიმართული.[1]

ქ. ნიფურში აღმოჩნდა საბეჭდავი ბრწყინვალე იკონოგრაფიით (73), სადაც მთვარის ღმერთია გამოსახული. ამ საბეჭდავის იკონოგრაფიის საშუალებით დადასტურდა, რომ მრავალ საბეჭდავზე წარმოდგენილი გამოსახულება მზის ღმერთად იყო მიჩნეული, სინამდვილეში კი ისინი მთვარის ღმერთს გამოხატავენ.[2] დ. კოლონის აზრით, სხივებით გამოსახული ყველა ღვთაება არ არის

[1] Ancient Near Eastern Seals, A Selection of Stamp and Cylinder Seals from the Collection of Mrs. William H. Moore, The Metropolitan Museum of Art, by Elizabeth Williams forte, 1977.

[2] Dominique Collon, Moon, Boats and Battle, Sumerian Gods and Their Representations, 1997, p. 10-15. no. 11. იხ. 73 – დიორიტი; 3,6X2,4 სმ.

სოლარული ღვთაება. სცენები, სადაც ღვთაებებიც მონაწილეობენ ბრძოლაში, ხშირად ასახავს დღის (ნათელის) ბრძოლას წყვდიადთან – ღამესთან. ბევრია ისეთი სცენა, სადაც ღვთაება მთაზე ზის და სხივების გარეშეა გამოსახული, როგორც ამას მრავალ საბეჭდავზე ვხედავთ. მესოპოტამიაში მზე ზაგროსის მთიანეთიდან ამოდის. აქ მზის ღვთაება ორ მთას შორის დგას ისე, როგორც ხედავდნენ მზის ამოსვლას მესოპოტამიის მკვიდრნი (მაგ. 65). აქედან გამომდინარე, ლოგიკურია დღისა და ღამის ბრძოლა მთებთან.



72



73

აქ დამარცხებული ღვთაება, რომელიც მთის უკან ვარდება, მთის ღვთაებად რჩება. დღის და ღამის მონაცვლეობის მიხედვით, დამარცხებული ხან მზის ღმერთია და ხან მთვარის. ამის თვალსაჩინო ნიმუშია 72-ე საბეჭდავი, სადაც მზის ღმერთი მთვარის ღმერთის მუხლზეა შემდგარი, ხოლო უკან მთაა გამოსახული.[1] თუმცა, შესაძლებელია ამ სცენის სხვაგვარი ინტერპრეტაციაც, რის დასასაბუთებლადაც საჭიროა შესაბამისი სიტყვიერი მასალა.

[1] Dominique Collon, Moon, Boats and Battle, Sumerian Gods and Their Representations, 1997, p. 17. no. 14. იხ. 72-სერპენტინი; 4,0X2,5 სმ.

აქადური პერიოდის საბეჭდავების ძირითადი თემა მითოლოგიაა. აქ წარმოდგენილია ღვთაებები სხვადასხვა მითოლოგიურ სცენებში. მეცნიერებმა მიიჩნიეს, რომ ამ სცენებით ხდება ტექსტების ილუსტრირება. ძირითადად, ეს უნდა ყოფილიყო შესაქმის მითის და გილგამეშის ეპოსის ილუსტრირება. ამგვარ კავშირს ადასტურებს ორი ტიპის მასალა– ტექსტები და მათი გამოსახულებები. გილგამეშის ეპოსის (ადრე იკითხებოდა, როგორც იზდუბარი) და ZU-ჩიტის ილუსტრირება 1883 წელს დაასაბუთა ი. მენანტმა და დასაბამი მისცა ამ საკითხების კვლევას.[1] ამ მიმართულებით კვლევა გააგრძელა ჰ. ფრანკფორტმა. მან ცილინდრების დიზაინი თემატურად შეუსაბამა ტექსტებს. მკვლევარმა ეს მეთოდი გლიპტიკის ხელოვნებისათვის ყველაზე მიზანშეწონილად მიიჩნია, რაც დაასაბუთა თავის მონოგრაფიაში – Cylinder Seals.[2] ამ ნაშრომში, ტექსტობრივ მასალაზე დაყრდნობით, განხილულია აქადური პერიოდის ცილინდრული საბეჭდავების იკონოგრაფიაც.

ამის საპირისპიროდ ა. მორტგატმა აქცენტი გააკეთა თამუზის თემაზე, რომელიც ძველ ახლო აღმოსავლეთში იკონოგრაფიის საფუძვლად არის მიჩნეული. მკვლევარი აღნიშნავს, რომ შეუძლებელია თარიღის ზუსტად განსაზღვრა და ამიტომ ტექსტებში აქცენტი უნდა გაკეთდეს არა კონკრეტულ სიტყვებზე, არამედ ჩანაფიქრზე და იმ ძირითად იდეაზე, რაც ასაზრდოებდა ხელოვანს ძველ ახლო აღმოსავლეთში.[3]

აქადური იკონოგრაფიის ჰიპოთეტური მოდელები უნდა წარმოადგენდეს აქადელი ოსტატების საბეჭდავების ორიგინალებს, მათ პერსონალურ შემოქმედებას. აქადური პერიოდის საბეჭდავების მჭრელები დიდი ორიგინალობით გამოირჩევიან. ის, რაც შეიქმნა აქადურ პერიოდამდე იყო ცხოველებისა და მონსტრების ნატურალ-

[1] Joachim Menant, Les pieres de la haute Asie: Recherches sur la glyptique orientale, 1, Paris, 1883.

[2] Henri Frankfort, Cylinder Seals: A Documentary Essay on the Art and Religion of ythe Ancient Near East, London, 1939.

[3] Anton Moortgat, Tammuz: Der Unterchkeitsglaube in der altorientalischen Bildkunst, Berlin, 1949.

ისტური სახით გადმოცემული ფიგურები; ხოლო აქადელი ოსტატები ახდენენ მიღებული მემკვიდრეობის გარდაქმნას ფოლკლორულ მითოლოგიად. აქ ღვთაებები ანთროპომორფული არიან და, ამასთან, გვევლინებიან, როგორც კაცთა მოდგმის მბრძანებლებად. ისინი ხშირად გამოისახებიან ცალ-ცალკე.[1]

აქადურ პერიოდში კოსმიური ძალების გადმოცემა ხდება ანთროპომორფული ღმერთის მეშვეობით. უფრო ადრეულ ხანაში ეს ძალები პერსონიფიცირებული იყო მონსტრებითა და ცხოველებით (მაგ.; მორიელი-კაცი, რომელიც ატლანტის ტიპისაა).[2] ეს ფიგურა ადრედინასტიურ ხანაში შეიქმნა და ჩანს აქადურ პერიოდშიც, სადაც მას ღმერთი ამარცხებს (75).[3] მოგვიანებით, ძვ.წ.აღ. II ათასწლეულში, ბაბილონურ წარმოსახვაში კაცი–მორიელი უერთდება ბოროტ ძალებს და პირველყოფილი ურჩხულის, თიამათის ბანაკში იმყოფება, როგორც ეს ბაბილონური შესაქმის მითშია გადმოცემული.[4]

რაც შეეხება გილგამეშის ეპოსს, სადაც ადრედინასტიური ხანის ორიგინალური ტრადიციები მეტადაა შენარჩუნებული, აქ მორიელი-კაცები გვევლინებიან, როგორც მზის ბილიკის მცველები.[5]



74

[1] P. Amiet, The Mythological Repertory in Cylinder Seals of the Agade Period, Ancient Art in Seals, Princeton.

[2] ატლანტი – ბერძნულ მითოლოგიაში ტიტანი, იაფეტის ვაჟი, პრომეთეს ძმა,რომელიც გამოირჩევა განსაკუთრებული ძალით. ამარცხებს ტიტანებს ტიტანომახიაში. Е. Мелетинский. Мифологический словарь. М. 1990. стр. 72.

[3] Pierre Amiet, Cylinder Seals of the Agade Period, Ancient Art in Seals, Edited and Introduced by Edith Porada, Princeton University Press, Princeton, New Jersey. fig. II-20, იხ. 75. მთის ბროლი; 1,6X1,1 სმ.

[4] კიკნაძე ზ., ენუმა ელიშ, თამუზის სიზმარი, თბილისი, 1969.

[5] კიკნაძე ზ., გილგამეშის ეპოსი, თბილისი, 1963. IX დაფა, გვ. 148.



75

აქადური პერიოდის ცილინდრებზე წარმოდგენილ პაექრობის სცენებში ასახულია გმირების, ცხოველებისა და მონსტრების შერკინება. ისინი ერთ სისტემაშია მოქცეული. აქ გამოსახულია ქაოსის ძალების დამარცხება (74) – შესაძლებელია მისი ასე ინტერპრეტირება.[1] ეს კოსმიური პაექრობის კონცეფცია შეიძლება შევადაროთ შესაქმის ბაბილონურ ეპოსს,[2] რის გამოძახილსაც ათასწლეულით ადრე ვხვდებით მესოპოტამიაში. შესაქმის მითის ეპოსად ჩამოყალიბება დაახლოებით ძვ. წ.აღ 1100 წლით თარიღდება.[3]

აქადელი ოსტატების მიერ მესოპოტამიურ იკონოგრაფიაში შეტანილი ყველაზე დიდი წვლილი არის ღვთაებათა გამოსახულებების შექმნა პერსონალური ემბლემებით, თუმცა პანთეონის ყველა ღვთაება ისტორიული ტექსტების ჩარჩოებში რჩება და მათი ამოცნობა შესაძლებელია აქადურ საბეჭდავებზე. ქალღმეთების სისტემატიზაცია პერსონალური ემბლემებით მოიპოვება კუდურრუს ქვებზე კასიტურ პერიოდში (ძვ.წ.აღ. 1400-1150).[4] ისეთი უზე-

[1] P. Amiet, The Mythological Repertory in Cylinder Seals of the Agade Period. Ancient Art in Seals, fig. II-2, იხ. 74. III ადრედინასტიური პერიოდი, მოვარდისფრო მარმარილო; 2,2X1,6 სმ.

[2] კიკნაძე ზ., შუამდინარული მითოლოგია, თბილისი, 1979.

[3] A. L. Oppenheim, Mesopotamia, Portrait of a Dead Civilization, Chicago, 1964.

[4] kudurru – აქად. საზღვრის ქვა. დიდი გაპრიალებული ქვები წარწერით, რაც ადასტურებდა მიწის ბოძებას. კუდურუ ხშირად იდგა ტაძარში, როგორც სამეფო ჯილდო, მაგრამ უმეტესად დგამდნენ რაიმე ადგილის საზღვარზე, საიდანაც მოდის მისი სახელწოდება. kudurru ქვები აღ-

ნაესი ღვთაებები, როგორებიცაა ენლილი და ენქი, აქადურ გლიპტიკაში წარმოდგენილია კონკრეტული სახით. ღვთაებების ფუნქციებზე უკეთ მეტყველებს ატრიბუტები, ვიდრე მათი ტრადიციული სახელები. ამის მაგალითად გამოდგება ღმერთი სხივებით (78, 81),[1] ან მარცვლეულის ქალღმერთი (79, 77).[2]



76



77

მოჩენილია მხლოდ სამხრეთ მესოპოტამიაში კასიტური პერიოდიდან. kudurru ქვებზე გამოსახულია ხოლმე ღვთაებათა სიმბოლოები. Jeremy Black and Anthony Green; Gods, Demons and Symbols of Ancient Mesopotamia (An Illustrated Dictionary), British Museum Press.

[1] P. Amiet, The Mythological Repertory in Cylinder Seals of the Agade Period, Ancient Art in Seals, fig. II-5. იხ. 78 – ღვთაება წყლის ნაკადით თავის წყლის კაბინაში. მას ორი ღვთაება უახლოვდება ალით. კარს იცავს დაჩოქილი შიშველი გმირი. მუქი მწვანე სერპენტინი; 3,6X2,4 სმ. fig. II-14. იხ. 81 – დიდი ღმერთების გამოცხადება; ადას საბეჭდავი. დიორიტი; 3,9X2,5 სმ. fig. II-23. იხ. 76 – ადამიანი-ჩიტი და მცენარე წყლის ღმერთის წინაშე; სერპენტინი, 3,25X1,95 სმ.

[2] P. Amiet, fig. II-11. იხ. 79 – მარცვლეულის ქალღმერთი იღებს მარცვლეულის ღმერთს და დამსწრე ღვთაებებს. მწვანე სერპენტინი, 2,9X2,1 სმ. fig. II-18. იხ. 77 – მარცვლეულის ღმერთი მთის ტახტზე მჯდომი და ღვთაებათა ბრძოლა. სტეატიტი; 3,9X2,5 სმ.



78



79

80

81

82



83



84

85

პანთეონის იერარქიული სტრუქტურა შეიძლება დავადგინოთ იმ ცილინდრების მიხედვით, სადაც გამოსახულია ერთი ან რამდენიმე ღმერთი აწეული ხელებით, რაც თაყვანისცემას გამოხატავს მის წინაშე მყოფი უფრო მაღალი რანგის ღვთაების მიმართ (78). უფრო მეტიც, მეორე რანგის ღვთაებები ჩანან ომში ან მსგავს სცენებში, მაშინ როდესაც მაღალი რანგის ღვთაებას გვერდით მდგომს ვხედავთ. შეიძლება ითქვას, რომ იკვეთება ღმერთების ორი თაობა: უზენაესი ღმერთი, პანთეონის წინამძღოლი და მისი ერთი ან ორი ვაჟი, აგრეთვე ახალგაზრდა გმირები, რომლებიც იცავენ სამყაროს.[1]

იერარქიულ სტრუქტურაში პირველ ადგილს იკავებს ღვთაება სხივებით (78). ატრიბუტებიდან გამომდინარე, ის პანთეონის მეთაური უნდა იყოს. აქადურ პერიოდში წყლის ნაკადი ნინგირსუს– ლაგაშის უზენაესი ღვთაების ატრიბუტი იყო. უეჭველია, რომ მის წინაა ლაგაშის ენსი გუდეა. როგორც ჩანს, მან საკუთარი თავი გამოსახა იმ ცილინდრზე, რომლის ანაბეჭდიც შემორჩენილია (82).[2]

ღვთაების ვეზირის ორსახოვნება (76, 81) უნდა აღნიშნავდეს ღმერთის ორ ძალაუფლებას, რაც უნდა გავრცელებულიყო როგორც ოკეანეთის, ისე ზეცის სიღრმემდე.

ზოგიერთი კომპოზიცია ადრედინასტიური სცენების მსგავსია. ტახტზე მჯდომი ქალღმერთიც უნდა ენათესავებოდეს ადრედინასტიური პერიოდის მოდელებს. ის გამოსახულია ტოტებით, ან აყვავებული რტოებით (77). შემდეგ ტახტზე მჯდომ ამ ქალღმერთს ენაცვლება ქალღმერთები აწეული ხელებით (80, 81, 83).[3] მის ზეციურობაზე მიუთითებს ფრთები, რომლებიც მას ამშვენებს, ან იარაღის წვერზე გამოსახული ვარსკვლავი. ღვთაების გამოსახვის საშუალებებია: ცეცხლის ალი ან ლარნაკი. მისი ატრიბუტი ცხოვე-

[1] P. Amiet, The Mythological Repertory in Cylinder Seals of the Agade Period, Ancient Art in Seals, Princeton, p. 41.

[2] P. Amiet, fig.II-6, იხ. 82. ლაგაშის ენსი გუდეა, როგორც თაყვანისმცემელი. ანაბეჭდი, 2 სმ.

[3] P. Amiet, The Mythological Repertory in Cylinder Seals of the Agade Period, Ancient Art in Seals; fig. II-12. იხ. 80 – ჟადეიტი; 3,7X1,7 სმ. fig. II-15. იხ. 83 – ომის ღვთაების გამოცხადება; ზაგანითას საბეჭდავი. სერპენტინი; 3,3X2,1 სმ.

ლია ლომი, რომელიც მონაწილეობას იღებს პაექრობაში, ან ესწრება მგავს სცენებს (83, 84).[1]

ახალი ღვთაების გამოსახულება შეესაბამება იმ ქალღმერთს, რომელიც ცნობილია სემიტურ იშთარად და წარმოადგენს პლანეტა ვენერას პერსონიფიკაციას. ამასთან ერთად, იგი ომისა და ნაყოფიერების ღვთაებადაც გვევლინება. სემიტურ იშთარს შეერწყა შუმერული ღვთაება ინანა, რომელთანაც ხდება მისი იდენტიფიციკაცია. ენხედუანამ, სარგონ აქადელის ქალიშვილმა, რომელიც ქალღმერთ ნანას უმაღლესი ქურუმი იყო ქ. ურში, პოემა მიუძღვნა ინანა-იშთარს, როგორც აქადის დინასტიის მფარველს. იგი მას მოიხსენიებს, როგორც ღმერთთა ღმერთს.[2]

აქადურ ცილინდრულ საბეჭდავებზე ასახული სიუჟეტების უმეტეს ნაწილს წარმოადგენს ის მითები, რომლებშიც ხორცშესხმულია ღმერთები კოსმიური ელემენტებით, როგორც არქაული ეპოქის მემკვიდრენი. ისინი თავიანთი ემბლემებით გამოხატავენ შეუდარებელ ძლევამოსილებას, ყოვლისშემძლეობას და თავიანთ განსაკუთრებულ როლს. ისინი ეხმიანებიან იმ ტრადიციებს, სადაც უზენაესი ღმერთები სათავეში ედგნენ ქალაქებს თავიანთი შთამომავლობით და კანონმდებლობით. ისინი წარმოდგენილი იყვნენ ოფიციალურ პანთეონში.

აქადურ საბეჭდავებზე გვხვდება ასევე ამინდის ღვთაება, მისი ცოლი და ღმერთი-გველი (85).[3] ეს არის კოსმიური და ბუნების ძალების პერსონიფიცირება. მსგავსი ნიმუშები შეიძლება განიმარტოს, როგორც სამყაროს თვისება ყოველწლიური განახლებისა, რაც განპირობებული იყო მესოპოტამიის კლიმატით.

კონცეფცია სამყაროს მამოძრავებელი ძალების შესახებ საუკუნეების მანძილზე მუშავდებოდა ძველ ახლო აღმოსავლეთში, რასაც

[1] P. Amiet, fig.II-19, იხ. 84 – ღვთაებათა ბრძოლა, ჰემატიტი; 3,5X1,42 სმ.

[2] Uehlinger Christoph, Introduction: The Status of Iconography in the Study of Northwest Semitic Inscribed Seals, Studies in the Iconography of Northwest Semitic Inscribed Seals, Fribourg, 1991.

[3] P. Amiet, The Mythological Repertory in Cylinder Seals of the Agade Period, Ancient Art in Seals, Princeton, no. II-13, იხ. 85 – დიორიტი; 2,55X1,55 სმ.

საბოლოოდ მეესახა ხორცი ბაბილონურ შესაქმის მითში.[1] ამის თვალსაჩინო ნიმუშია აქადური პერიოდის ცილინდრული საბეჭდავები. აქ მრავალი იკონოგრაფიული თემაა ილუსტრირებული ერთი და იმავე გმირებითა და მოქმედებებით.

ყველაზე კარგადაა ცნობილი ცილინდრული საბეჭდავი ადას წარწერით (ფასადი და 81). მისი კომპოზიცია განსაკუთრებით შთამბეჭდავია: ფრთებიანი ქალღმერთი იარაღით გამარჯვებულის პოზიციაში დგას. მის უკან მოჩანს ხე. აქ ღვთაებები ელოდებიან მზის ღმერთის ამოსვლას, რომელიც მთებს შორის ამოდის ცეცხლის ალით: არწივი ქვემოთ ეშვება ღვთაებისკენ. ორსახოვან ღვთაებას, რომლის მხრებიდან გადმოედინება წყლის ნაკადი, თან ახლავს ვეზირი. მითის ილუსტრაციაში სამი ძირითადი ფიგურაა – ქალღმერთი, რომელიც თითქოს ასაფრენად ემზადება, ისე როგორც მზის ღმერთი მთებს შორის, რომლის თავზეც ფეხი შემოუდგამს ღმერთს წყლის ნაკადით. არწივი, რომელიც ქვევით ეშვება, ასევე ორი მეორეხარისხოვანი გმირიც დამსწრეებად გვევლინებიან. ისინი ესწრებიან ღვთაებების გამოცხადებას.

სხვა ოსტატებმა დამოუკიდებლად სცადეს იმავე თემატიკის, ანუ ღვთაებათა გამოცხადების დამუშავება. ამის მაგალითია ცილინდრული საბეჭდავი ზაგანითას წარწერით. სახელი, შესაძლოა, ცილინდრის კომპოზიციასთან იყოს დაკავშირებული, თუმცა ოსტატს არ გაუთვალისწინებია წარწერა თავის კომპოზიციაში (83). აქ ფრთოსანი ქალღმერთი დგას მზის ღმერთის პოზიციაში ორ მთას შორის. მისი ორი იარაღის წვერი ვარსკვლავებს ებჯინება, გვერდით ღვთაებრივი ფიგურა დგას დიდებულ პოზაში. ეს უნდა იყოს ადას საბეჭდავის მზის ღმერთი. აქ გამოსახული პალმის ხე ხაზს უნდა უსვამდეს ადას საბეჭდავის ხის, როგორც მცენარეულობის სიმბოლოს მნიშვნელოვანებას. საბეჭდავს კიდევ უფრო საინტერესოს ხდის მზის ღმერთის გამოსახვა სოლარული სიმბოლიკის გარეშე.

[1] კიკნაძე ზ., შუამდინარული მითოლოგია, თბილისი, 1979, გვ. 62 -111.

86



87



88



89

86-ე საბეჭდავზე ღვთაებებს არწივის დიდ ფიგურასთან ერთად ვხედავთ, რაც შესაძლოა განსხვავებული იყოს ღვთაებათა გამოცხადების სცენისაგან.[1] აქ ღმერთებს არა აქვთ იარაღი. სცენა მშვიდი და გრაციოზულია, რასაც ვერ ვიტყვით არწივის გამოსახულებაზე. ლიტერატურაში მსგავსი გამოცხადება და უზენაესი ღვთაებების აღწერა გვხვდება ლაგაშის ენსის გუდეას დროს (ძვ.წ. 2150).[2]

მოგვიანებით ბაბილონში, რასაც ოდნავ უსწრებს წინ აქადური პერიოდის ცილინდრების გამოსახულებები, გვხვდება არწივის მტრული თავდასხმისა და მისი ძირს დანარცხების სცენები.

გამოცხადების სცენებზე უფრო ხშირად აქადურ საბეჭდავებზე ბრძოლის სცენებს ვხვდებით, სადაც მთავარი მოქმედი გმირები ღვთაებები არიან. ეს მოტივები შემორჩენილია ადრედინასტიური ტრადიციებიდან. მრავალი სათუთად ამოკვეთილი ცილინდრული საბეჭდავი ასახავს ღვთაებებს, რომლებიც ბრძოლაში არ მონაწილეობენ და განზე გამდგარი შესცქერიან მათ. გვერდით მდგომი ღვთაება უნდა იყოს მცენარეულობის ღმერთი (77), რომელიც წარმოადგენს როგორც ნაყოფიერი მიწის, ისე მიწისქვეშეთის სიმბოლოს. დამარცხებულ ღმერთს აგდებენ მთიდან და ის მთებს შორის იმარხება. ღვთაება, რომელიც დამარცხებული ღმერთის მთის სამარხზე ზის, კომპლექსური მითოლოგიური ფიგურაა. ამიტომაც ხდება მცენარეულობის ქალღმერთის დაკავშირება მიწისქვეშა სამყაროსთან. აქ მას განსაკუთრებული როლი აქვს. იგი იმ სიცოცხლის ჩანასახის მეუფეა, რომელიც დედამიწის სიღრმეში უნდა იყოს დაფარული.

ამ ბრძოლების ახსნა რთულია, რადგანაც დამარცხებული მკაფიოდ არასდროს ჩანს. დამარცხებული ღმერთი ხშირად ასოცირებულია ადამიან-ხართან, რომელიც არასოდეს გვევლინება ბოროტ დემონად. საბედნიეროდ, განმარტებას იძლევა ლუვრის მიერ

[1] P. Amiet, The Mythological Repertory in Cylinder Seals of the Agade Period, Ancient Art in Seals, Princeton, no. II-17, იხ. 86 – ღვთაებების გამოცხადება და არწივის განაჩენის აღსრულება. მომწვანო-მოშავო სერპენტინი, 3,8X2,4 სმ.

[2] P. Amiet, The Mythological Repertory in Cylinder Seals of the Agade Period, Ancient Art in Seals, Princeton, p 45.

ცოტა ხნის წინ შეძენილი ორი საბეჭდავი (87-88).[1] აქ ვხედავთ დამარცხებულ ღმერთებს. ბრძოლაში ისინი გვევლინებიან, როგორც მცენარეულობის გამანადგურებლები. ეს სცენები გაზაფხულის გამოცხადების მშვიდი სცენების საპისპიროა და ზაფხულის მწველ სიცხეს და მოსავლის აღებას უკავშირდება. ამავე თემის ასპექტია (89).[2] ღმერთი, რომელიც ხეს ტოტებს ამტვრევს, უნდა იყოს ზაფხულის მზის ღმერთი ნერგალი. აქვე ვხედავთ ღმერთის მომცრო ფიგურას, რომელიც ამოდის ხის ძირიდან და მომავალში ხელახალი აყვავების მომასწავებელია. ეს ინტერპრეტაცია ეჭვს არ იწვევს, რადგანაც განახლება გარდაუვალია.

90-ე საბეჭდავზე[3] წარმოდგენილია ამინდის ღვთაებისა და ქალღმერთისადმი ღვინის შეწირვის სცენა. ეტლში შებმულია ცეცხლისმფრქვეველი ლომი-გრიფონი. ღვთაებას ერთ ხელში სადავე უჭირავს, რომლითაც მართავს ურჩხულს, მეორეში კი – მათრახი. მისი მეუღლე დგას ლომი-გრიფონის ფრთებს შორის და უჭირავს სხივთა კონები. ამ ღვთაებების რისხვის დასაცხრობად შემწირველი საკურთხეველთან ღვინოს ასხამს.



90

[1] P. Amiet, no. II-20. იხ. 87 – ღვთაებათა ბრძოლა, მთის ბროლი; 1,6X1,1 სმ. no. II-21. იხ. 88 – ღმერთი, რომელსაც ხელში რტო უჭირავს; ფრაგმენტი ღმერთების ბრძოლიდან. თეთრი კირქვა; სიმაღლე 2,8 სმ.

[2] P. Amiet, no. II-22. იხ. 89 – ქალღმერთი ეხმარება ღმერთს, რომელიც ხის ტანის ქვეშაა მოქცეული. მეორე ღმერთი ეხმარება. გლეჯს ხის ტოტებს. სერპენტინი; 3,5X2,2 სმ.

[3] Corpus of Ancient Near Eastern Seals in North Ametican Collections, The Bollingen Series XIV, Pantheon Books, 1949. no. 220. იხ. 90 – ღვინის მსხვერპლშეწირვა ქალღმერთის წინაშე, რომელიც ლომ-გრიფონზე დგას. სადაფი; 3,35X2,0 სმ.

91

91-ე საბეჭდავზე გამოსახული სცენების პარალელები მოიპოვება მესოპოტამიურ ტექსტებში.[1] ეს არის მითი მწყემსის შესახებ, რომელმაც მიატოვა ფარა, არწივს შეაჯდა ზურგზე და ზეცაში გაფრინდა.[2] შამაშმა ეტანას ურჩია არწივს დამეგობრებოდა და მის ზურგზე შემომჯდარი გაფრენილიყო მიზნის მისაღწევად. როდესაც დედამიწამ მისი თვალიდან გაუჩინარება დაიწყო, ეტანამ ძალა დაკარგა. შემდეგ ტექსტი ფრაგმენტულია. ეს საბეჭდავი ცოტა გაცვეთილია ხმარებისაგან, რაც გამოსახულებას ბუნდოვანს ხდის, მაგრამ ეს ნიმუში არც ისე სათუთად დამუშავებული უნდა ყოფილიყო.

ეტანას მითის ილუსტრირება გავრცელებული იყო აქადურ პერიოდში. შუმერულ ლიტერატურაში ეტანა ქ. ქიშის მეფე-მწყემსია, რომელიც უშვილო იყო. მან არწივის მართვეებს მოუარა, რისთვისაც არწივმა ფრთებით აიყვანა ეტანა ზეცაში, რათა დახმარებოდა დაბადების ბალახის მოპოვებაში. მითის დასასრული დაკარგულია, მაგრამ, სავარაუდოდ, ეტანას აუხდა საწადელი. მეფეთა სიებში მოიხსენიება მისი ვაჟი.

[1] Corpus of Ancient Near Eastern Seals..., no. 236. იხ. 91 – შავი სერპენტინი; 3,65X2,8 სმ.

[2] Jeremy Black and Anthony Green, Gods, Demons and Symbols of Ancient Mesopotamia (An illustrated Dictionary), British Museum Press, p. 78.



92

93

92-ე საბეჭდავზე მცენარეულობის ქალღმერთია გამოსახული.[1] ეს საბეჭდავი ძალიან კარგადაა ამოკვეთილი და ადვილად გასარჩევია მიუხედავად იმისა, რომ ჩამოტეხილია. ქალღმერთი ზის მარცვლის გროვაზე, აწეულ მარჯვენა ხელში უჭირავს სამი ყლორტი. მუშაობის დროს ქალღმერთის დასწრება კარგის მომასაწავებელია მიწათმოქმედისათვის. ისევე როგორც 90-ე საბეჭდავზე, შუაში დგას ფიგურა, რომელსაც რაღაც სათხოვარი აქვს.

მცენარეთა წლიური ციკლი სხვა ფორმით გამოხატულია ადამიან-ჩიტში, დემონში, რომელიც ადრედინასტიური პერიოდიდან მოდის (ძვ.წ III ათასწ. შუა ხანები). ის ჩნდება, როგორც ღმერთის ნაოსნობის მონაწილე, რაც, სავარაუდოდ, გაზახულზე ხდება

[1] Porada Edith, Mesopotamian Art in Cylinder Seals of The Pierpont Morgan Library, New York, 1947, no. 35. იხ. 92 – მარმარილო, დაზიანებულია.

(93).[1] ამის საპირისპირო სურათია ასახული 76-ე საბეჭდავზე, სადაც გამოსახულია მკვდარი ადამიანი-ჩიტი, რომელიც იმ ხმალზეა ჩამოკიდებული, რითაც მოკლეს. იქვე ვხედავთ თავდაყირა დაკიდებულ მცენარეს, რომელიც ადამიანი-ჩიტის მიერ მოპარული სიცოცხლის ბალახი უნდა იყოს.

94-ე საბეჭდავზე გამოსახულია ეა, რომელიც ისმენს ამბებს მის მარჯვნივ მდგომი ჯარისაგან.[2] ლომისთავიანი არწივი თავს ესხმის უკან მდგომ ღვთაებას. აქადურ საბეჭდავებზე თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ეას, რომელიც წყლისა და სიბრძნის ღვთაებაა და, ამასთანავე, ხელსაქმისა და ჯადოსნობის მასწავლებელი.[3]



94

95

[1] P. Amiet, The Mythological Repertory in Cylinder Seals of the Agade Period, Ancient Art in Seals, Princeton, no. II-1. იხ. 93 – ღმერთი სამეფო ნავში, უკან ადამიანი-ჩიტით. ადრედინასტიური პერიოდი. მოვარდისფრო მარმარილო; 2,2X1,6 სმ.

[2] P. Amiet, The Mythological Repertory in Cylinder Seals of the Agade Period, Ancient Art in Seals, Princeton, no. II-16. იხ. 94 – ღვთაება, რომელსაც თავს ესხმის ლომისთავიანი არწივი. მთის ბროლი; 2,45X1,6 სმ.

[3] Jeremy Black and Anthony green, Gods, Demons and Symbols of Ancient Mesopotamia (An illustrated Dictionary), British Museum Press, p. 75.

95-ე საბეჭდავზე ეა ზის თავის საიდუმლო საკანში, რომელიც ოკეანის სიღრმეშია მოთავსებული.[1] მას იცავს ორი შიშველი გმირი, რომლებიც ჩაბღაუჭებულია კარიბჭეს. ეას ცალ ხელში უჭირავს ლარნაკი, საიდანაც მოედინება წყლის ორი ნაკადი, მეორე ხელი მისალმების ნიშნად გაწვდილი აქვს ორსახოვანი მბრძანებლის, ისიმუდისა[2] და მისი თაყვანისმცემლისკენ. საბეჭდავზე მხოლოდ ორი სიტყვა წერია: dingir- Gú – ღმერთი გუ.

მრავალი აქადური საბეჭდავი ასახავს ეპიზოდს იმ მითიდან, რომლის მიხედვითაც ეა მონაწილეობას იღებს სასამართლოში, რომელზეც ადამიანი-ჩიტია ბრალდებული.

ეასა და ადამიანი-ჩიტის ამბავს გადმოგვცემს 96-ე საბეჭდავიც.[3] აქ ტახტზე ზის ეა, რომელსაც ხელში უჭირავს ლარნაკი. მას ეგებება ორი ორსახოვანი ღვთაება და ადამიანი-ჩიტი, რომელიც უჭირავს მის უკან მდგომ ღვთაებას. ეს უნდა იყოს ცნობილი სასამართლოს სცენა ANZU–ჩიტისა, რომელმაც მოიპარა ბედისწერათა დაფები. აქადურ პერიოდში ძალიან პოპულარული იყო ადამიანი-ჩიტის სცენა. შესაძლოა, მოცემული საბეჭდავის დიზაინი ამ მითოლოგიური სცენით წარმოგვიდგენდეს რომელიმე რელიგიური დღესასწაულის რიტუალს. ეს სცენა ასახულია ხოლმე მონუმენტურ ხელოვნებაშიც – ტაძრების გაფორმებისას.[4]

[1] Corpus of Ancient Near Eastern Seals in North Ametican Collections, The Bollingen Series XIV, Pantheon Books,1949, no. 202. იხ. 95 – შავი სარპენტინი, 3X1,9 სმ.

[2] Jeremy Black and Anthony Green, Gods, Demons and Symbols of Ancient Mesopotamia (An illustrated Dictionary), British Museum Press. p. 110. ისიმუდი იგივე აქადური უსმუ – მეორეხარისხოვანი ღმერთი. მისი ფუნქციაა ეას(ენქის) ქვეშევრდომობა. ის მონაწილეობს შუმერულ პოემებში: „ენქი და ნინხურსაგი“ და „ინანა და ენქი“, როგორც ღმერთის შიკრიკი. მისი სახელი იდენტიფიცირებულია სიტყვასთან, რომელიც აიხსნება როგორც ორსახოვანი და ასოცირდება ენქისთან.

[3] Ancient Near Eastern Seals, A Selection of Stamp and Cylinder Seals from the Collection of Mrs. William H. Moore, The Metropolitan Museum of Art, by Elizabeth Williams Forte, 1977, no 36. იხ. 96. არაგონიტი; 3,3X1,8 სმ.

[4] Ancient Near Eastern Seals, A Selection of Stamp and Cylinder Seals from the Collection of Mrs. William H. Moore, The Metropolitan Museum of Art, by Elizabeth Williams Forte, 1977, p. 36.



96

97-ე საბეჭდავზე ასახულია, თუ როგორ მიჰგვარა ორმა ღვთაებამ ადამიანი-ჩიტი ეას.[1] ერთი ღვთაება თოკით წინ მიუძღვის ბრალდებულს, მეორე კი მის ყურზეა ჩაბღაუჭებული. მას უკან მიჰყვება თაყვანისმცემელი. უეჭველია, რომ სცენა ასახავს ბოროტებაზე გამარჯვებას, ხოლო თაყვანისმცემელი შეიძლება იყოს საბეჭდავის მფლობელი, რომელიც თვითონ წარმოგვიდგენს ამ ბედნიერ შემთხვევას.



97

გვიანაქადურ პერიოდს განეკუთვნება 98-ე საბეჭდავი, სადაც ვხედავთ მუხლებზე დაჩოქილ გმირებს და ეას სიმბოლოებს.[2] აქ ოთხი შიშველი გმირია დაჩოქილი. ყოველ მათგანს ექვსი კულული აქვს ჩამოშლილი და ხელში კარიბჭეები უჭირავთ. პირველის თავზე

[1] Corpus of Ancient Near Eastern Seals in North Ametican Collections, The Bollingen Series XIV, Pantheon Books,1949, no. 197. იხ. 97 – ფელსიტი; 3,9X2,55 სმ.

[2] Ancient Near Eastern Seals, A Selection of Stamp and Cylinder Seals from the Collection of Mrs. William H. Moore, The Metropolitan Museum of Art, by Elizabeth Williams Forte, 1977, no. 37. იხ. 98 – იასპი; 2,8X1,6 სმ.

დისკოში მოთავსებული ვარსკვლავია, მეორისაზე – ლარნაკი, მესამეს თავზე – თევზი, ხოლო მეოთხისაზე – ნამგალა მთვარე. კომპოზიციაში გამოსახულია გველიც. წარწერა მოგვიანებით უნდა იყოს ჩამატებული:

<u>ša –at-pum</u>	შათფუმ,
dumu <u>šul-lum (dun-num)</u>	შალუმას ვაჟი (ან დუნუმასი).

98

მიუხედავად იმისა, რომ ამ საბეჭდავზე არ ჩანს წყლის ღმერთი, წარმოდგენილია მისი სიმბოლიკის ყველა მოტივი – თევზი, მოტივტივე ლარნაკი და შიშველი გმირი. საბეჭდავის ავტორი სიმბოლოების ფორმით წარმოაჩენს ეას სხვადასხვა მხარეს. შიშველი გმირი, რომელიც ეას კარიბჭეს იცავს, უნდა ავლენდეს მას, როგორც სიბრძნის ღვთაებას. ეას მიეწერება ტაძრების შენება, რომელთა ძირითადი ნაწილი კარიბჭეა.

საბეჭდავის მასალად გამოყენებულია უჩვეულო წითელი ქვა, რაც შემთხვევითი არ უნდა იყოს. ქ. მარის კედლის მხატვრობაში მოტივტივე ლარნაკი და წყლის ნაკადი წითელი ფერითაა დახატული. შესაძლოა, წითელი ფერი იყო წყლის ღმერთის საკრალური ფერი. ამიტომაც უნდა შეერჩია საბეჭდავის შემქმნელს იშვიათი, წითელი იასპი.[1]

ამგვარი განმარტებები, გარკვეულწილად, ჰიპოთეზურია, მაგრამ

[1] Ancient Near Eastern Seals, A Selection of Stamp and Cylinder Seals from the Collection of Mrs. William H. Moore, The Metropolitan Museum of Art, by Elizabeth Williams Forte, 1977, p. 37.

ყველაზე მეტად შეესაბამება საბეჭდავების იკონოგრაფიას. ძველ ახლო აღმოსავლეთში ღვთაებები კოსმოლოგიური მითოლოგიის მთავარ გმირებადაც მიიჩნეოდნენ.

პ. ამიეს აზრით, სცენები დალაგებულია მითოლოგიური თემების მიხედვით და საჭიროა ამ თემების კლასიფიკაცია ბუნების წლიური ციკლების მიხედვით. მკვლევარი ფიქრობს, რომ უმჯობესია, თუ ამ მითოლოგიურ სიუჟეტებს უფრო მეტად მომდევნო პერიოდის ტექსტებს დავუკავშირებთ, ვიდრე იმავე პერიოდისას.

ჯერჯერობით არ მოგვეპოვება შესაბამისი ტექსტები, რათა ავხსნათ აქადური გამოსახულებები, თუმცა მათი უმეტესობა ისე კონკრეტულადაა გამოსახული, რომ თავად მეტყველებენ საკუთარ თავზე. ხშირად ცილინდრებზე ისეთი თანამიმდევრობითაა ასახული ერთი და იმავე ამბის განვითარების ეტაპები, რომ ზოგჯერ სხვადსხვა ნაწილების შეერთებით შეგვიძლია ნათელი მოვფინოთ მთლიან სიუჟეტს.[1]

პოსტ-აქადური პერიოდის ცილინდრები (ძვ.წ.აღ. 2180 – 2070)

შარქალიშარის მეფობის შემდეგ იშლება აქადური იმპერია. ეს ნაწილობრივ განპირობებული იყო აღმოსავლეთიდან გუთიელების შემოჭრით. ამ პერიოდის ხელოვნებაში გავრცელებულია მკაცრი სასამართლო სტილი. სამხრეთ მესოპოტამია კვლავ დაიშალა ქალაქ-სახელმწიფოებად. ისინი თავიდან გაერთიანდნენ ძვ.წ.აღ. 2112-2004 წ.წ. ურ-ნამუს მიერ, ურის III დინასტიის მმართველობის პერიოდში.



99

[1] P. Amiet, The Mythological Repertory in Cylinder Seals of the Agade Period, Ancient Art in Seals, Princeton, p. 45.



100

101

აქადური დინასტიის დაცემის შემდეგ საბეჭდავების დასამზადებლად ხმარებაში შემოდის ქლორიდი, რომელიც ცვლის სერპენტინს. საბეჭდავების ერთ ნაწილზე გამოსახულია ფრთებიანი ჭიშკარი და ხარი (99).[1] ქლორიდი გავრცელებული მასალაა სხვა კატეგორიის საბეჭდავებისთვისაც, რომლითაც პაექრობის სცენებია ასახული. პოსტ-აქადური წარდგენის სცენები ხშირად ორ ნაწილადაა გაყოფილი, რომლის ქვედა ნაწილი გაფორმებულია ბატებით (100).[2] ამ ტიპის კომპოზიციების წარმოშობა განეკუთვნება აქადურ პერიოდს და შემორჩენილია ურის III დინასტიის დროსაც.

ურ-ნამუს მიერ ქალაქ-სახელმწიფოების გაერთიანება აისახება ამ დროის საბეჭდავებზე, რაზეც მეტყველებს გაღმერთებული

[1] Dominique Collon, First Impressions Cylinder Seals in the Ancient Near East, British Museum Press, 1987, no. 107, იხ. 99 – წარწერილია: შეშ-შეშ. სერპენტინი; 3,45X2,05 სმ.

[2] Dominique Collon, First Impressions..., no. 113. იხ. 100 – ქლორიდი; 4, 0,3X1,25 სმ.

მეფის გამოსახულება (101),[1] რომელიც ზის ტახტზე და ხელთ უპყრია თასი. აქ თაყვანისმცემელი ყოველთვის უწვეროდ გამოისახება, ხოლო ღმერთი – წვერით. გაღმერთებული მეფე შეიძლება გამოსახული იყოს ზოლიანი მანტიით, წვერით ან მის გარეშე, მაგრამ მისი აუცილებელი ატრიბუტია თავსაბურავი. რეალურად ასეთი საბეჭდავები, გამონაკლისს შემთხვევებში, გვხვდება ამ პერიოდის მმართველებთან. მათი უმეტესობა უფრო პროვინციულ ხასიათს ატარებს და შედარებით დაბალ დონეზეა შესრულებული. შესაძლოა, ისინი ხელმეორედ ამოკვეთილი საბეჭდავებია.[2]

ზოგიერთ ადმინისტრაციულ ცენტრში გრძელდებოდა აქადელების მიერ დამკვიდრებული სტანდარტების შექმნა. ერთ-ერთი ასეთი ცენტრი იყო ქ. ლაგაში. აქ მეფობდა „მწყემსი" გუდეა, რომლის სტატუსიც ნათელყოფს მის მჭიდრო კავშირს აქადურ ტრადიციასთან. მესოპოტამიურ ხელოვნებაში ამ პერიოდში არსებული დისბალანსი აისახა ცილინდრულ საბეჭდავებზეც.

102-ე საბეჭდავის შესრულებაც უხეში და არასრულყოფილია.[3] აქ გამოსახულ სახეებზე ცხვირი, პირი და ნიკაპი ოდნავაა ჩაჭრილი, ვარცხნილობაც საკმაოდ მარტივია. მასზე გამოსახულია ადამიანი და კენტავრი, რომელთაც არწივი დაფარფატებთ თავზე, რაც, თავისთავად, უნიკალური სცენაა.



102

[1] Dominique Collon, First Impressions..., no. 118. იხ. 101 – წითელი კირქვა; 3,22X2,0 სმ.

[2] Dominique Collon, First Impressions Cylinder Seals in the Ancient Near East, British Museum Press, 1987, no. 107, p. 35.

[3] Porada Edith, Mesopotamian Art in Cylinder Seals of The Pierpont Morgan Library, New York, 1947, no. 38. იხ. 102 – შავი სერპენტინი; 2,3X1,5 სმ.

103

a) Lú- ^{d}Šará	ლუ-შარა
lú- mah ^{d}Šará	შარას მახ-ქურუმი
Lugal- ^{d}Satran	ლუგალ-სათრანი
dub- sar	დამწერი.
b) šabra	(და) შაბრა
ìr- zu	შენი მსახური.

სხვა საბეჭდავისგან განსხვავებით, 103-ე საბეჭდავი წარმოადგენს ნიმუშს, სადაც აქადური სტილი საგრძნობლად გაღრმავებულია.[1] აქ ცენტრალური ფიგურა არის ლომისთავიანი სვავი, რომელიც გაშლილი ფრთებით თავზე დაფარფატებს ტახებს, რითაც ჰგავს ადრედინასტიური პერიოდის საბეჭდავებს. იგი აგრძელებს აქადური გლიპტიკის ხელოვნების საუკეთესო ტრადიციას. ფიგურები ძალიან ოსტატურადაა დამუშავებული. შესაძლოა, ისინი უფრო სრულყოფილი იარაღების გამოყენებითაა შესრულებული. საბეჭდავის იკონოგრაფიაში კარგადაა დაბალანსებული წარწერა და დიზაინი.

პოსტ-აქადური პერიოდის ცილინდრები წინა პერიოდისაგან განსხვავდებიან ზომითაც და მასალითაც.[2]

[1] Porada Edith, Mesopotamian Art in Cylinder Seals of The Pierpont Morgan Library, New York, 1947, no. 39. იხ. 103 – მუქი სტეატიტი; 3,0X1,7 სმ.

[2] Porada Edith, Mesopotamian Art.., p. 29.

ურის III დინასტიის გლიპტიკა
(ძ3.წ.აღ. 2070-1960)

გუთიელების ერთსაუკუნოვანი ბატონობის შემდეგ, ქვეყნის სათავეში ისევ მესოპოტამიური დინასტია მოდის. ეს არის ე.წ. ურის III დინასტია. გუთიელთა ბატონობის დროს მოხდა შუმერულის აღდგენა ოფიციალურ ენად, რაც გაგრძელდა ურის III დინასტიის მმართველობის პერიოდშიც და რასაც თან სდევდა ადრედინასტიური ხანის სტანდარტებთან დაბრუნება.

ამ დროს ტექსტები ისევ შუმერულად იწერებოდა. განსაკუთრებით სამხრეთ ნაწილში მოხდა შუმერული ცივილიზაციის სრული აღდგენა. ყოველივე ეს აისახა ამ პერიოდის ცილინდრულ საბეჭდავებზე. აქადური პერიოდის საბეჭდავებზე თაყვანისმცემლები ხშირი თმითა და წვერით არიან წარმოდგენილი, ხოლო ურის III დინასტიის ცილინდრებზე მათ მელოტებსა და წვერგაპარსულებს ვხედავთ, ისევე, როგორც ადრედინასტიურ პერიოდში. თუმცა, ურის III დინასტიის კულტურული განვითარება ემყარებოდა აქადელების მიღწევებს.

ადრედინასტიური და აქადური პერიოდის ცხოველთა პაექრობის ამსახველი ფრიზები კვლავ აგრძელებს არსებობას ურის III დინასტიის ზოგიერთ საბეჭდავებზე, თუმცა მათ დაკარგული აქვთ ადრინდელი მხნეობა და მნიშვნელოვნება. ურის III დინასტიის საბეჭდავები უფრო დახვეწილი იარაღებით იჭრებოდა და, შესაბამისად, მოდელებიც უფრო დელიკატურია წინა პერიოდებთან შედარებით.

104-ე ნიმუში შესულია ამ პერიოდის ცილინდრებში, თუმცა მასზე არ არის იკონოგრაფია.[1] აქ მხოლოდ წარწერაა, რომელიც ეკუთვნის შულგის, ურის III დინასტიის II მეფეს. დიზაინის უქონლობის გამო, შესაძლოა, საბეჭდავი უფრო წარწერიან მძივად ჩაითვალოს. წარწერა გვამცნობს:

104

[ᵈŠUL- gi	შულგი
[lu]gal Uri^{ki}- ma	ურის მეფე
[lu]gal IM^{ki}	იმას მეფე.
[i]n- ni..[.]	.....

ქალაქი IM^{ki} წაკითხულია, როგორც Bît-Karkara და Mur$_4$.[1]

ურის III პერიოდის ცილინდრები ზომით უფრო პატარაა, მაგრამ აქადური ფორმები შენარჩუნებულია. ამ პერიოდის სიახლეა მეტალის ყულფი, რომელიც ხშირად იმიტირებული იყო საბეჭდავის ქვასთან. მასალად ყველაზე ხშირად გამოიყენებოდა სერპენტინი და სტეატიტი. ლილაქვით ძირითადად ოფიციალური საბეჭდავები მზადდებოდა. კვლავ ხმარებაში დარჩა ჰემატიტიც, რაც ძირითადი მასალა გახდა მომდევნო საუკუნეების საბეჭდავებისათვის.

52-ე საბეჭდავი განეკუთვნება III ადრედინასტიურ პერიოდს (ძვ.წ.აღ. 2600-2334 წ.წ.). აქ გამოსახულია ნადიმის სცენა. დიზაინი იყოფა ორ რეგისტრად. იკონოგრაფია ურის სამეფო სასაფლაოს გათხრების შედეგად აღმოჩენილი მასალის იდენტურია. საბეჭდავის მასალად გამოყენებულია ლილაქვა, ძალიან ძვირფასი მასალა, რომელიც შემოჰქონდათ შორეული ქვეყნებიდან. ეს ხაზს უსვამს ნადიმის მოტივების მნიშვნელოვნებას ძველ მესოპოტამიაში. აქვე ვხედავთ ფრთებგაშლილ არწივებს რქოსანი ცხოველების თავზე, რაც პოპულარული მოტივი იყო ადრედინასტიური ხანის III პერიოდ-

[1] Corpus of Ancient Near Eastern Seals in North Ametican Collections, The Bollongen Series XIV, Pantheon Books, 1949, no. 295. იხ. 104 – სერდოლიკი, მძივი, ფრაგმენტი.

[1] Corpus of Ancient Near Eastern Seals in North Ametican Collections, The Bollingen Series XIV, Pantheon Books, 1949, p. 168.

ში და ასევე გაგრძელდა ურის III დინასტიის ხელოვნებაში.[1]

ურის III დინასტიის პაექრობის სცენებისათვის დამახასიათებელია შემდეგი სქემა: ერთი მსხვერპლი ორ მოწინააღმდეგეს შორის. თავდასხმის ობიექტად მოჩანს ლომი-გრიფონი (105-107).[2] ასეთ სცენებს ხშირად ახლავს სიმბოლური დიზაინი, რაც შეესაბამება ძირითად თემას. მაგალითად, ნახევარმთვარე, სამსხვერპლო მაგიდა და ჩიტი.



105

Lugal- dingir- mu ìr Lú- du_{10} ga — ლუგალ- დინგირ-მუ მსახური ლუ-დუ-გასი.



107

[1] Ancient Near Eastern Seals, A Selection of Stamp and Cylinder Seals from the Collection of Mrs. William H. Moore, The Metropolitan Museum of Art, by Elizabeth Williams forte, 1977, no. 5. შდრ. 52-3.

[2] Corpus of Ancient Near Eastern Seals in North Ametican Collections, The Bollingen Series XIV, Pantheon Books, 1949, no. 268-70. იხ. 105-7; 105 –შავი სერპენტინი; 3,1X1,7 სმ; 106 – მოყავისფრო სერპენტინი; 2,3X1,15 სმ. 107 – კირქვა; 2,5X1,35 სმ. ორი გმირი თავზე კეპით. ისინი ესხმიან ლომ-გრიფონს. კუთხეში ჯუჯა ფიგურაა. ეს ფეხმოღრეცილი ჯუჯა ჩნდება მხოლოდ ისინ-ლარსას პერიოდში, რომელიც მოსდევს ურის III დინასტიის პერიოდს.



106

105-ე ნიმუშზე ადამიანი-ხარი და შიშველი გმირია წარმოდგენილი, რაც ყველაზე სახასიათოა ამ პერიოდის ცილინდრებისათვის. მსხვერპლი ურის III დინასტიის ცილინდრებზე, უმეტესად, ლომი-გრიფონია, რომელიც აქადურ პერიოდში ამინდის ღვთაების ფავორიტად გვევლინება.[1] მისი იდენტურია პაექრობის სცენების სხვა ნიმუშებიც. ყველგან სცენა სამი ფიგურითაა წარმოდგენილი. წარწერა ადასტურებს, რომ საბეჭდავი ურის III დინასტიის დროსაა შექმნილი.



108

[1] ლომი-გრიფონი. იგ. ლომი-დრაკონი. მას წინა თათები ლომის აქვს, ხოლო უკანა ფრინველის. ჩნდება აქადურ პერიოდში და არსებობს ახალბაბილონურ პერიოდამდე. გვხვდება კალხაში (თან. ნიმრუდი) ასურულ რელიეფზე ნინურთას ტაძარში. მამრობითი ხასიათის არსებაა. იხ. Jeremy Black and Anthony Green, Gods, Demons and Symbols of Ancient Mesopotamia (An illustrated Dictionary), British Museum Press, p. 121.

Ur-^{d}Nusku	ურ-ნუსკუ
dumu Ka(!)- ka	ქაქას ვაჟი
dam- kara	ვაჭარი.

წარდგენის სცენის იკონოგრაფია სათავეს იღებს აქადურ პერიოდში (ძვ.წ. 2334-2154 წ.წ.) და ყველაზე გავრცელებული თემაა ახალშუმერულ პერიოდში (ძვ.წ. 2112-2004 წ.წ.). წინა პერიოდებისგან გასხვავებით, ძველბაბილონურ პერიოდში იცვლება ჩაცმულობა, ხოლო წარწერების ენა ხდება აქადური, რომელიც ოფიციალურ ენად გამოცხადდა ხამურაბის დროს. წარდგენის სცენები, რომლებიც გამოხატავენ თაყვანისცემას მჯდომარე ფიგურის წინაშე, ძველბაბილონურ პერიოდში გავრცელდა მესოპოტამის სხვადასხვა რეგიონში, ხოლო მისი მოდიფიციკაცია სხვადასხვა იდეოლოგიების და რელიგიების მოთხოვნების შესაბამისად ხდებოდა.[1] ცილინდრული საბეჭდავების და ქანდაკებების რელიეფები ძირითადად სამ კომპონენტს შეიცავს. ესენია: თაყვანისმცემელი, შუამავალი, ქალღმერთი, რომელიც წარადგენს თაყვანისმცემელს გაღმერთებული მეფის ან ღვთაების ფიგურის წინაშე. ჩვენ მიერ წარმოდგენილ საბეჭდავზე ვხედავთ წარდგენის სტანდარტულ სცენას, რომელიც დამახასიათებელია ურის III პერიოდისთვის

108-ე ნიმუშზე ვხედავთ უფრო დაბალი რანგის ქალღმერთს, რომელიც ხელჩაკიდებული მიუძღვის თაყვანისმცემელს ტახტზე მჯდომი ღვთაებისაკენ.[2] წარწერა გვამცნობს, რომ ეს საბეჭდავი ეკუთვნის ვაჭარს და არის უფრო გვიანდელი პერიოდის ნიმუში. ეს წარწერები გარკვევით განასხვავებს ერთ საბეჭდავს მეორისაგან და იკავებს საკმაო ადგილს. შესაძლებელია, ამიტომაც შეიზღუდა დიზაინის მრავალფეროვნება ურის III პერიოდში. როგორც აღვნიშნეთ, საბეჭდავების დიზაინის ეს სქემა სათავეს იღებს აქადური პერიოდიდან. განსხვავება ძირითადად არის მათ გარშემო გამოსახულ

[1] Ancient Near Eastern Seals, A Selection of Stamp and Cylinder Seals from the Collection of Mrs. William H. Moore, The Metropolitan Museum of Art, by Elizabeth Williams Forte, 1977, p. 3.

[2] Porada Edith, Mesopotamian Art in Cylinder Seals of The Pierpont Morgan Library, New York, 1947, no. 42. იხ. 108 – ფერადი იასპი; 3,2X2,0 სმ.

საგნებში. ნახევარმთვარე, როგორც წესი, მოთავსებულია ცაზე, ტახტზე ამაღლებული ღვთაების წინ. ღვთაების მუხლთან ხშირად მოჩანს ჩიტი ან სხვა ცხოველი.

ამ ტიპის რიტუალური სცენები გვხვდება უფრო ადრეც, ლაგაშის ენსი გუდეას და მისი ოფიციალური პირების საბეჭდავებზე.

ურის III პერიოდში გრძელდება ის თემა და სტილი, რომელიც გუდეას დროინდელია და გვხვდება 110-ე საბეჭდავზე.[1] ამასთან, ის გულდასმით არის ამოკვეთილი და დიდი ყურადღებაა გამახვილებული თითოეულ დეტალზე. ურის III დინასტიის პერიოდის ცილინდრებისგან განსხვავებით, გუდეას დროინდელი საბეჭდავები უფრო დიდი ზომისაა და მოდელებიც უფრო პირქუშია. თუ შევადარებთ აქადური პერიოდის საბეჭდავებს აშკარაა, რომ მათ საკმაოდ აკლიათ მრავალფეროვნება. მართალია იშვიათად, მაგრამ აქ ღმერთები მაინც გამოსახულია სპეციალური ემბლემებით. 109-ე ნიმუში გუდეას თანამედროვეა.[2] საბეჭდავზე შემდეგი წარწერაა:



109

a) Gù- dé-a	გუდეა
en$_{5}$ si	ენსი
Lagaša^{ki}	ლაგაშისა

[1] Porada Edith, Mesopotamian Art.., no. 40. იხ. 110 – მწვანე სერპენტინი; 3,5X2, სმ.

[2] Corpus of Ancient Near Eastern Seals in North Amctican Collections, The Bollingen Series XIV, Pantheon Books,1949, no. 275. იხ. 109 – მოშავო-მომწვანო სერპენტინი; 3,65X2,0 სმ.

b) Ab-ba	აბა
dub-sar	დამწერი
ir-zu	(არის) შენი მსახური.



110

111-ე გუდეას პირადი საბეჭდავია, სადაც ვხედავთ, თუ როგორ წარადგენს მას მისი პერსონალური ღვთაება ნინგიშზიდა ღვთაება ენ-ქის წინაშე. ქალღმერთი გამოსახულია მხრებიდან ამომავალი რქოსანი გველებით.[1] შუმერულ პოემაში- „გილგამეშის სიკვდილი" – გილგამეში ქვესკნელში ერთად ხვდება ნინგიშზიდას და დუმუზის. ისინი მიწისქვეშეთის მცველებად ევლინებიან გილგამეშს. ნინგიშზიდა ასევე მოიხსენიება დუმუზის დატირებაში. გუდეა –ლაგაშის ენსი, რომელმაც ააშენა ნინგირსუს ტაძარი, ნინგიზიდას მის მფარველ ღვთაებად აცხადებს. მას ის ეცხადება სიზმრებში, რისი ნათელი დადასტურებაა 111-ე საბეჭდავი, რომელიც ახალშუმერული პერიოდისაა.



111

[1] Jeremy Black and Anthony Green, Gods, Demons and Symbols of Ancient Mesopotamia (An illustrated Dictionary), British Museum Press, p. 139. იხ. ნინგიშზიდა, ანაბეჭდი.

ურის III დინასტიის დროს, თაყვანისცემის სცენებში სიახლე იყო გაღმერთებული მეფის გამოჩენა. ნარამ-სინის მსგავსად (აქადის დინასტიის მეფე), ურის მეფეების გაღმერთებაც სიცოცხლეშივე ხდებოდა.



112



112ა

ur-sag-ub^{ki}	ურსაგუბ
dumu a-hu-ma	ახუმას ვაჟი
siba UDU. ŠE	მწყემსი მარცვლეულით მაძღარი ცხვრის.

112-ე საბეჭდავი ეკუთვნის ვინმე ურსაგუბის (ურსაქუდის), რომელიც ოფიციალური პირი იყო ურის ბოლო მეფის, იბისუენის კარზე. აქ წარმოდგენილი ღვთაება (შესაძლოა, მეფე) ზის სამეფო ტახტზე და ხელაღმართული ელოდება მისკენ მომავალ ქალღმერთს, რომელიც მოუძღვის გრძელი მანტიით მოსილ მელოტ და წვეროსან თაყვანისმცემელს. ტახტზე მჯდომი ღვთაებისაკენ მიმავალ ორივე ფიგურას ზემოთ აქვს აწეული თავისუფალი ხელი, რაც თაყვანისცემის ჟესტია. გარდა ამისა, საბეჭდავზე გამოსახულია ქალღმერთი, გრძელკისერა ფრინველი, რაც ჰერალდიკისთვისაა

[1] Ancient Near Eastern Seals, A Selection of Stamp and Cylinder Seals from the Collection of Mrs. William H. Moore, The Metropolitan Museum of Art, by Elizabeth Williams forte, 1977, no. 1. იხ. 112 – სერპენტინი; 2,8X1,8 სმ.

დამახასიათებელი, აგრეთვე მზის დისკო და ნამგალა მთვარე. კომპოზიციაში ჩასმულია მორიელიც. წარწერა გვამცნობს, რომ საბეჭდავი პერსონიფიცირებულია მისი მფლობელის ურსაგუბის მიერ. ურსაგუბის მოთხოვნით უნდა ჩასმულიყო მეორეხარისხოვანი ფიგურებიც – ჩიტი და მორიელი.



113



114

საყურადღებოა, რომ 113-ე და 114-ე ნიმუშებზე გადაპარსული თავების ნაცვლად ჩანს კეპი, რომელიც თაყვანისმცემლებს ახურავთ, რაც გამონაკლისს წარმოადგენს ამ პერიოდში, მაგრამ საერთო დეტალია ისინ-ლარსას პერიოდის გლიპტიკასთან. ამ შემთხვევაში საქმე პერიფერიულ გავლენასთან უნდა გვქონდეს. მსგავსი კეპები გამოხატულია ამავე პერიოდის სუზის საბეჭდავებზე.[1]

ფრანკფორტის აზრით, 115-ე ნიმუშზე გამოსახულია აბუ ან ნინურთა,[2] რადგან მას ხელში უჭირავს ამ ღვთაებათა ემბლემები –

[1] Corpus of Ancient Near Eastern Seals in North Amctican Collections, The Bollongen Series XIV, Pantheon Books,1949, p. 35. no. 291. იხ. 113 – ლილაქვა; 2,7X1, სმ. no. 294. იხ. 114 – ჰემატიტი; 1,85X1,1 სმ. no. 290. იხ. 115 – ლილაქვა; 2,8X1,6 სმ.

[2] H. frankfort, Cylinder Seals, p. 146 (XXV h).

იარაღი და ლომისთავიანი კომბალი.[1]



115

მეფის ფიგურის გამოსახვა ახალი მტრიხია ურის III დინასტიის გლიპტიკაში, რაც მას აქადური პერიოდისაგან განასხვავებს. ღვთაებრივი ჟესტითაა წარმოდგენილი მეფე, რომლის წინაშეც თაყვანისმცემელს წარადგენს დაბალი რანგის ღვთაება, რაც ასახულია ზემოთ წარმოდგენილ ცილინდრულ საბეჭდავებზე. ურის III დინასტიის იკონოგრაფია სათავეს იღებს ამავე პერიოდის ტრადიციიდან, რაც გულისხმობდა მეფეების სიცოცხლეშივე გაღმერთებას. დეტალები, რომლებიც პანთეონის ქალღმერთებს განასხვავებს გაღმერთებული მეფეებისგან, მათი მორთულობაა – არშიამოყოლებული მოსასხამი და კიდეებაკეცილი თავსაბურავი. ღმერთები კი წარმოდგენილია რქოსანი თავსაბურავით. მათ ფურჩალებიანი მანტია აცვიათ და სხედან ტახტზე, რითაც გამოიხატება მათი უზენაესობა. მეფეებს ხელში ყოველთვის თასი უჭირავთ, ხოლო ღმერთებს მისალმების ნიშნად ხელი აქვთ აწეული.

თაყვანისცემის მსგავსი სცენები წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო სასამართლოში, სადაც მთხოვნელს მეფის წინაშე წარადგენდ-

[1] ნინურთა – უძველესი შუმერული ომის ღვთაება, ენლილის ვაჟი. მისი ძირითადი ტაძარი იყო E-šu-me-ša ნიფურში. მისი მეუღლე უნდა ყოფილიყო გულა. მჭიდრო კავშირშია ღვთაება ნინგირსუსთან; მათი წარმოშობა შესაძლოა დამოუკიდებლად მომხდარიყო. ისტორიულ ხანაში ნინგირსუ იყო ნინურთას ლოკალური ფორმა. ნინურთა ღმერთების წინამძღოლია ანზუ-ჩიტთან ბრძოლისას, რომელმაც ბედისწერათა დაფები მოჰპარა ენლილს. Jeremy Black and Anthony green, Gods, Demons and Symbols of Ancient Mesopotamia (An illustrated Dictionary), British Museum Press, p. 142.

ნენ სასამართლოს ოფიციალური პირები. შესაძლოა, საბეჭდავის მფლობელი იყო ერთ-ერთი იმ ოფიციალური პირთაგანი, რომელიც შედის ზედ მოთავსებულ წარწერაში. ამ პერიოდის საბეჭდავების წარწერები წარმოგვიდგენენ მმართველის სახელს და ტიტულს, მაგ; იბი-სუენი, სამყაროს მეფე, ურის მეფე, ხოლო შემდგომ სახელი და პატრონის თანამდებობა. პირად მფლობელობაში არსებული საბეჭდავებით ვიგებთ პატრონის სახელს, მისი მამის სახელს, შემდეგ კი – პროფესიას და საქმიანობას.

დაბოლოს, წარმოგიდგენთ ერთ ძველბაბილონური პერიოდის (ძვ.წ.აღ. 1850-1800 წ.წ.) საბეჭდავს, როგორც ნიმუშს ურის III პერიოდის გავლენისა (116).[1] წარდგენის რიტუალის სცენები, რაც ჩამოყალიბდა და ფართოდ გავრცელდა ურის III დინასტიის დროს, შენარჩუნდა ძველბაბილონური ხანის გლიპტიკის ხელოვნების ადრეულ ეტაპზეც.

ამ ძველბაბილონურ საბეჭდავზე წარმოდგენილია ტახტზე მჯდომი მეფე, რომელსაც გაწვდილი აქვს ჯამი ფეხზე მდგომი თაყვანისმცემლისკენ. მას ორივე ხელი წელზე აქვს შემოჭდობილი და გრძელი, არშიამოყოლებული მანტია აცვია. თაყვანისმცემელს უკან მოსდევს მთხოვნელი ქალღმერთი, რომელიც რქოსან თავსაბურავს ატარებს. მას აცვია ფურჩალებიანი კაბა და უკეთია ყელსაბამი, რომელიც აწონასწორებს მის მორთულობას. საბეჭდავის იკონოგრაფია ჩასმულია წარწერაში:



116

[1] Ancient Near Eastern Seals, A Selection of Stamp and Cylinder Seals from the Collection of Mrs. William H. Moore, The Metropolitan Museum of Art, by Elizabeth Williams Forte, 1977, no. 2; ინ. 116 – ჰემატიტი; 2,6X1,5 სმ.

nu-ri-ia	ნურიია
dumu ti-iq-ti-qum	თიქთიქუმის ვაჟი.

ამ ძველბაბილონურ საბეჭდავში შემონახულია იმ რიტუალის მოდელები და მოტივები, რომლებიც გვხვდება ურის III პერიოდის მეფეთა და ოფიციალურ პირთა საუკეთესო საბეჭდავებზე. რაც შეეხება ყელსაბამს, რომელსაც ქალღმერთი ატარებს (ვერტიკალური გრეხილები დახვეული ბოლოთი) მსგავსია ქ. მარის გათხრების ნიმუშებისა. ამ ტიპის ყელსაბამები ძალიან იშვიათად ჩანს ახალშუმერული პერიოდის საბეჭდავებზე, თუმცა გავრცელებული დეტალია ძველბაბილონური პერიოდის გლიპტიკის ხელოვნებაში.[1]

აქადური პერიოდის საბეჭდავებთან შედარებით ურის III დინასტიის საბეჭდავები უფრო მცირე ზომისაა, თუმცა იგივე ფორმა აქვთ ოდნავ ჩაზნექილი ბოლოებით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ პერიოდის სიახლეა ლითონის ყულფი, რომელიც ხშირად იმიტირებულია იმ ქვასთან, რომლითაც საბეჭდავი მზადდებოდა. ისევე როგორც აქადურ პერიოდში, ოფიციალური საბეჭდავებისთვის ძვირფას მასალად კვლავ ლილაქვა რჩებოდა. გარდა ამისა, ხმარებაში შემოვიდა წითელი რკინაქვა, რაც მომდევნო საუკუნეებში საბეჭდავების ძირითად მასალად იქცა.[2]

[1] Ancient Near Eastern Seals, A Selection of Stamp and Cylinder Seals from the Collection of Mrs. William H. Moore, The Metropolitan Museum of Art, by Elizabeth Williams Forte, 1977, p. 5. no. 2.

[2] Porada Edith, Mesopotamian Art in Cylinder Seals of The Pierpont Morgan Library, New York, 1947, p. 40.

ისინ-ლარსას პერიოდი

უცხო ძალის შემოჭრით ურის სამეფოც ისევე დაეცა, როგორც აქადური დინასტია ორი საუკუნით ადრე. მომდევნო პერიოდში შუამდინარეთში არსებობდა პატარა დამოუკიდებელი ქალაქ-სახელმწიფოები, რომლებიც ერთმანეთს ებრძოდნენ. მათ შორის გამოიკვეთა ისინისა და ლარსას სამეფოების უპირატესობა. ისინ-ლარსას სამეფო დომინირებდა სამხრეთ შუამდინარეთში მანამ, სანამ ხამურაბი დააარსებდა ახალ იმპერიას ქ. ბაბილონის გარშემო.

ცილინდრული საბეჭდავების ნიმუშები, რომლებიც აღმოჩენილია თელ-აშმარში (ძველი ეშნუნა) გათხრებისას და განეკუთვნება ისინ-ლარსას შრეს, გაგრძელებაა ურის III დინასტიის მოდელების, თუმცა ის წარმოგვიდგენს მხოლოდ ერთ ასპექტს – რიტუალურ სცენებს. ეს საბეჭდავები ასევე შეიცავს ძველბაბილონური პერიოდის იკონოგრაფიის ელემენტებსაც.

ისინ-ლარსას პერიოდის საბეჭდავები უფრო ღრმადაა ამოკვეთილი და ფიგურებს ახურავთ კეპის მსგავსი თავსაბურავი. ცილინდრების იკონოგრაფიას ძირიათადად წარმოადგენს თაყვანისცემის სცენები (117-22)[1], რომლებიც წარმოდგენლია ურის III დინასტიის მოდელის მსგავსად იმ განსხვავებით, რომ აქ გაღმერთებული მეფის ნაცვლად ტახტზე ზის პანთეონის მთავარი ღვთაება.

[1] Corpus of Ancient Near Eastern Seals in North Ametican Collections, The Bollongen Series XIV, Pantheon Books,1949, no. 296. იხ. 117 – მწვანე ფელსიტი; 2,5X1,5 სმ; no. 297. იხ. 118 – ჰემატიტი; 2,4X1,3 სმ; no. 302. იხ. 119 – ჰემატიტი; 2,1X1,2 სმ. no. 301. იხ. 120 – ჰემატიტი; 2,1X1,2 სმ. no. 304. იხ. 121 – შავი სერპენტინი; 2,3X1,3 სმ. იგივე თემაა, რაც 119-ზე. კომპოზიციაში ვხედავთ: ვარსკვლავს, გველს, ახალმთვარეს და ჩიტს. კიდეში – თათებზე შემდგარი თხა, ლარნაკი, ბურთისებრი საგანი. no. 305. იხ. 122 – მონაცრისფრო სერპენტინი; 2,15X1,15 სმ. კაცის ფიგურა ხმლით გაღმერთებული მეფის წინაშე. კომპოზიციაში ჩართულია: ჩიტი, მცენარე, ბურთისებრი საგანი.



117



118



119



120



121



122

პატარა საგნებს შორის, რომლებიც კომპოზიციშია ჩართული ლარნაკი, ბურთისებრი საგნები, ასევე ფეხმოღრეცილი (იხ. 119) ჯუჯები (123) დამახასიათებელი ფიგურებია I დინასტიის ბაბილონური გლიპტიკისთვის და პირველად ისინ-ლარსას ცილინდრულ საბეჭდავებზე გვხვდება, როგორც მცირე ელემენტები.

123 - ჯუჯა

[1] ჯუჯა – (იგ. ფეხმოღრეცილი ჯუჯა) გამოსახულებები ჩნდება ისინ-ლარსას პერიოდის საბეჭდავებზე. ძვ. წ.აღ. XIX ს-ის საბეჭდავებზე ჩვეული მოტივია. წარმოდგენილი იყო, როგორც მოცეკვავე რიტუალებში ან, როგორც დემონი, კეთილი სული. ფიგურა შესაძლოა ენათესავებოდეს ეგვიპტურ ჯუჯა ღმერთს-ბესს, რომელიც ცნობილი უნდა ყოფილიყო მესოპოტამიაში. Jeremy Black and Anthony green, Gods, Demons and Symbols of Ancient Mesopotamia (An illustrated Dictionary), British Museum Press, p. 73.

ძველბაბილონური პერიოდის გლიპტიკა

ძვ.წ.აღ. 1894 წელს ამორეველმა სუმუაბიმ დააარსა ბაბილონის პირველი დინასტია და მოიპოვა უპირატესობა ისინისა და ლარსას ქალაქ-სახელმწიფოებზე. ძვ.წ.აღ. 1763 წ. ბაბილონის მეფე ხამურაბიმ დაამარცხა ქ. ლარსას მეფე რიმსინი და ბაბილონის მმართველობის ქვეშ გააერთიანა ცენტრალური და ჩრდილოეთი მესოპოტამია. სახელწოდება „ძველბაბილონური" გამოიყენება გვიანი (ახალბაბილონური) პერიოდისაგან გასარჩევად.

გლიპტიკის ხელოვნებაში ძველბაბილონური პერიოდი მეოთხე ეტაპია, რომელიც მოსდევს აქადურ პერიოდს, როდესაც კულმინაციას მიაღწია გლიპტიკის ხელოვნებამ. აქადური ცილინდრული საბეჭდავები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მესოპოტამიის ხელოვნებაში – ყალიბდება სტილი, რომელიც ასაზრდოებს საბეჭდავების იკონოგრაფიას ძვ.წ.აღ. II ათასწლეულის შუა ხანებამდე. ძველბაბილონურ პერიოდში უკვე აღარ გვხვდება პაექრობის სცენების ვერსიები, რაც დადასტურებულია აქადისა და ურის III დინასტიის ეპოქაში. ამ პერიოდის ოსტატები უბრუნდებიან ადრედინასტიური და ადრეული აქადური ხანის პროტოტიპებს (124-125).[1]

ტიპურ ძველბაბილონური ბრძოლის სცენებზე გამოსახულია ლომი ლომ-გრიფონთან ერთად თითქმის გადაყლაპული თხით და დაჩოქილი ადამიანის ფიგურით (126-9)[2]. გმირი გამოსახულია გამოკვეთილად, ზოგჯერ პროფილში.

[1] Domiique Collon, First Impressions Cylinder Seals in the Ancient Near East, British Museu Press, 1987, no. 158-9. იხ. 124-5. 124. საბეჭდავზე წარწერაა ღვთაება ნერგალის მსახურის – ვინმე დანის მიერ შესრულებული. რკინაქვა; 2,8X1,8 სმ. 125 – ეძღვნება ღვთაება შამაშს. ჰემატიტი; 2,7X1,8 სმ.

[2] Collon,160-163. იხ. 126. ჰემატიტი; 2,35X1,3 სმ. 127. ურუქი, ერაყი. ჰემატიტი; 1,8X0,9 სმ. 128.ხაბური; სირია. ჰემატიტი; 1,95 X1, 05 სმ. 129. ჰემატიტი; 2,1X1,3 სმ.



124

125

საბეჭდავების კვეთა ძველბაბილონურ ხანაში ხელნაკეთი ნივთების დონემდეა დასული, რასაც კავშირი არ ჰქონდა ამ პერიოდის უფრო მაღალი დონის ხელოვნებასთან. ის ცილინდრები რომლებიც დამზადებულია ურის III დინასტიიდან ძველბაბილონურ პერიოდამდე, მასიურად გამოიყენებოდა ადმინისტრაციულ საქმეებში, ვაჭრობასა და წერილებისათვის. ასეთ საბეჭდავებს ამზადებდნენ საშუალო დონის ოსტატები, რომლებიც უფრო დახელოვნებული ოსტატების ნამუშევრების კოპირებას ახდენდნენ. შესაბამისად, დიზაინიც სქემატური და უხეშია. ამ საბეჭდავების ანაბეჭდებს ვხვდებით მორგანის ბიბლიოთეკაში დაცულ ფირფიტებზე.[1]



126

[1] Ancient Art in Seals, Princeton, New Jersey, 1980, p. 10.



127

128



129

ძვ.წ.აღ. XIX ს-ის შუახანებში, ქ. სიფარში გაჩნდა საბეჭდავების საჭრელი საამქრო, რომელიც აწარმოებდა საბეჭდავებს ღვთაებებთან კომბინირებული ბრძოლის სცენებით (126)[1]. ამავე საუკუნის ბოლოს, ქ. სიფარში უკვე ამზადებდნენ საუკეთესო ძველბაბილონურ საბეჭდავებს ორი აშკარად გამოკვეთილი სტილით (130)[2].



130



131

[1] იხ. 3. შენიშვნა 1.

[2] Collon, no. 165; იხ. 130, ჰემატიტი; 2,45X1,4 სმ.

წარდგენის სცენები, რომლებიც ისინ-ლარსას სამეფოებში იყო გავრცელებული, ძვ.წ.აღ. XVIII ს-ში აღარაა შემორჩენილი. მათ ცვლიან მარტო მდგომი ფიგურები (131)[1]. აქ ორი მთავარი გმირია: მეფე და ღვთაება, რომელსაც იგი შესთხოვს. მეფე ყოველთვის წვეროსანია და ატარებს ტრადიციულ თავსაბურავს პატარა კეპით და ჩალმით, აცვია ფოჩიანი ქვედატანი ან საცერემონიო ფოჩიანი კაბა, რომელიც წინ გახსნილია – ის, ჩვეულებრივ, სახეში შესცქერის ღვთაებას (131-2)[2] ან მის უკან მდგომ ფიგურას. ეს მეორე ფიგურა ატარებს მსხვერპლშეწირვას, ან ღვრის მსხვერპლად შესაწირ ღვინოს ღვთაების წინაშე (133-4)[3]. ყველაზე ხშირად მზის ღმერთია წარმოდგენილი. ძველბაბილონურ პერიოდში ამ ტიპის საბეჭდავები გავრცელებული იყო მთელ მესოპოტამიაში, რის გამოც რთულდება რეგიონალური სტილების იზოლირება. მაგალითად, 11-ე საბეჭდავი ნაპოვნია ქარგამიშში (ჩრდ. სირიაში).



132



133

[1] Collon, no. 166; იხ. 131 – წარწერაა ღვთაება ამურუს მსახურის ვინმე ლითერ-ფიშბუსი. მაგნეტიტი; 2,45 X1,15 სმ.

[2] Collon, no. 166-167; იხ. 132. ჩანს წარწერის ნაკვალევი. ჰემატიტი; 2,7X1,5სმ.

[3] Collon, no. 168-9. იხ. 133. წარწერაა ღვთაებების ნერგალისა და მამითუმის მსახურის ვინმე მუნავირუმის. ჰემატიტი; 2,65X1,5 სმ. იხ. 134. ქარგამიში, თურქეთი; 2,45X1,5 სმ.



134



135

ამ პერიოდში მაღალი წარმომავლობის ქალები, მაგალითად, მეფე ზიმრილიმის ქალიშვილი ქ. მარიდან იგზავნებოდნენ ქ. სიფარში, როგორც „ნაბითუ“ – ქალი-ქურუმები. აქ უცხოელ დედოფლებს ჩაჰქონდათ თავიანთი ანტურაჟი, დიზაინი. ქ. სიფარი მდებარეობდა ევფრატზე, ჩრდილოეთისა და სამხრეთის სავაჭრო გზაზე, რამაც ის ინტერნაციონალურ ცენტრად აქცია. ადგილობრივი საბეჭდავების საჭრელ საამქროებში ვითარდებოდა მრავალი ახალი იკონოგრაფიული იდეა. ბაბილონური იკონოგრაფია გავრცელდა ჩრდილოეთისკენაც, შესაძლოა, სიფარელი ოსტატების მიერ. ნაბითუ – ქალი-ქურუმები ასევე მონაწილეობას იღებდნენ ვაჭრობასა და ბიზნესში (138,136)[1]. გადარჩენილია მათი მრავალი საბეჭდავი თავისი ანაბეჭდებით. ანაბეჭდი ზიმრილიმის დის გამოსახულებით ნაპოვნია აქემ-ჰუიუქშიც (თურქეთში) (139).[2]

[1] Collon, no. 730; სიფარი, ერაყი. იხ. 136 – ეს არის ბაბილონური საბეჭდავის ანაბეჭდი (ასევე სირიული საბეჭდავის ანაბეჭდი) კონვერტის ფრაგმენტზე და თარიღდება ძვ.წ. 1779 წ. ეხება მიწის გაყიდვას ნაბითუ ქურუმის მიერ. იხ. 138.

[2] Dominique Collon, First Impressions Cylinder Seals in the Ancient Near East, 41-44. no. 186. იხ. 139. წარწერაა დუგელუსი, იაჰდუნლიმის – მარის მეფის ქალიშვილის.

136



137

138



139

ძველბაბილონური პერიოდის გლიპტიკის ნიმუშებს ვხვდებით ამავე პერიოდის სირიულ საბეჭდავებზეც. 140-ე ნიმუშზე წარმოდგენილია კაცის და ქალღმერთის ფიგურა. წვეროსანი კაცი, სავარაუდოდ, მეფეა. ის ატარებს არშიაშემოვლებულ მოსასხამს და ქუდს აკეცილი ბოლოებით. მეფე რაღაც ჟესტით მიმართავს მთხოვნელ ქალღმერთს. მათ შორის მოთავსებულია ფრთოსანი დისკო ცენტრში ყვავილით, თევზით და მაიმუნით, რომელიც კაცის ფიგურისკენაა მიმართული. წარწერა:



140

ma-at-ru-un-na	მათრუნა
dumu-mi$_2$ ap-la-ha-an-da	აფლახანდას ქალიშვილი
geme$_2$ ^{d} ku-ba-ba	მსახური გოგონა (ღვთაება) ქუბაბასი.

ეს სათუთად ამოკვეთილი სირიული საბეჭდავი თარიღდება ძვ. წ.აღ. 1800-1750 წ.წ. წარწერაზე მოხსენიებული აფლახანდა ქარგამიშის მეფე უნდა იყოს. იგი ჩნდება ქ. მარის წერილებში იასმახადუს მეფობის დროს (ე.ი. ძვ.წ.აღ. 1776 წლამდე) და ზიმრი-ლიმის მეათე წელს (= ხამურაბის 30, ე. ი. ძვ.წ.აღ. 1762). სახელი „აფლახანდა“ ამორეული უნდა იყოს, ხოლო მისი ქალიშვილის სახელი „მათრუნა“ არ არის სემიტური წარმოშობის. ამასთანავე, ის თავის თავს უწოდებს ხურიტული ღვთაების, ქუბაბას მსახურს. ასე რომ, მისი სახელიც ხურიტული უნდა იყოს. ცნობილია ექვსი ცილინდრული საბეჭდავი, რომელიც ეკუთვნის აფლახანდას, მისი ოჯახის

წევრებსა და სასამართლოს (იხ. 216-აფლახანდას მსახურის საბეჭდავი). ყველა მათგანი მისი მეფობის დროს უნდა იყოს დამზადებული, გარდა ჩვენ მიერ განხილული საბეჭდავისა. ორი მათგანი აქემენიუქის ბულაზეა წარწერით: TÚG sa-qum, რაც მიანიშნებს, რომ ისინი ჩართულნი იყვნენ ქსოვილებით ვაჭრობაში.[1]

ზემოხსენებული თარიღი ასევე დასტურდება ქალღმერთის კაბით, პოზით და მეფის არშიებიანი მანტიით. მსგავს სამოსს ატარებენ სამეფო კარის წარჩინებულთა ფიგურები, რაც დასტურდება ქ. მარის კედლის მხატვრობაში.[2] ფრთოსან დისკოში ჩასმული ყვავილი ეხმიანება ცხრაფურცლიან ყვავილს, რომელიც მესოპოტამიაში ქალღმერთ იშთართან იყო ასოცირებული და ასევე მის მონათესავე ქალღმერთ ასტარტესთან სირიაში.[3]

ნაყოფიერების ქალღმერთ ქუბაბას ჩრდ. სირიული ქანდაკება, რომელიც ქარგამიშშია ნაპოვნი, ასევე ატარებს ცხრაფურცლიან ყვავილს თავსაბურავზე. ფრთოსანი ყვავილი, შესაძლოა, ქუბაბას სიმბოლიკას წარმოადგენდა და მისაკუთრებული იყო საბეჭდავის მეპატრონე მათრუნას მიერ, რომელიც „ქუბაბას მსახური გოგოა".

141-ზე წარმოდგენილია ამინდის ღვთაება (ადადი), რომელსაც ფეხი ხარის ზურგზე უდგას, აცვია წინ ჩახსნილი გრძელი კაბა და ჩაჭიდებულია სამკაპიან ჩანგალს, რომელიც ასევე სადავეა ხარის დასაჭერად. მარჯვნივ არის მუხლებზე დაჩოქილი შიშველი, წვერო-

[1] Collon Dominique, Seals Naming Aplahanda Of Carghemish, Languages And Cultures In Contact, edited by K. Van Lerberghe And G. Voet, Leuven, p. 49-57.

[2] Ancient Near Eastern Seals, A Selection of Stamp and Cylinder Seals from the Collection of Mrs. William H. Moore, 1977, no. 11. იხ. 140. ჰემატიტი; 24 X12 მმ. სირია.

[3] ფრთოსანი დისკო – პირველად ჩნდება სირიულ საბეჭდავებზე ძვ. წ.აღ. II და I ათასწლეულიდან, რაც ეგვიპტური ხელოვნების გავლენა უნდა იყოს, თუმცა სირიაში ფრთოსან დისკოს სოლარული დატვირთვა ჰქონდა. ეგვიპტეში ხორი შევარდნის სიმბოლო იყო. ადრეულ სირიულ საბეჭდავებზე ის ცხრაფურცლიანი ყვავილის ფორმითაა. დისკო ასოცირებული უნდა ყოფილიყო სირიულ სოლარულ ქალღმერთებთან. ფრთოსანი დისკო აქედან გავრცელდა მითანიში, ხეთების სამეფოში და მესოპოტამიაში. Ancient Near Eastern Seals, A Selection of Stamp and Cylinder Seals from the Collection of Mrs. William H. Moore, p. 9.

სანი გმირის ფიგურა, რომელსაც აწეული ხელებით ლომი უჭირავს. მის უკან მთხოვნელი ქალღმერთი დგას, რომელიც პირით წარწერისკენაა შეტრიალებული. წარწერა გვამცნობს:



141

li-sa-tum	ლისათუმი
dumu im-gur-ru-um	იმგურუმის ვაჟი
ir ^{d}adad	ადადის (ღმერთის) მსახური.

ძველბაბილონური საბეჭდავი უძველესი ნიმუშია ამინდის ღმერთის –ადადის გამოჩენის მესოპოტამიაში, რომელიც ხართან იყო ასოცირებული.[1] ეს კომბინაცია შესაძლოა ანატოლიიდან მომდინარეობდეს. ადადის მდგომარეობა – ერთი ფეხით ხარის ზურგზე დგომა ასევე დამახასიათებელია ძველბაბილონელი ღვთაებების

[1] ადადი – ღვთაება, რომელიც ფლობს ჭექა-ქუხილის ძალებს, შუმერებისთვის ცნობილი იყო იშქურის სახელით. ამ ღვთაების აქადური სახელწოდებაა ადადი (ასევე ადუ ან ადა). ძველ ახლო აღმოსავლეთში ფართოდ იყო გავრცელებული ტაროსისა და ჭექა-ქუხილის ღვთაებები. ადადიც ხშირად თანხვდებოდა ხურიტულ თეშუბს და კასიტურ ბურიაშს. ითვლებოდა ანის შვილად, უფრო ძველი ტრადიციით ენლილის შვილია. მისი ცოლი იყო ქალღმერთი Šala. ხოლო ქვეშევრდომები წყვილი მცირე ღვთაებები: Šullat და Hanis. ელვა იყო ადადის გამოსახვის სიმბოლო, ზოგჯერ სხივების ნაკადითაც ვხედავთ. მისი ცხოველია ლომი-დრაკონი ან ხარი. ჭექა-ქუხილის ღრუბლები იწოდებოდა ადადის ხარის ნაშიერად. გამოისახებოდა თავისი ცხოველის ზურგზე შემდგარი. Jeremy Black and Anthony Green, Gods, Demons and Symbols of Ancient Mesopotamia (An illustrated Dictionary), British Museum Press, p. 111.

იშთარისა და ამურუსათვის (142).[1] წარწერასა და იკონოგრაფიას შორის ასეთი შეთანხმებაც იშვიათია ძვ. აღმოსავლეთის საბეჭდავებზე, გარდა ძველბაბილონური საბეჭდავებისა. ამ ტიპისაა წარმოდგენილი საბეჭდავიც, სადაც არა მარტო ჩანს ღმერთი, არამედ მოიხსენიება წარწერაშიც.

რაც შეეხება შიშველ გმირს ლომით, ეს სრულიად შეუსაბამოა ამ სცენისათვის. ის უნდა მომდინარეობდეს აქადური პერიოდის პაექრობის სცენიდან და ილუსტრირებაა მესოპოტამიური ტრადიციის გაგრძელებისა.[2]

ძველბაბილონურ იკონოგრაფიაზე ასევე დაფუძნებულია ქ. მარში აღმოჩენილი საბეჭდავები. ამ საბეჭდავების მფლობელთა სახელები ცნობილია ეშნუნას ტექსტებიდან და ის შესაძლოა იქვე მზადდებოდა. აღნიშნულ საბეჭდავთა უმრავლესობა, სავარაუდოდ, წარმოგვიდგენს მეფე შამში-ადადს. მას აცვია ქვედატანი ან კაბა, ხოლო მთხოვნელი ღვთაება, ზოგ შემთხვევაში, არც ჩანს (144-7)[3].

---

[1] ამურუ – (შუმერული მართუ) ღვთაება, რომელიც პირისაგან მიწისა აღგვის ქალაქებს ჭექა-ქუხილით. ითვლებოდა ანის ვაჟად, ზოგჯერ მოიხსენიება, როგორც ნინხურსაგის შვილი. მისი ცოლი იყო ბელითცერი (უდაბნოთა დედოფალი). საბეჭდავებზე ვხედავთ მოგრძო კაბაში, ხელში მოხრილი ხმალი უჭირავს. ასოცირდებოდა ქურციკთან, რომლის ზურგზე ფეხშემოდგმულსაც ვხედავთ ცილინდრულ საბეჭდავებზე. Jeremy Black and Anthony green, Gods, Demons and Symbols of Ancient Mesopotamia (An illustrated Dictionary), British Museum Press, p. 129.

[2] Ancient Near Eastern Seals, A Selection of Stamp and Cylinder Seals from the Collection of Mrs. William H. Moore, no. 33. იხ. 29. ჰემატიტი. მესოპოტამია. 1,55X4,9, p.172.

[3] Dominique Collon. no. 173-176. იხ. 143. აქემ-ჰუიუქი. თურქეთი. წარწერა აშამში-ადადის, რომელიც ღვთაება აშურმა შეიყვარა, მოიხსენიება როგორც აშურის ნაცვალი. 144. წარწერა: რიშ-ილუმის, ადუ-ანიმის, შამში-ადადის მსახურის ვაჟის. რკინაქვა; 2,6X1,45 სმ. 145.
ჩაგარ-ბაზარი, სირია. ანაბეჭდი გადაწერილი ფირფიტაზე. წარწერილია სახელები: მაშუმ უქას ვაჟი....და იქხუდ-ლა-შემიხუ, შამში-ადადის მსახურები. ალეპო. 3,3 + ოქროს თავსახური გრანულებით. 146. თელ-თაია. ერაყი. ფირფიტაზე ორი საბეჭდავის ანაბეჭდია. საბეჭდავი ეკუთვნის პროვინციის მმართველს. წარწერა: ხადანუმი, ანზანუმის ვაჟი, შამში-ადადის მსახური.

142 - ამურუ



143



144



145



146

გათხრებმა თელ-ალ-რიმახში წარმოაჩინა ტექსტები, რომლებიც თანხვდება მარის არქივს. ამ ფირფიტების ანაბეჭდების დიზაინი გარკვეული და საკმაოდ გავრცელებული იყო. ყოველი

გამოსახულება ადასტურებს, რომ ეს საბეჭდავები შთაგონებულია ძველბაბილონური სტილით – მეფე, რომელიც შესცქერის მავედრებელ ღვთაებას.

ცნობილია სახელები, რომელთა თანამიმდევრობა მიჰყვება ადგილობრივ მმართველებს. მათ შორისაა კასიტური სახელი კასტილიაში. არსებობს ფირფიტების მცირე რაოდენობა, რომლებიც გამორჩეულადაა დაბეჭდილი. ასევე რთული დასათარიღებელია 148 და 149 ნიმუშების სტილიც.[1] შესაძლოა განეკუთვნებოდეს მარის დაცემის დროს, როდესაც მეფობდა იშხარ-ლიმი.[2]



147



148

მესოპოტამიაში აღმოჩენილი გვიანდელი ძველბაბილონური საბეჭდავები განეკუთვნება ხამურაბის მემკვიდრეთა პერიოდს. ძვ.წ.აღ. 1750 წელს გარდაიცვალა ხამურაბი. მისი მემკვიდრის სამსუილუნას დროს საბეჭდავების გამოსახულებები რადიკალურად იცვლება. აღინიშნება საჭრელი ბორბლის და ბურღის შეუნიღბავი ხმარება.[3]

[1] Collon, no. 198-199. იხ. 147-8. 147 ჰანა, სირია. ანაბეჭდი. წარწერა: ისიჰ-დაგანი, ღვთაება დაგანის ნაცვალი, ჰანას ქვეყნის მეფე. ლუვრი. 3,0X4,2 სმ. 148 – ჰანა. სირია. წარწერა: იშხარ-ლიმი, ჰანას ქვეყნის მეფე, იდინ-ქაქას ვაჟი, მსახური ღვთაებების (ლაბასი) და დაგანის. ლუვრი. 2,8 X4,5.

[2] Dominique Collon, First Impressions Cylinder Seals in the Ancient Near East, 50-51.

[3] Porada E, Mesopotamian Art in Cylinder Seals of The Pierport Morgan Library, New York,1947.

150 საბეჭდავი ასევე სირიულია და მიეკუთვნება ძველბაბილონურ პერიოდს[1]. აქ ვხედავთ მზის ღმერთს წარდგენის სცენაში. ის ცენტრში დგას, ხელში ხერხი უჭირავს და ცალი ფეხი შემოდგმული აქვს პატარა პლატფორმაზე. მას უახლოვდება თაყვანისმცემელი, რომელსაც ახურავს აკეცილი ქუდი და აცვია ნაპირებიანი მანტია, რომელსაც ხელში უჭირავს შესანირი ცხოველი. მათ შორის ამოკვეთილია ხუმბაბას ნიღაბი[2]. თაყვანისმცემლის უკან პაექრობის სცენაა ადამიან-ხარსა და ხარისთავიან ლომკაცს შორის. კაცის ფიგურა ოვალური თავსაბურავით დგას მეორე მხარეს და უჭირავს ხმალი. კომპოზიცია შევსებულია წამოწოლილი ლომით, ჩიტით, ბაყაყით, თევზით, გაწოლილი ქურციკით და მოარული ლომით.



149

ეს საბეჭდავი წარმოგვიდგენს ძველბაბილონურ ტენდენციებს, თუმცა ის გაფორმებულია სხვადასხვა ჯგუფის ფიგურებით. შამაშისა და თაყვანისმცემლის სცენა ადასტურებს მზის ღმერთის პოპულარობას ძველბაბილონურ პერიოდში. უფრო მეტიც, შამა-

[1] Ancient Near Eastern Seals, A Selection of Stamp and Cylinder Seals from the Collection of Mrs. William H. Moore, no. 20. იხ. 149. ჰემატიტი; 2,5X1,2 სმ.

[2] ხუმბაბა – ურჩხული, გილგამეშის ეპოსის პერსონაჟი, რ-იც კედარის ტყის ყარაულად დააყენა ენლილმა და მელამით შემოსა. განასახიერებს კედრის ხის და მთელი ტყის სულს, რომლის განადგურების შემდეგაც შესაძლებელი ხდება ტყის დაპატრონება. გილგამეშმა და ენქიდუმ სძლიეს მას, რის შემდეგაც მისი შვიდი მელამი სხვადასხვა არსებებს და ბუნების ძალებს დაუნაწილა ენლილმა. კიკნაძე ზ, შუამდინარული მითოლოგიის ლექსიკონი, თბ., 1984.

შის პოზა პირდაპირ გადმოღებულია აქადური პერიოდიდან. კაცის ფიგურა ოვალური ქუდით და ხმლით გამოცანად რჩება (იხ. „კაცი კვერთხით"). ფიგურები მსგავს პოზაში ხშირია ძვ. ბაბილონური პერიოდისთვის, თუმცა ისინი არასოდეს ატარებენ ოვალურ თავსაბურავს და მსგავს კაბას. ეს მოტივები ჩრდილოეთ მესოპოტამიიდან უნდა მომდინარეობდეს. უფრო მეტიც, ხუმბაბას თავი მსგავსია ჩრდ. სირიული და ჩრდ. მესოპოტამიური დემონების თავებისა. ასე რომ, ხუმბაბას თავი, კაცის ფიგურა ოვალური ქუდით და სხვა პატარა დეტალები, დამუშავებული უნდა იყოს ჩრდ. სირიისა და მესოპოტამიის ორიგინალებიდან.

მიუხედავად ამ დროისათვის დამახასიათებელი ბასრი მასალისა, როგორიცაა წითელი რკინაქვა, საბეჭდავები სათუთად იჭრებოდა ხელის იარაღებით. ეს ახალი სტილი, შესაძლოა, ჩამოყალიბდა სირიაში.



150



151

ამ საბეჭდავების (135, 150, 151)[1] დიზაინის მხოლოდ ნაწილია ამოჭრილი ძველბაბილონური სტილით. ხშირ შემთხვევაში, ემატება სხვა სტილით, კერძოდ ბურღითა და საჭრელი ბორბლით შესრულებული შიშველი ფიგურა. სტილის შეცვლა აშკარა ხდება თუ დავაკვირდებით 151, 152 და 153 საბეჭდავებს.[2]



152



153

ეს საბეჭდავები შესრულებულია ახალი ტექნიკით, ანუ წარმოება ხდებოდა უფრო სწრაფად, რაც იწვევდა მათ დაბალ ხარისხს. საბეჭდავებზე იგრძნობა ახალი სტილი, რომელიც კასიტურ ბაბილონში და მის შემდგომ პერიოდში კიდევ უფრო ვითარდება. 154[3] საბეჭდავის

---

[1] Collon, no. 171,184,185. იხ. (135, 150, 151.) 12. წარწერა: იშმე-ილუმ, ქიშტის ვაჟი....მსახური ლაგიდ-ლიმის, მარის მმართველის. ვენა. ჰემატიტი. 3,7X1,64. 17 მარი, სირია. წარწერა: იასიმ-სუმუ, მმართველი, აბიიარახის მარის მეფის ვაჟი. 18. ალალახი, თურქეთი. წარწერა: თურადუმი, იდინ-დერითუმის ვაჟი; მსახური აქბა-ხამუსი ქარანის მმართველის. ჰემატიტი; 2,8X1,4.

[2] Collon, no. 185, 193, 194. იხ. (151, 152, 153). 151. იხ. შენიშვნა 188; 152 – ლარსა. იუველირის საგანძურიდან.ერაყი. წარწერა: ილმუ-იბნიშუ, ათანახ-ილის ვაჟი, ღვთაება ნერგალის მსახურის. ჰემატიტი. 2,6X1,2 სმ; 153 – წარწერა: შა-ნანაია, ზარიქუმის ქალიშვილი, მსახური – გოგო ნანაიასი. მოწითალო და თეთრი აქატი. 3,25X1,8 სმ.

[3] Collon, no. 196. იხ. 154. სიფარი. ერაყი. 1,7 სმ.

მსგავსი ნიმუშებით დასტურდება მითანის გავლენა, თუმცა ჩნდება აუხსნელი უფსკრული ბაბილონის დაცემის ხანის (ძვ.წ. 1595 წ.) და მითანურ-კასიტურ საბეჭდავებს შორის (ძვ.წ.აღ. XV საუკუნემდე).[1]

ბაბილონური სტილის გავლენა აღინიშნება სირიასა და პალესტინაშიც. თუმცა, ამ პერიოდის სირიული საბეჭდავების განვითარებას ძირითადად ამოძრავებდა კაპადოკიური სავაჭრო ფაქტორიების გავლენა. სირიაში დამკვიდრებული იყო გამოკვეთილი იკონოგრაფიული სტილი, რაც უნდა ასახავდეს ქვეყნის პოლიტიკურ სტაბილურობას. ეს გამოწვეული იყო იამხადის (ალეპო) მეფეების მკაცრი მმართველობით.



154



155

ჩვენ არ მოგვეპოვება ალეპოს უფრო ადრეულ მეფეთა საბეჭდავები ან მათი ანაბეჭდები. სავარაუდოდ ისინი ძვ.წ.აღ. XIX ს-ში ბაბილონურ იკონოგრაფიაზე უნდა ყოფილიყო დაფუძნებული (155).[2] ამ საბეჭდავზე ასახული სცენა ენათესავება ჩრდ. სირიულ საბეჭდავთა ჯგუფს და განეკუთვნება ძველბაბილონურ პერიოდს.

[1] Ancient Art in Seals, Princeton, New Jersey, 1980, IV.

[2] Collon, no. 209. იხ. 155 -- ჰემატიტი; 2,95X1,5 სმ.

ძველბაბილონური (ძვ. წ.აღ. 1850-1700) 156 საბეჭდავი, რომელზედაც ვხედავთ კაცის ფიგურას და მთხოვნელ ღვთაებას განსაკუთრებით საინტერესოა თავისი წარწერით.[1] წარწერაში ვკითხულობთ:



156

ta-an-na-hu-un-di	თან-ნახუნდი
d u m u la-ba-a-ba	ლაბაბას ვაჟი
ir ^{d} ne-iri-gal	მსახური (ღმერთ) ნერგალისა.

ამ საბეჭდავის დიზაინი ნაკლებად დახვეწილია და არაფრით გამოირჩევა. აქ განსაკუთრებით საინტერესოა მისი წარწერა. საბეჭდავის პატრონი, მისი სახელის მიხედვით, ელამელია. თავის საბეჭდავზე საკუთარ თავს მოიხსენიებს, როგორც ბაბილონური ომისა და მიწისქვეშეთის ღმერთის – ნერგალის მსახურად.[2]

[1] Ancient Near Eastern Seals, A Selection of Stamp and Cylinder Seals from the Collection of Mrs. William H. Moore, no. 65. იხ. 156 – მაგნეტიტი; 2,5X1,1 სმ.

[2] Cylinder Seals from the Collection of Mrs. William H.Moore,.. p. 65.

ძველბაბილონური პერიოდის ღვთაებები

შამაში

მზის ღმერთი შამაში (შუმერული უთუ) ყველაზე მნიშვნელოვანი ღვთაება იყო ძველბაბილონურ ხანაში. მაგრამ რას წარმოადგენს შამაში შუამდინარულ თეოლოგიაში? თავისი სიმბოლური რიცხვით „ოცი", რაც უზენაესი ღვთაების, ანის რიცხვის (60) მესამედს შეადგენს, მას მიჩენილი აქვს ადგილი პანთეონის მხოლოდ მეორე ტრიადაში სინსა (30) და იშთარს (15) შორის. თუმცა, მზის ღმერთს, შამაშს გინა უთუს, არასოდეს დაუკავებია შუამდინარულ პანთეონში უმაღლესი ღვთაების ადგილი, არც სინისაგან განსხვავებით, არასოდეს აღზევებულა იმპერიული ღვთაების რანგში მიუხედავად იმისა, რომ მისი კოსმოგონიური როლი განუზომლად დიდია. უპირატესად იგი კოსმოგონიური ღვთაებაა, რომლის ყოველწლიური ამობრწყინება დემიურგის ერთჯერადი დაბადების განუწყვეტელი განმეორებაა.[1]

ცილინდრულ საბეჭდავებზე შამაშს ტახტზე (მთაზე) ამაღლებულს ვხედავთ, რომელიც იღებს თაყვანისმცემლებს. შამაში გამოისახებოდა ხერხით ხელში, რითაც ის ჭრიდა გადაწყვეტილებებს. ძველბაბილონური პერიოდის მთელი რიგი დოკუმენტები, ხამურაბის კანონების ჩათვლით, დაფუძნებული იყო შამაშის გადაწყვეტილებებზე. შამაშს უმაღლესი სტატუსი ჰქონდა ძველბაბილონურ პერიოდში. მისი სიმბოლო იყო მზის დისკო, მსახური კი ადამიანი-ხარი, რომელსაც ხშირად უჭირავს მზის დისკო. ქ. სიფარში იყო შამაშის ტაძარი. 157 ცილინდრულ საბეჭდავზე ვხედავთ შამაშს მცველებიან კარიბჭეში, რომელსაც ღვთაებები უახლოვდებიან.[2]

[1] კიკნაძე ზ., შუამდინარული მითოლოგია, თბილისი, 2006, გვ. 114-15.
[2] Holly Pittman, Ancient Art In Miniature, The Metropolitan Museum of Art, New York. fig. 16. იხ. 157-ალებასტრი; 9,5 სმ.



157

შამაშის ასპექტები:



შამაში, როგორც ამომავალი მზე, აღმოსავლეთის მთებს შორის.

შამაში, როგორც მბრძანებელი, იღებს თაყვანისმცემლებს.

შამაში, როგორც უზენაესი მოსამართლე, გამოირჩევა ამომავალი სხივებით მხრებიდან[1].

[1] შამაშის ასპექტები, აქადური პერიოდის ცილინდრული საბეჭდავების ანაბეჭდებიდან. იხ. Jeremy Black and Anthony Green, Gods, Demons and Symbols of Ancient Mesopotamia (An illustrated Dictionary), British Museum Press, p. 183.



შამაში ანთროპომორფულ, გაღმერთებულ ნავში.
დეტალი აქადური პერიოდის ცილინდრული საბეჭდავისგან (ეშნუნა).[1]

ᲘᲨᲗᲐᲠᲘ

იშთარი იყო ერთადერთი უზენაესი ქალღმერთი მესოპოტამიურ პანთეონში. წარმოიშვა შუმერული ინანასაგან. სემიტურმა იშთარმა შეითავსა სიყვარულისა და ომის ძალები. ძველბაბილონურ პერიოდში იშთარი გამოისახებოდა საბრძოლო ფორმით, ისრების ფონით, ლომისთავიანი ხმლით და მოხრილი ხანჯლით მეორე ხელში. მას ფეხი შემოდგმული აქვს ხოლმე ლომის, ზოგჯერ ლომისთავიანი ფრინველის ზურგზე[2].

იშთარი ჩანს შიშველი.



იშთარი, როგორც მებრძოლი.

[1] Jeremy Black and Anthony Green, Gods, Demons and Symbols of Ancient Mesopotamia (An illustrated Dictionary), British Museum Press, p. 45.

[2] Holly Pittman, Ancient Art In Miniature, The metropolitan Museum of Art, New York, p. 28.



იშთარი ასტრალურ ასპექტში
იღებს თაყვანისმცემელს.[1]

ᲜᲔᲠᲒᲐᲚᲘ

ბუნების, ვეგეტაციის ღვთაება, ასევე მიწისქვეშეთის ღმერთი. მისი მეუღლე იყო ერეშქიგალი – ქვესკნელის და სიკვდილის ღვთაება. ნერგალის ძირითადი ატრიბუტი იყო ხმალი, ზოგ შემთხვევაში, ლომისთავიანი წვერით. ამ პერიოდის ლურსმულ ტექსტებში ხშირად ჩანს შამაშთან ერთად. ნერგალის ფავორიტებია: ლომი, ლომიგრიფონი და ლომისთავიანი დემონი, რომლებიც აღასრულებდნენ ნერგალის მსხვერპლს. ამიტომაც როგორც გამანადგურებელნი, სწორედ ისინი ჩანან საბეჭდავების იკონოგრაფიაში და არა ნერგალი.



ძველბაბილონური ცილინდრი ლარსადან ნერგალის
გამოსახულებით. წარწერა ეძღვნება ნერგალს აბისერისგან
(შესაძლოა ლარსას მეფის სახელია).[2]

[1] Jeremy Black and Anthony Green, Gods, Demons and Symbols of Ancient Mesopotamia (An illustrated Dictionary), British Museum Press, p. 108.

[2] Jeremy Black and Anthony Green, Gods, Demons and Symbols of Ancient Mes-

ამინდის ღვთაება (ადადი)

ამინდის ღვთაების გამოსახვა იწყება აქადურ პერიოდში. ის მოჩანს ცეცხლისმფრქვეველი ლომ-გრიფონის ზურგზე. მოგვიანებით გამოისახებოდა ელვისებრი ორკაპით, ასევე ხარის ან ლომ-გრიფონის ჭენებით. ძველბაბილონურ საბეჭდავებზე კი გამოისახებოდა სამპირიანი ხმლით, რაც ომის ასოციაციას იწვევს (იხ. 141).

შიშველი ქალღმერთი

შიშველი ქალღმერთის გამოსახულება პირველად ჩნდება ძველბაბილონურ პერიოდში. ის დგას ფრონტალურად, ზოგჯერ კვარცხლბეკზე. მისი იდენტიფიკაცია და ღვთაებრივი ბუნება მთლად გარკვეული არ არის. მას უნდა ჰქონოდა დამცავი და ნაყოფიერების ფუნქცია. ურის III დინასტიის ხანიდან ბაბილონის დაცემამდე თიხის დეკორატიულ თეფშებზე შიშველი ქალღმერთის გამოსახულება დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ნიმუშები აღმოჩენილია სამარხებში, ტაძრებსა და სამოსახლოებში.



158 - შიშველი ქალღმერთი[1]

მავედრებელი (მთხოვნელი) ქალღმერთი

ქალღმერთი, რომელიც მედიატორის როლს თამაშობდა ადამიანსა და ღმერთს შორის და ვხედავთ წარდგენის სცენებში, უნდა

opotamia (An illustrated Dictionary), British Museum Press, p. 65.

[1] შიშველი ქალღმერთი – იხ. 158 – ძველბაბილონური პერიოდი, ჰემატიტი; 2,1X0,8 სმ. Holly Pittman, Ancient Art In Miniature, The metropolitan Museum of Art, no. 31. New York, p.58.

ყოფილიყო ქალღმერთი ლამა.[1] ის მოჩანს ძველბაბილონური პერიოდის ცილინდრულ საბეჭდავებზე უზენაეს ღვთაებებთან ერთად და, როგორც წესი, შესცქერის ხოლმე კაცის ფიგურას, რომელსაც ხელთ უპყრია ძალაუფლების სიმბოლო, შესასაძლოა, კვერთხი. ლამას გამოსახულებები ფართოდ იყო გავრცელებული ძვ.წ.აღ. II ათასწლეულში. გლიპტიკის ნიმუშების გარდა, მას ვხედავთ სამკაულებსა და სტელებზე.[2]



158 (a) - ლამა - მავედრებელი ქალღმერთი[3]

კაცის ფიგურა კვერთხით

პირველად ჩნდება ძველბაბილონურ პერიოდში. მისი მოსასხამი და ნაპირებიანი კეპი გამოარჩევს მას უზენაესი ღმერთებისგან. ფიგურა კვერთხით უნდა უკავშირდებოდეს მმართველებს. ყოველთვის პროფილშია გამოისახული და იცქირება მარჯვნივ, ზოგჯერ ფეხი შემოდგმული აქვს წაქცეულ მტერზე. ის მიიჩნეულია კეთილ გენიად, ან დინასტიის მეფის ხორცშესხმად. მეფე ნარამსინი, აქადური დინასტიის მეფე, ასევეა გამოისახული მტერზე გამარჯვებისას თავის

[1] ლამა – (აქად. ლამასუ) მფარველი ქალღმერთი. როგორც ქალღმერთი ანონიმურად რჩება. Jeremy Black and Anthony green, Gods, Demons and Symbols of Ancient Mesopotamia (An illustrated Dictionary), British Museum Press, p. 115-16.

[2] Holly Pittman, Ancient Art In Miniature, The metropolitan Museum of Art, New York, fig. 17.

[3] ლამა – იხ. 158 (a) მთხოვნელი ქალღმერთი (ლამა) დგას კვერთხიანი კაცის უკან, რომელიც შესცქერის იშთარს. ჰემატიტი; 2,4X1,1 სმ. Holly Pittman, Ancient Art In Miniature, The metropolitan Museum of Art, no. 29; 31. New York, p. 58.

ცნობილ სტელაზე (იხ. გვ. 158). ნარამსინის სტელა, რომელიც დღეს ლუვრშია დაცული, ძველბაბლონურ პერიოდში იდგა ქ. სიფარში და, შესაბამისად, განაპირობებდა იკონოგრაფიის სტილს. ასე რომ, წარმოდგენილი იკონოგრაფია სახე უნდა იყოს დინასტიური მმართველისა.

კაცის ფიგურა კვერთხით ხშირად ჩანს წარდგენის სცენებში მავედრებელ ქალღმერთთან ან იშთართან ერთად (156, 158, 158ა).

პაექრობის სცენები

პაექრობის სცენები ადამიან-ხარს, შიშველ გმირსა და გარეულ ცხოველებს შორის ჩაისახა ადრედინასტიურ პერიოდში და შემდგომ სხვადასხვა ინტერპრეტაციით მეორდებოდა. აქადურ პერიოდში წარმოდგენილია წყვილებად, რომლებიც ხშირად გაყოფილია წარწერით. პაექრობის სცენებს ველარ ვხვდებით ახალშუმერულ პერიოდში, ხოლო ძველბაბილონურ პერიოდში თავიდან ჩნდება. პაექრობებში წარმოდგენილი ლომი-გრიფონი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასოცირებულია ნერგალთან (იხ. აქადური და ძველბაბილონური პერიოდის პაექრობის სცენების ნიმუშები).

ძველბაბილონური სტილის გავლენები

ძველბაბილონურ იკონოგრაფიაზე დაფუძნებული იყო ქ. მარის პერიოდის საბეჭდავები, რომელთა მფლობელების სახელები ცნობილია ეშნუნას ტექსტებიდან. ეს საბეჭდავები, სავარაუდოდ, მზადდებოდა ამ მხარეში. მათი უმრავლესობა წარმოგვიდგენს მეფე შამში-ადადს, რომელსაც ქვედატანი ან კაბა აცვია, ხოლო მთხოვნელი ქალღმერთი ყოველთვის არ არის წარმოდგენილი (159-61).[1]



159



160



161

[1] Dominique Collon, First Impressions Cylinder Seals in the Ancient Near East, British Museum Press, 1987. no. 174-6. იხ. 159-61. 159 – წარწერა: რიმ-ილუმი, ადუ-ანიამის ვაჟი, შამში-ადადის მსახური; რკინაქვა; 2,6X1,45 სმ. 160 – ფირფიტა დაბეჭდილია ორიდან ერთი საბეჭდავით, რომელიც ეკუთვნოდა პროვინციის მმართველს. წარწერა: ჰასიდანუმი, ანზანუმის ვაჟი, შამშიადადის მსახური. 161 – ჩაგარ-ბაზარი, სირია. წარწერა: მამუმ, უქას ვაჟი....იქშუდ-ლა-შემიშუ, შამში-ადადის მსახურები.. ანაბეჭდი 3,3 ოქროს ყულფი გრანულებით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიუხედავად ბასრი მასალისა მაღალი ხარისხის საბეჭდავები ხელის იარაღებით იჭრებოდა. ამ დროისათვის ყველაზე გავრცელებული მასალა საბეჭდავების დასამზადებლად იყო წითელი რკინაქვა. სავარაუდოდ ეს ახალი სტილი სირიაში უნდა ჩამოყალიბებულიყო.

162



163



164



165

164, 162-163 ნიმუშებით წარმოდგენილია ამ საბეჭდავების დიზაინის მხოლოდ ნაწილი ამოკვეთილი ძველბაბილონური სტილით.[1] ხშირ შემთხვევაში, მას ემატება სხვა სტილით შესრულებული შიშველი ფიგურა – ბურღის და საჭრელი ბორბლის საშუალებით. შესაძლოა, 164 და 163-ზე ფიგურები დაემატა მოგვიანებით, რასაც ვერ ვიტყვით 162 საბეჭდავზე, რომლის გამოსახულება თარიღდება ზიმრი-ლიმის მეფობით (ძვ.წ.აღ. 1760).



166



167

[1] Dominique Collon, First Impressions,.. no. 171. იხ. 164 – წარწერა: იშმეილუმ, მწერალი, ქიშთის ვაჟი.., ლაგიდ-ლიმის, მარის მმართველის მსახური; ჰემატიტი; 3,07X1,64 სმ. no. 184. იხ. 162 – მარი, სირია. ანაბეჭდი. წარწერა: იასიმ-სუმუ, მმართველი, აბი-იარაჰის ვაჟი, ზიმრი-ლიმის, მარის მეფის მსახური. no. 185. იხ. 163 – წარწერა: ირადუმ, იდინ-დეთითუმის ვაჟი, აქბა-ჰამუს, ქარანას მმართველის მსახური. ჰემატიტი; 2,8X1,4 სმ.

სტილის შეცვლა აშკარა ხდება თუ დავაკვირდებით 163-ე, 166-ე და 167-ე საბეჭდავებს.[1] ისინი შესრულებულია ახალი ტექნიკით, ანუ წარმოება ხდებოდა უფრო სწრაფად, რაც იწვევდა მათ დაბალ ხარისხს. საბეჭდავებზე იგრძნობა ახალი ტენდენციები, რომელიც კასიტურ ბაბილონში და მის მომდევნო პერიოდში კიდევ უფრო განვითარდა. 196 საბეჭდავის მსგავსი ნიმუშებით დასტურდება მითანის გავლენა.[2]

[1] Dominique Collon, no. 193-4. იხ. 166 – ლარსა, ერაყი. წარწერა: ილშუიბნიშუ, ათანახიილის ვაჟი, ღვთაება ნერგალის მსახური. ჰემატიტი; 2,6X1,2 სმ. 167 – წარწერა: შა-ნანაია, ზარიქუმის ქალიშვილი, ნანაიას მსახური – გოგო. თეთრი აქატი; 3,25X1,8 სმ.

[2] Dominique Collon, first Impressions,.. no. 196. იხ. 165 – სიფარი, ერაყი. ფირფიტაზე წარწერა თარიღდება ამიდითანას 29-ე წლით. ანაბეჭდი. 1,7 სმ.

სირია და პალესტინა

ძველბაბილონური პერიოდის სირიულ საბეჭდავებზე შეინიშნება კაპადოკიური სავაჭრო ფაქტორიების გავლენა. 180 საბეჭდავის ორნამენტები აშკარად დამზადებულია სპეციალურ საამქროში, სადაც მუშაობდნენ ეგზოტიკურ ქვებზე, კერძოდ იასპზე.[1] შესაძლოა, ეს საამქრო მდებარეობდა ბიბლოსის ქალაქ-ნავსადგურში. იქიდან მოყოლებული ეგვიპტური მოტივები დომინირებს ამ საბეჭდავების დიზაინზე, საიდანაც შემდეგ უნდა გაფანტულიყო ხმელთაშუაზღვისპირეთში.

ცხოველების ტანი წარმოდგენილია უფრო და უფრო იშვიათი სეგმენტებით, რისი ნათელყოფაცაა 171 საბეჭდავი. ამ საამქროების უფრო ადრეული ნიმუშები უნდა იყოს 169-70 და 168, ხოლო 183, 171, 172 ასახავს ამ საამქროების გვიანდელ პროდუქციას.[2]



168

[1] Dominique Collon, no. 899. იხ. 180 – ქიულთეფე, თურქეთი. ანაბეჭდი კონვერტზე. 1,3 სმ.

[2] Dominique Collon, no. 200. იხ. 169 – ბიბლოსი, ლილაქვა; 2,6 სმ. no. 201. იხ. 170 – ჰემატიტი; 2,5X1,1 სმ. no. 202. იხ. 171 – კვიპროსი, ჰემატიტი; 2,7X 1,35 სმ. no. 205. იხ. 172 – წარწერაა ეგვიპტური იეროგლიფურით: h 'ndy-საკუთარი სახელია. მწვანე იასპი;2,5X1,5 სმ. no. 192. იხ. 181 – წარწერა უკუღმაა: ლაუშ-ადუს საბეჭდავი, ბუზურანის მეფის. ეს სახელი ცნობილია ქ. მარიში ზიმრილიმის მეფობის დროს. ბუზურანი მდებარეობდა მართან ახლოს, მდინარის ქვედა დინებაზე.



169



170



171



172

173



174

სხვა სტილი, რომელიც გავრცელებული უნდა ყოფილიყო ჩრდილოეთ სირიაში, ასევე იყენებდა სეგმენტურ ტექნიკას ლომისა და ადამიანის ფიგურების გამოსახვის დროს – 173, 174.[1] ის ენათესაობა ჩრდ. სირიულ საბეჭდავთა რიგს სხვა საამქროებიდან, რომელთა ნიმუშები ნაპოვნია უფრო ფართო არეალზე (175-78).[2] წარმოდგენილი ცილინდრების ძირითადი მასალა იყო წითელი რკინაქვა.



175



176

[1] Dominique Collon,.... no. 206-7. იხ. 173-4. 173 – ჰემატიტი; 3,13X1,7 სმ. 174 – ჰემატიტი; 2,1X1,1 სმ.

[2] Dominique Collon,.... no. 208. იხ. 175 – შავი ქვა; 2,4 სმ. no. 210. იხ. 176 – ქიულთეფე, თურქეთი.; სტეატიტი; 1,5X0,8 სმ. no. 211. იხ. 177 – ჰემატიტი; 1,8X0,95 სმ. no. 581. იხ. 178 – თელ-ალ-რიმაჰი, ერაყი. ანაბეჭდი. წარწერა: ბინი-შაქინ, მეფის უფროსი ვაჟი, აშქურ-ადუს მსახური.

177



178



179

179 და 181 საბეჭდავები მიჩნეულია უფრო სირიულად ვიდრე ბაბილონურად[1]. ძვ.წ.აღ. XVIII ს-ის მეორე მეოთხედიდან სირიაში დამკვიდრებულია ინდივიდუალური იკონოგრაფია და სტილი, რაც უნდა ასახავდეს პოლიტიკურ სტაბილურობას. ეს გამოწვეული იყო იამხადის (ალეპო) მეფეების მკაცრი მმართველობით. იარიმლიმ II, იამხადის მეფე, რომელმაც მოიგერია ხამურაბი, გარდაიცვალა

[1] Dominique Collon,.... no. 191-2. იხ. 179 – ცნობილია ქ. მარის ანაბეჭდიდან, სადაც მას ხმარობდა ვინმე ანა-სინ-თაქლაქუ, დარიშ-ლიბურის ვაჟი, ზიმრილიმის მსახური. წარწერა ამოუკვეთავს ადად-შარუმს, შამაიათუმის ვაჟს, ღვთაება ნინშუბურის მსახურს. 2,7X1,5 სმ. no. 192. იხ. 181.

ძვ.წ.აღ. 1765 წელს. ნიქმეფუხი – იამრიმლიმ II-ის ვაჟი გამოსახულია 182 საბეჭდავზე.[1]

183 ნიმუშზე გამოსახულია მეფე აბანი.[2] ამ საბეჭდავის წარწერაზე ერთად მოიხსენიებიან აბანი და ხამურაბი. სირიის მრავალ ცილინდრულ საბეჭდავზე გვხვდება მეფეთა გამოსახულებები ბაბილონის მეფე ხამურაბის და იამხადის მეფე იარიმლიმ III-ის ჩათვლით. მეფეთა დინასტიების და მათი ფირფიტების არქივის საშუალებით, ასევე ალალახში აღმოჩენილი საბეჭდავების ანაბეჭდებით, მიახლოებით ხერხდება სირიული საბეჭდავების დათარიღება.



180



181



182



183

[1] Dominique Collon,.... no. 214. იხ. 182 – ანაბეჭდი. წარწერა: ნიქმეფუხი, იარიმლიმის ვაჟი, ალეპოს მეფე, ღვთაების მიერ შეყვარებული.

[2] Dominique Collon,.... no. 542. იხ. 183 – ალახი, ანაბეჭდი. მთხოვნელი ქალღმეღთი და მეფე შესცქერიან სირიულ ღვთაებას. ხელში უჭირავთ ეგვიპტური სიმბოლო; წარწერა: ხამურაბი და იამხადის მეფე აბანი – ღვთაება ადადის მიერ შეყვარებულები; 2,3 მეტალის ყულფი.



184



185

ჩვენ არ მოგვეპოვება ალეპოს მეფეთა უფრო ადრეული საბეჭდავები ან ანაბეჭდები. სავარაუდოდ, ისინი ძვ.წ.აღ. XIX ს-ში ბაბილონურ იკონოგრაფიაზე უნდა ყოფილიყო დაფუძნებული – წარმოდგენილი გვერდით მჯდომარე ქალღმერთებით. 185 საბეჭდავი, რომლის სცენა ენათესავება ჩრდილოეთ სირიულ საბეჭდავთა ჯგუფს, უნდა განეკუთვნებოდეს ძველბაბილონურ პერიოდს.[1]

მოგვიანებით, საბეჭდავებზე ალეპოს მეფეები გამოსახულია ქალღმერთის წინ მსხდომი. მათი შედარება მეფე აბანის და მისი შვილიშვილის (182-3) საბეჭდავების დიზაინთან გვიჩვენებს, რომ მიუხედავად მსგავსი იკონოგრაფიისა, ფიგურები გამოსახულია უფრო წაგრძელებულად, სახასიათოდ და ნაკლებად მოჩუქურთმებულია.

184 საბეჭდავი უნდა განეკუთნებოდეს იარიმლიმ III-ის მსახურს.[2] ეს საბეჭდავი ალეპოს იმ საამქროში უნდა იყოს დამზადებული, რომელიც აწარმოებდა მაღალი ხარისხის წითელი რკინაქვის საბეჭდავებს მეფე აბანის მეფობის პერიოდში.

[1] Dominique Collon,.... no. 209. იხ. 185 – ჰემატიტი; 2,95X1,5 სმ.

[2] Dominique Collon,.... no. 215. იხ. 184 – წარწერა: აია-აჰუბი, იარიმლიმის მსახური; 2,7X1,1 სმ.

სირიულ იკონოგრაფიაში ჭექა-ქუხილის ღმერთი ფრთებით შემოსული უნდა იყოს ეგვიპტიდან. ეგვიპტური ანხი,[1] ეგვიპტელი ქალღმერთები და მთლიანად ეგვიპტიზირებული სცენები ნათელყოფენ 186-7-ე საბეჭდავების მჭიდრო კავშირს ეგვიპტე-სირიას შორის.[2] ამ პერიოდისაა ასევე 169.



186



187

სირია წარმოადგენდა კოსმოპოლიტურ რეგიონს ძლიერ და მდიდარ მეზობლებს შორის, რომელთა საშუალებითაც ხდებოდა სირიის კულტურის ნიუანსების შეთვისება და გავრცელება ძველ ახლო აღმოსავლეთში. ამ დროს პალესტინაში თილისმებად და საბეჭდავებად ეგვიპტურ ხოჭოებს ხმარობდნენ, თუმცა სირიული ცილინდრული საბეჭდავების ნაწილი მაინც რჩებოდა მიმოქცევაში.

ანხი

[1] ანხი – ეგვიპტური სიმბოლო, რომელიც სიცოცხლის ემბლემას წარმოადგენდა. ანხი ცნობილია სირიული საბეჭდავებიდან. ძალიან იშვიათად გვხვდება მესოპოტამიურ იკონოგრაფიაში. Jeremy Black and Anthony green, Gods, Demons and Symbols of Ancient Mesopotamia (An illustrated Dictionary), British Museum Press, p. 74.

[2] Dominique Collon,.... no. 221-22. იხ. 186 – ჰემატიტი; 2,15X1,05 სმ. 187 – ჰემატიტი; 2,4X1,3 სმ.

ირანი

ეს საბეჭდავები მომდინარეობს ირანიდან (ელამიდან) და აღსანიშნავი ცვლილებებით დაფუძნებულია მესოპოტამურ იკონოგრაფიაზე.

საბეჭდავების უმრავლესობა, რომლებიც აღმოჩენილია სუზაში, არ არის დაშრეებული. აქ დათარიღების ზუსტი ანალიზი გამორიცხულია. სუზაში ნაპოვნი ზოგიერთი საბეჭდავი მთლიანად ბაბილონურის მსგავსია და დამზადებულია წითელი რკინაქვისაგან. ძირითადი ფიგურები ღალატობენ ელამურ ორიგინალებს. აქ ვხედავთ რქიან თავსაბურავებს, ქოჩორს, აწეულ ხელებს – ერთს უფრო მაღლა, ანუ იმავე მოდელებს, რაც ქ. სიფარის საბეჭდავებზეა წარმოდგენილი (188-90.).[1]



188

189

[1] Dominique Collon, first Impressions Cylinder Seals in the Ancient Near East, British Museum Press, 1987. no. 224. იხ. 188 – წარწერა: თემთი-ნაფირ, შიკრიკი, ათაშერას ვაჟი, ღვთაება ნინშუბურის მსახური. დიორიტი; 2,3X1,1 სმ. no. 229. იხ. 189 – სუზა, ირანი. ანაბეჭდი წარწერის გარეშე. ქლორიტი; 2,75X1,5 სმ. no. 799. იხ. 190 – წარწერა: ავილ..., ნაბიუმ-მალიქის ვაჟი, ღვთაება შაქანის მსახური; ჰემატიტი; 2,1X1,2 სმ.

190

ამ საბეჭდავების ძირითადი ნიშნები არსად არ გვხვდება მესოპოტამიურის გარდა. თმის ქოჩორი ასევე დასტურდება უფრო გვიანდელ საბეჭდავებზე და ტერაკოტებზე, რაც შესაძლოა ეხმაურებოდეს ეთნიკურ ნიშანს.

პ. ამიეს აზრით, ამ საბეჭდავების თავისუფალი, ზერელე სტილი წარმოიშვა ძვ.წ.აღ. XIX ს-ში და გრძელდებოდა რამდენიმე საუკუნის განმავლობაში.[1] აქ ძირითადად წარმოდგენილია მჯდომარე ქალღმერთი და გალმერთებული მეფე, წარწერას ძალიან იშვიათად ვხვდებით, სამაგიეროდ სხვადასხვა ვარიაციებია მთებისა, რომლებზეც ზოლებადაა მცენარეები (191),[2] ვხედავთ გველებსა და მოხტუნავე თხას, რომელსაც ძირითადად ორი ფეხი აქვს გამოსახული. ეს საბეჭდავები ხშირად მზადდებოდა ბიტუმით, რაც საერთოდ არ იხმარებოდა საბეჭდავების მასალად ელამის საზღვრებს გარეთ.



191

[1] Amiet, La Glypptique sussienne, 1972, p. 239.

[2] Dominique Collon, First Impressions, no. 225. იხ. 191 – სუზა, ირანი. ბიტუმი; 2,9X1,6 სმ.



192



193



194

ორი საბეჭდავი, რომელიც ნაპოვნია სუზაში არატრადიციული სტილითაა შესრულებული და დამზადებული უნდა იყოს ფაილაკაში (კუნძული სპარსეთის ყურეში). აქ ნაპოვნია 193-ე საბეჭდავი,[1] რომლის იკონოგრაფია ძალზე განსხვავებულია. კერძოდ აშკარად იგრძნობა გავლენა ირანული საბეჭდავებისა, წახნაგებიც ნასესხებია. მსგავსი ცილინდრები ენაცვლებოდა ადგილობრივ კონუსურ საბეჭდავებს, რაც მიუთითებს ირანთან კონტაქტზე.

[1] Dominique Collon, no. 604. იხ. 193 – მწვანე სტეატიტი; 2,2X1,15 სმ.

192 საბეჭდავი თარიღდება ძვ.წ.აღ. XV ს-ით.[1] აქ მოხსენიებულია საბეჭდავის პატრონი, რომელსაც დაუბეჭდავს ფირფიტა (ნუზის არქივშია). ეს საბეჭდავი ბევრად ადრინდელი უნდა იყოს და თავიდანაა ხმარებაში შესული. სხვა საბეჭდავები ჩვენთვის მხოლოდ ანაბეჭდაბითაა ცნობილი, სადაც გამოსახულია გველზე დამჯდარი ღმერთი (195).[2] ის უნდა განეკუთვნებოდეს სასამართლოს სტილს. ამ ნიმუშების დათარიღება რთულდება, რადგან ანაბეჭდები ფრაგმენტულია, თანაც ამ ტიპის საბეჭდავები მზადდებოდა რამდენიმე საუკუნის განმავლობაში.

[1] Collon, no. 231. იხ. 192 – სუზა, ირანი. ბიტუმი; 2,3X0,9 სმ.

[2] Collon, no. 547. იხ. 195 – ირანი, ანაბეჭდი. წარწერაში მოიხსენიება სუზას მეფე ანზანი.

ანატოლია

ძვ.წ.აღ. XIX ს-ში საბეჭდავების ანატოლიური ჯგუფი ასოცირდება კაპადოკიურ ვაჭრობასთან. განსაკუთრებით უცხო სტილითაა შესრულებული 196 საბეჭდავი, რომელიც აღმოჩენილია ქიულთეფეში.[1] აქ აშკარა მესოპოტამიურ პროტოტიპთან გვაქვს საქმე.

194 არის სირიული საბეჭდავი და განეკუთვნება ძვ.წ.აღ. XVIII ს-ის ბოლოს ან XVII ს-ის დასაწყისს. აგრეთვე წარმოდგენილია ლურსმული წარწერა სამი წყება ხეთური დამწერლობით. ნიშნებიც და დიზაინიც ერთი ხელითაა შესრულებული,[2] ყველაზე ადრინდელი დადასტურება უნდა იყოს ხეთური იეროგლიფური წარწერისა და თარიღდება ძვ.წ.აღ. 1500 წ-ით.

196



197

[1] Collon, no. 232. იხ. 196 – ქიულთეფე, ქარუმ Ib სამარხი, თურქეთი. ლილაქვა, მოოქროვილი ყულფით; 1,9X0,8 სმ.

[2] Dominique Collon, no. 233. იხ. 194 – წარწერა: ინდილიმა, შირდამუს ვაჟი, ქალღმერთ იშხარას მსახური (ლურსმულით), სამი ხაზი შესრულებულია პროტოხეთურით (იეროგლიფებით) – სიმბოლოებია სიკეთის და სიცოცხლის. ჰემატიტი; 2,65X1,3 სმ.

195



198

იმავე პრობლემას ვაწყდებით 197-8-ე საბეჭდავებზე, რომლებიც ნითელი რკინაქვისგანაა დამზადებული ერთი და იმავე ნახნაგებით.[1] ყოველ მათგანს დიზაინის ნაწილად გასდევს ძალიან კარგად შესრულებული დამუშავებული სპირალები.

სავარაუდოა, რომ 198 საბეჭდავის დიზაინის ორიგინალი მთლიანად გადაფხეკილია და ამოჭრილია ახალი, რომელიც უნდა თარიღდებოდეს ძვ.წ.აღ. II ათასწ. II ნახევრით, ხოლო 196 და 197 უნდა მივაკუთვნოთ ძვ.წ. XVII საუკუნეს. ჩვენ არ მოგვეპოვება გლიპტიკის ხელოვნების განვითარების საკმაო თვალსაჩინო მასალა ანატოლიაში, რომ შესაძლო გახდეს ამ საბეჭდავებისთვის ადგილის მიჩენა. ერთი კი აშკარაა, რომ ეს საბეჭდავები ენათესავება ანატოლიურ ჯგუფს.

[1] Dominique Collon, First Impressions, no. 835, 841. იხ. 197 – ჰემატიტი; 2,9X2,2 სმ. no. 841. იხ. 198 – ჰემატიტი; კონუსური ცილინდრები; 3,5X2,2 სმ.

სამეფო და დინასტიური საბეჭდავები

„სამეფოს“, ზოგადად, ვუწოდებთ იმ საბეჭდავებს, რომლებიც ატარებენ სამეფო სახელებს. ფაქტობრივად, სულ რამდენიმე სამეფო საბეჭდავი გადაურჩა დროს. ზოგ შემთხვევაში, საბეჭდავის პატრონი დაჯილდოებული იყო მეფისაგან ამ საბეჭდავით. არის შემთხვევები, როდესაც მფლობელი ახსენებს მეფეს საბეჭდავის წარწერაში, როგორც მისი მსახური.

ამ საბეჭდავების ძირითადი ღირებულება არის ის, რომ ზუსტადაა დადგენილი დრო, რაც მნიშვნელოვანია გარკვეული სტილის დასათარიღებლად.

ურუქის პერიოდის საბეჭდავებზე მამრობითი ფიგურა წარმოადგენს მეფე-ქურუმს. ამ პერიოდის საბეჭდავებს უფრო ადმინისტრაციული ხასიათი აქვს, ვიდრე პირადი (199).

199

ადრედინასტიურ ხანაში იწყება საბეჭდავებზე წარწერების გამოჩენა და საბეჭდავების პატრონების იდენტიფიკაცია. ურის სამეფო სასაფლაოს გათხრებისას ნაპოვნია რამდენიმე წარწერიანი საბეჭდავი, რომელიც მიეკუთვნება II ადრედინასტიურ პერიოდს.

[1] Dominique Collon, first Impressions, no. 6. იხ. 199 – ურუქის ახლოს, ერაყი. მარმარილო; 5,4X4,5 სმ.

დღემდე საკამათოა მათია თუ არა ეს საბეჭდავები. აქ არის სამეფო ტიტულები – „ფუ-აბი“ (200)[1] და „მეს-ქალამ-დუგ“. თუმცა „ფუ-აბი“ საბეჭდავები ასახავს ნადიმის სცენებს, ხოლო „მეს-ქალამ-დუგ“ საბეჭდავები პაექრობის სცენებს. ეს იყო ის ძირითადი თემები, რომლებსაც მეს-ანე-პადა, ურის I დინასტიის დამაარსებელი და მისი ცოლი იყენებდნენ (ძვ.წ.აღ. 2500 წ.წ) (იხ. 42).



200



201

აქ წარმოდგენილი იკონოგრაფია ასოცირდებოდა სამეფო და სასამართლო საბეჭდავებთან აქადის დინასტიის დაცემამდე.

ფრაგმენტული ანაბეჭდი საბეჭდავისა, რომლის სახელწოდებაა „ეანათუმი ლაგაშიდან“ (ძვ.წ.2450) ნაპოვნია ალ-ხიბაში. ხოლო

[1] Dominique Collon, no. 521. იხ. 200 – ური, ერაყი. წარწერა: ფუ-აბი, დედოფალი; ლილაქვა; 4,9X2,5 სმ.

ერთი საუკუნის შემდეგ ლუგალ-ანდა და მისი ცოლი ხმარობდნენ სათუთად ნაკვეთ საბეჭდავებს წარმოდგენილს იმავე თემით, რომელიც შემდეგ თავიდან იყო წარწერილი და გამოყენებული მისი შთამომავლის ურუქაგინას მიერ (201)[1].

აქადური პერიოდიდან ცნობილია სარგონის ქალიშვილის, ენხედუანას, საბეჭდავები. ენ-ხე-დუ-ანა იყო მთვარის ღმერთის უზენაესი ქურუმი ურში. ცნობილია მისი სახელით მრავალი საბეჭდავი (202)[2].

კლასიკური აქადური პაექრობის სცენები ვითარდებოდა ერთი საუკუნის მანძილზე. მომდევნო საბეჭდავები, რომლებიც ატარებს სამეფო სახელს, განეკუთვნება ნარამსინის მეფობის ხანას (204). შემდგომი საბეჭდავები განეკუთვნება აქადური პერიოდის უკანასკნელ დიდ მმართველებს, რაც ჩანს 204-ე ნიმუშზე[3]. მოგვიანებით წარდგენის სცენები გამოჩნდა სასამართლოსა და ოფიციალურ საბეჭდავებზე.



202

[1] Dominique Collon, no. 526. იხ. 201 – თელო (გირსუ), ერაყი. ანაბეჭდი. წარწერა: ლუგალ-ანდა ნუჰუნგა, ლაგაშის პრინცი; 4,3X2,7 სმ. ლუგალანდას მეორე და მესამე საბეჭდავებზეც იგივე პაექრობის სცენა და წარწერაა წარმოდგენილი.

[2] Dominique Collon, no. 908. იხ. 202 – ური (სამეფო სასაფლაო), ერაყი. ფრაგმენტული ანაბეჭდის რეკონსტრუქცია. წარწერა: ენ-ხედუ-ანა, სარგონის ქალიშვილი: ...კიკიდუ. დამწერი.

[3] Collon, no. 528-29; იხ. 203-4. 203 – წარწერა: ნარამ-სინი აქადისა. უქინულმაშ – მისი ვაჟი. სერპენტინი; 3,94X2,73 სმ. 204 – წარწერა: შარ-ქალი-შარი, აქადის მეფე – იბნი-შარუმ, დამწერი, (არის) თქვენი მსახური. შავი ქვა(იასპი?); 4X2,7 სმ.



203



204

205

ახალ სტილს ამკვიდრებს ლაგაშის მმართველი გუდეა (ძვ.წ.აღ. 2141-2122), იხ. 205, ამ სტილის საბოლოო ფორმირება ხდება ურის III დინასტიის მეფეების მიერ (ძვ.წ.აღ. 2112-2004), სადაც წარჩინებულ პირებს წინ უძღვის ქალღმერთი, რომელიც წარადგენს გაღმერთებულ მეფესთან (206; 208, 209). ეს იყო საგანი „ინაბა“ საბეჭდავებისა, რომელიც ამ დინასტიის ბოლო მმართველების დროს იქმნებოდა მაღალი რანგის პირებისათვის. მსგავსი ცილინდრები გადარჩენილია დიალადან (207) და ირანიდან.[1]

[1] Dominique Collon, First Impressions Cylinder Seals in the Ancient Near East, British Museum Press, 1987, no. 531. იხ. 205 – თელო (გირსუ), ერაყი. ანაბე-

206



207



208

ჭდი. წარდგენის სცენა ღვთაება ნინგირსუს წინაშე. წარწერა: გუდეა ლაგაშის მმართველი. no. 532. იხ. 206 – ბაბილონი, ერაყი. წარდგენის სცენა გალმერთებული მეფის წინაშე, წარწერა: ურ-ნამუ, ძლიერი კაცი, ურის მეფე: ჰამ-ჰამერ, იშქუნ-სინის მმართველი, შენი მსახური. დიორიტი; 5,28X3,03 სმ. no. 533. იხ. 208 – წარწერა: იბი-სინი, ურის მეფე, ოთხივე მხარის მეფე: ერადან, დამწერი, არშიამის ვაჟი, შენი მსახურია; ჰემატიტი; 2,65X1,27 სმ. no. 118. იხ. 209 – ჰემატიტი; 2,95X1,5 სმ. no. 500. იხ. 207 – ლილაქვა ოქროს ყულფით; 2,8X1,5 სმ.

209



210



211

ურის III დინასტიის წარდგენის სცენები ასევე გავრცელებული იყო მეზობელ სამეფოებში ლოკალური ვარიანტებით (210-11).[1]

ადრეული II ათასწ. ასურული ცილინდრული საბეჭდავები დაფუძნებულია ურის III დინასტიის წარდგენის სცენებზე (212). სამხრეთ მესოპოტამიაში თაყვანისმცემელს წარადგენს ქალღმერთი, რომელიც უკან დგას, ხოლო უფრო ადრინდელ ნიმუშებზე წინ მიუძღოდა მას. ამ ტიპის საბეჭდავები თავიანთ მფლობელებს იხსე-

[1] Collon, First Impressions.., no. 119. 121. იხ. 210. – მარი, სირია; წარწერა: იდინ-ელ, მარის მეფისნაცვალი, იდი-დაგან, „შაბრა"; ჰემატიტი; 2,75X1,4 სმ. 211 – წარწერა: ან-ზაბაზუნა, ძლიერი მეფე, თიშათალ, დამწერი, შენი მსახური, დიორიტი; 3,25X1,5 სმ.

ნიებენ, როგორც ღვთაების მსახურს. ზოგ შემთხვევაში, საკუთარი სახელია ჩანაცვლებული, თუმცა ტიტული არაა მოცემული. უმეტეს შემთხვევებში, მმართველი გასარკვევია. (213)[1]. ამ დროს ვითარდება ახალი სტილი – დამჯდარ გაღმერთებულ მეფეს ცვლის ფეხზე მდგომი ქალღმერთი, რომელიც წარდგენის სცენის ცენტრშია, საბეჭდავის მფლობელი აღარ ჩანს, მაგრამ მეფე წარმოდგენილია. ამ საბეჭდავების უმეტესობა ჩრდ. მესოპოტამიიდანაა.

212



213

მესოპოტამიური სამეფო საბეჭდავების იკონოგრაფია (კერძოდ კი მეფეების გამოსახვა) გავრცელდა მეზობელ ქვეყნებში. აქადის იმპერიის დაშლის შემდეგ ცალკეულ ქალაქთა მმართველებმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს. შემორჩა მხოლოდ ზოგიერთი მათგანის საბეჭდავები ძირითადად ეშნუნას მმართველებისა დიალადან.[2]

[1] Collon, no. 534-35. იხ. 212 – ასური, ერაყი. ანაბეჭდი. წარწერა: ერიშუმ[I], ასურის მთავარი, ილუშუმას ვაჟი, ასურის მმართველის. 213 – წარდგენის სცენა გაღმერთებული მეფის წინაშე. წარწერა: სინ-იშმეანი, სინ-იდინამის ვაჟი, სუმუ-ლამუთბალას მსახური, ვინც იყო მმართველი, ლილაქვა; 2,48X1,45 სმ.

[2] იხ. ფიგ. VI – შენიშვნა. 22.

ძვ.წ.აღ. XXIII ს-ის II ნახევარში შეიქმნა ცნობილი ნარამსინის სტელა – აქადის მეფე ნარამსინის გამარჯვების აღსანიშნავად ლულუბის ხალხებზე. სარგონის შვილმა თუ შვილიშვილმა თავის სახელს მიუმატა „ღმერთი აქადისა" და, ამის შესაბამისად, თავის სახელს სამეფო წარწერებში წაუმძღვარა ღმერთის ნიშანი, რომელიც იკითხებოდა როგორც „ღმერთი ნარამსინი". სახვით ხელოვნებაში, ამის შესაბამისად, ნარამსინი გამოხატეს ორრქიანი მუზარადით, ღვთაებრივი ინსიგნიით და გოლიათური ტანით მთისკენ მიმავალი, თან გზადაგზა ომის ღმერთივით მტრის გვამების გამთელავი, რაც მხატვრის შთაგონებით იმას მოასწავებს, რომ ნარამსინი გასცდა ადამიანურ საზღვარს.[1]

შემდეგ საუკუნეთა მანძილზე, ნარამსინის სტელის იკონოგრაფია – მეფე ფეხებთან დაცემული მტრებით- უცვლელი დარჩა ზაგროსის მთიანეთში. ამას ეხმიანება 214 საბეჭდავი.[2] ასევე ჩვენს ხელთაა საბეჭდავთა ანაბეჭდები სირიელ მეფეთა და უფლისწულთა გამოსახულებებით, კერძოდ ჰანადან და ქარგამიშიდან[3] (215-17; იხ. 140).

თუბადანაა 219 ნიმუში, ხოლო 218 ებლადან. [4].

[1] კიკნაძე ზ., შუამდინარული მითოლოგია, თბილისი, 2006, გვ. 40.

[2] Collon, First Impressions.., no. 540. იხ. 214 – წარწერაში ნახსენებია ტიტული Zardamu, ჰარბარის მეფე ზაგროსიდან. ლილაქვა; 3,05X1,85 სმ.

[3] იხ. 148-9; შენიშვნა. 183. იხ. 182-3; შენიშვნა: 212-13. Collon, First Impressions.., no. 539. იხ. 215 – აქემჰუიუქი, თურქეთი. ბულას გამოსახულება, რომელიც ატარებს სახელს აფლახანდა ქარგამიშიდან; დიზაინი შემოტრიალებულია. no. 541. იხ. 216 – შიშველი ქალღმერთი შესცქერის ამინდის ღვთაებას, რომელსაც პატიმარი უჭირავს თმებით. წარწერა დაწერილია აფლახანდას – ქარგამიშის მეფის მსახურის სახელით. ჰემატიტი; 2,2X1,3 სმ. no. 188. იხ. 217 – აქემჰუიქი, თურქეთი. ანაბეჭდი – ბულა. წარწერა: მეფე აფლახანდა, ქარგამიშის მეფე.

[4] Collon, first Impressions.., no. 543. იხ. 219 – ქალღმერთი და მეფე ეგვიპტიზირებული იკონოგრაფიით შესცქერიან სირიულ ღვთაებას. წარწერა: ადადი, რომელმაც დამიფარა მე, სინი, რომელსაც მოსწონს ჩემი მეფობა, სუმირაფა, ...ლიმის ვაჟი, თუბას მეფე, იშთარის მიერ შეყვარებული, საბეჭდავთა საბეჭდავი. გასწორებული ანაბეჭდი. no. 545. იხ. 218 ანაბეჭდი. წარწერა: ებლას მეფის ვაჟის სახელით. სირიული ქალღმერთი ამინდის ღვთაების წინაშე და ფრთოსანი დისკო. გამონაკლისია ზომით: 7,9X2,5 სმ.



214

მეფე ნარამსინის გამარჯვების სტელა,[1] სუზა, ლუვრი.

[1] ნარამსინის სტელა – სტელა შექმნილია აქადის დინასტიის მეფის ნარამსინის მიერ (ძვ. წ. 2254-2218) ლულუბელებზე (ზაგროსის მთიანეთში) გამარჯვების აღსანიშნავად. სტელაზე ვხედავთ ნარამ-სინს, რომელსაც მუზარადი ახურავს მელამით. გარშემო დაჭრილი და დახოცილი ლულუბელებია. აქადელი ჯარისკაცები შუბებით მთის წვერისკენ მიემართებიან. სტელის სიმაღლე – 2 მ. დაცულია პარიზში, ლუვრში. Collon Dominique, Ancient Near Eastern Art, Brtish Museum Press, 1997, p. 75.



215



216



217



218



219

განხილული ნიმუშები დაფუძნებულია მესოპოტამიურ იკონოგრაფიაზე მეფის გამოსახულებით. ის შესცქერის ღვთაებას, მაგრამ ორი ფიგურიდან ერთ-ერთი წარმოდგენილია ადგილობრივი კაბის სტილით, ხოლო მეორე ქალღმერთი ჩართულია. მსგავსი იკონოგრაფია მფლობელის მიერ დამატებული ფიგურით თავს იჩენს ხამურაბის დროინდელ სირიულ საბეჭდავებზეც.

ღვთაებათა საბეჭდავები

ამ შემთხვევაში უნდა განვიხილოთ საბეჭდავთა ორი სრულიად განსხვავებული ტიპი: ღვთაებათა კუთვნილი პერსონალური ცილინდრები და ღვთაებათათვის აღთქმული საბეჭდავები მათი თაყვანისმცემლების მიერ.

პირველი ტიპისთვის დამახასიათებელი ძალინ ცოტა ნიმუშია. ძვ.წ.აღ. VII საუკუნეში ასურეთის მეფე ასარხადონი დებს ხელშეკრულებას ასურეთსა და ბაბილონს შორის, რათა უზრუნველყოს მისი შვილის მემკვიდრეობა. ეს ხელშეკრულება გადაწერილია უზარმაზარ ფირფიტებზე და გადატარებულია სხვადასხვა თარიღის სამი საბეჭდავით (220-22).[1] ბოლოდროინდელი გამოკვლევები ცხადყოფენ, რომ საბეჭდავი ეკუთვნის ღვთაება აშურს და ინახებოდა არა ტაძარში, არამედ ქ. აშურის ძირითად ადმინისტრაციულ ცენტრში, ხოლო მისი დანართი მოთავსებული იყო ნიმრუდის ნაბუს ტაძარში. სავარაუდოდ, შემდეგ გადაიტანეს ნინევიაში.

გათხრების დროს აღმოჩნდა შენობებზე დაწერილი სახელმწიფო დოკუმენტები, რომლებიც დაბეჭდილი და დაცულია. ასეთი შემთხვევებისათვის იხმარებოდა ძალიან ძვირფასი საბეჭდავები ძირითადად ლილაქვისაგან დამზადებული ყულფზე ოქროს ორნამენტებით.

---

[1] Dominique Collon, first Impressions Cylinder Seals in the Ancient Near East, British Museum Press, 1993. no. 559. იხ. 220 – ნიმრუდი, ერაყი. ერთ-ერთი ხელშეკრულება ასარხადონის, ასურეთის მეფის (ძვ. წ. 680-669). დაბეჭდილია ღვთაება ასურის საბეჭდავებით (45, 8X30 სმ). 220 გადატრიალებულია 221 შორის მარჯვნიდან და 222 მარცხნიდან. აქ მთხოვნელი ქალღმერთი და მეფე შესცქერიან წარწერას. ქალაქის საკრებულოს წარწერა. no. 560. იხ. 221 – დაჩოქილი წარუდგენს მეფეს დაბალი რანგის ღვთაება ადადს. no. 561. იხ. 222 – ასურეთის მეფე სინახერიბი (ძვ.წ.აღ. 704-61) დგას ღმერთსა და მის მეუღლე მულისუს შორის. ვრცელი წარწერა-წყევლა და მაგიური ფორმულა – ვინც ხელყოფს სინახერიბის და აშურის შექმნილს.

223 საბეჭდავის წარწერა მთლიანად გადაშლილია.[1] ასეთივეა ორი ლილაქვის საბეჭდავი ნაპოვნი ბაბილონში. მათი დიზაინი რელიეფზეა, ხოლო წარწერა ამოკვეთილია წასაკითხად და არა დასაბეჭდად. ეს არის ღვთაება მარდუქის წარდგენის სცენა (225) და ძვ.წ.აღ. IX ს-ის ბაბილონის მეფის მარდუქ-ზაქირშუმ I-ის ვრცელი მიძღვნა. მეორე (იხ.224) საბეჭდავი ეკუთვნის ღვთაება ადადს. ქვედა ნაწილი იგივეა, რაც წინა საბეჭდავის, მაგრამ უფრო დიდია და დამზადებულია დიორიტისგან.[2] აქ წარმოდგენილია ღვთაება ადადი (დაცულია ლუვრში).

აღთქმული საბეჭდავები, უმეტესად, ლილაქვისგანაა დამზადებული. ისინი მესოპოტამიური წარმოშობისაა და ნაპოვნია აქემენიდების განძში პერსეპოლისში. ეს საბეჭდავები ეძღვნებოდა ღვთაებას და ძირითადად შესრულებული იყო აღმთქმელის ცხოვრებაში. ხშირად ეს პიროვნება მეფეა. მცირე ნაწილი ნაპოვნია აქადურ ხანაში და მოიხსენიება ხოლმე ტაძრის ინვენტარში. ძვ.წ.აღ. III ათასწლეულის ნიმუშები ძირითადად ეძღვნება მესლამ-თა-ეას – ლაგაშის ღმერთს (226-27).[3]

საბეჭდავები, რომლებიც ეძღვნება იშთარს, შამაშს, ნერგალს და სხვა სამხრეთ შუამდინარული ღვთაებების სახელებს (იხ. ძველბაბილონური პერიოდის ღვთაებები), ატარებენ ღვთაების სახელს და მეტს არაფერს, ხოლო კასიტურ ღვთაებათა საბეჭდავები შეიცავს ლოცვას და მაგიურ ფორმულას. ესენი პერსონალური საბეჭდავებია ღვთაებათა მფარველობის ქვეშ და არა სპეციფიკური აღთქმული საბეჭდავები.

---

[1] Dominique Collon, no. 562. იხ. 223 – ლილაქვა; 6,85X2,5 სმ.

[2] Dominique Collon, no. 785. იხ. 225 – ბაბილონი, ერაყი. ცილინდრის დიზაინის დეტალი; ვრცელი მიძღვნა ძვ. წ. IX ს-ის მეფის-მარდუქ-ზაქირ-შუმ I-ის. მოგვითხრობს, რომ საბეჭდავი ოქროსი იყო, ღვთაების ყელსაბამად გამიზნული. ლილაქვა; 19X3,5 სმ. no. 563. იხ. 224 – ღვთაება ადადის საბეჭდავი; ლილაქვა; 12,5X3,2 სმ.

[3] Dominique Collon, First Impressions Cylinder Seals in the Ancient Near East, British Museum Press, 1987, no. 566-67. იხ. 226. წარწერა ეკუთვნის ღვთაება მესლამთა-ეას, ლაგაშის მეფეს. ურ-ამანა, ქვის მჭრელი, ურ-გიგირას ვაჟი (ვინც დაამზადა ეს საბეჭდავი). მთის ბროლი; 3,75X2,85 სმ. იხ. 227- მთხოვნელი ქალღმერთი და თაყვანისმცემელი შესცქერიან მესლამთა-ეას; კირქვა; 5,35X3,35 სმ.



222 220 221



220

221

222



223

224



225



226



227

ლიტერატურა

კიკნაძე ზ., გილგამეშის ეპოსი, თბილისი, 1963.

კიკნაძე ზ., შუამდინარული მითოლოგია, თბილისი, 1979.

კიკნაძე ზ., შუამდინარული მითოლოგია, თბილისი, 2006.

კიკნაძე ზ., შუამდინარული მითოლოგიის ლექსიკონი, თბილისი, 1984.

კიკნაძე ზ., თამუზის სიზმარი, ძველი შუამდინარული პოეზია, თბილისი, 1969.

სამსონია ნ., ურუქის და ჯემდეთ-ნასრის პერიოდის ცილინდრული საბეჭდავების იკონოგრაფიის ჩამოყალიბება, აღმოსავლეთმცოდნეობა, 2004.

სამსონია ნ., აქადური პერიოდის გლიპტიკა, აღმოსავლეთი და კავკასია, 2007.

Amiet Pierre, Glyptique Susienne, Arts Asiatiques XXVI, 1973.

Amiet Pierre, La Glyptique Transélamite, De Chypre à la Bactriane, les sceaux du Proche-Orient ancien, la documentation Francaise, Paris, 1997.

Amiet Pierre, La Glyptique Mesopotamienne Archaique, Paris, 1980.

Amiet Pierre, The Mythologicl Repertory in Cylinder Seals of the Agade Period, Ancient Art in Seals, Princeton, New Jersey, 1980.

Amiet Pierre, Sceaux-Cylindres En Hématite Et Pierres Diverses, Paris, 1992.

Amiet Pierre, La Glyptique Transélamite, De Chypre à la Bactriane, les sceaux du Proche-Orient ancien, la documentation Francaise, Paris, 1997.

Amiet Pierre, Tell el Far'ah Histoire, Glyptique et Céramologie, Göttingen, 1974.

Amar Annus, Epic of Anzu, University Of Helsinki, 2001.

Assante Julia, Sex, Magic and the Liminal body in the erotic art and texts of the old Babylonian period, Sex and Gender in the Ancient Near East, Helsinki, 2002.

Asher-Greve M. Julia, Observations on the Historical Relevance of Vi-

sual Imagery in Mesopotamia, Histoire et Conscience Historique dans Les Civilisations Du Proche-Orient Ancien, b-3000 Leuven.

Aruz Joan, Seal Imagery and Sealing Practices in the Early Aegean World, Archives before Writing, Torino, 1994.

Beyer Domonique, Émar et Ougarit: réflexions sur la glyptique de deux villes Syrie du Nord vers la fin de l'âge du bronze, De Chypre à la Bactriane, les sceaux du Proche-Orient ancien, la documentation Francaise, Paris, 1997.

Biblical Period Personal Seals in the Shlomo Moussaieff Collection, Tel Aviv, Israel, 2000.

Black J. and Green A., Gods, Demons and Symbols of Ancient Mesopotamia (An illustrated Dictionary), British Museum Press, 1992.

Boehmer R. M., Die Entwicklung der Glyptik wahrend der Akkad-Zeit (Unter-suchungen zur Assyriologie und vordersiatischen Archaologie, v. 4, Berlin, 1965.

Boehmer R. M., "Zur Glyptik zwischen Mesilim und Akkad-zeit (Early Dynastic III)" ZA ,1969.

Bordreuil Pierre, Le Répertoire Iconographique Des sceaux Araméens Inscrits et Son Évolution, Studies in the Iconography of Northwest Semitic Inscribed Seals, Fribourg, 1991.

Bottero J., Religion in Ancient Mesopotamia, The University of Chicago press, Chicago and London,1990.

Buchanan Briggs (edited by P. R. S. Moorey), Catalogue of Ancient Near Eastern Seals in the Ashmolean Museum, volume II, Oxford at the Clarendon press, 1984.

Buchanan Briggs and Moorey P. R. S., Catalogue of Ancient Near Eastern Seals in the Ashmolean Museum, volume III, Oxford at the Clarendon press, 1988.

Collon Domonique, Insight Through Images, , The Green Jasper Cylinder Seal Workshop; Undena Publicatins, Malibu, 1986.

Collon Dominique, First Impressions Cylinder Seals in the Ancient Near East, British Museum Press, 1987.

Collon Dominique, Ancient Near Eastern Art, Brtish Museum Press, 1997.

Collon Dominique, Moon, Boats and Battle, Sumerian Gods And Their

Representations, STYX Publications Groningen, 1997.

Collon Dominique, Seals Naming Aplahanda Of Carghemish, Languages And Cultures In Contact, edited by K. Van Lerberghe And G. Voet, Leuven.

Collon Dominique, How Seals Were Worn and Carried: The Archaeological and Iconographic Evidence, Sumerian Gods And Their Representations, STYX Publications Groningen, 1997.

Collon Dominique, Cylinder Seals V, Neo-Assirian and Neo-Babylonian Periods, The British Museum Press, 2001.

Collon Dominique, Sceaux et commerce La Mésopotamie au centre du réseau, De Chypre à la Bactriane, les sceaux du Proche-Orient ancien, la documentation Francaise, Paris, 1997.

Collon Dominique, The Seal Impressions rom Tell Atchana/Alalakh, 1975.

Collon Dominique, Nimrod, The Mighty Hunter, And His Descendants: Contest Scenes on Cylinder Seals, Seals and Sealing in the Ancient Near East, Bibliotheca Mesopotamica, Volume Six, Malibu, 1977.

Cornelius Izak, The Iconography of the Canaanite Gods Reshef and Ba'al, Orbis Biblicus et Orientalis.

Cooper S. Jerrold, Gendere Sexuality in Sumerian Love Poetry, Sumerian Gods and Their Representations, STYX, Groningen, 1997.

Cooper S. Jerrold, Epics of Sumerian Kings, Society of Biblical Literature, Atlanta.

Dolce Rita, Insight Through Images, Some Remarks about a Distinctive group of Kassite Glyptic Art; Undena Publicatins, Malibu, 1986.

Edzard D. O., "Die Inschriften der altakkadischen Rollsiegel", AOF XXII, 1968-69.

Edzard Dietz Otto, Sumerian Grammar, Leiden-Boston, 2003.

Franke A. Judith, Presentation of the Ur III/Isin-Larsa Period, Seals and Sealing in the Ancient Near East, edited by Joan Goodnick Westenholz, Bible Lands Museum, Jerusalem, 1993.

Frankfort H., "The New Contribution of the First Early Dynastic Period: the Brocade Style", Cylinder Seals.

Frankfort H., Stratified Cylinder Seals from the Diala region. Oip LXXII.

Chicago, 1955, abreviation:scs.

Frankfort H., Cylinder Seals: A Documentary Essay on the Art and Religion of yhe Ancient Near East, London, 1939.

Gelb I. J., Typology of Mesopotamian Seal Inscriptions, Seals and Sealing in the Ancient Near East, edited by Joan Goodnick Westenholz, Bible Lands Museum, Jerusalem, 1993.

Geller M. J., Mesopotamian love magic: discourse or inercourse? Sex and Gender in the Ancient Near East, Helsinki, 2002.

Gibson Mcguire and Biggs Robert D., Seals and Sealing in the Ancient Near East, volume VI, Malibu, 1977, p. 16-26.

Gudrun Colbow, Priestesses, either married or unmarried, and spouses without title: their seal use and their seals in sippar at the beginning of the second millenium B.C., Sex and Gender in the Ancient Near East, Helsinki, 2002.

Golbow Gudrun, More Insights into Representations of the Moon God in the Third and Second Millennium B. C., Sumerian Gods and Their Representations, STYX, Groningen, 1997.

George A. R., How Women Weep? Reflections on a Passage of Bilgames and the bull of Heaven, Sex and Gender in the Ancient Near East, Helsinki, 2002.

Green Anthony, Ancient Mesopotamian Religious Iconography, Jack m. Sasson, Civilizations of the Ancient Near East, volume III, p. 1837-1855.

Green Anthony, Myths in Mesopotamian Art, Sumerian Gods and Their Representations, STYX, Groningen, 1997.

Gubel Eric, The Iconography of Inscribed Phoenician Glyptic, Studies in the Iconography of Northwest Semitic Inscribed Seals, Fribourg, 1991.

Hallo W. William, Seals Lost and Found, Seals and Sealing in the Ancient Near East, edited by Joan Goodnick Westenholz, Bible Lands Museum, Jerusalem, 1993.

Hallock T. Richard, The Use of Seals on the Persepolis Fortification Tablets, Seals and Sealing in the Ancient Near East, edited by Joan Goodnick Westenholz, Bible Lands Museum, Jerusalem, 1993.

Hamilton R. W., "A Sumerian Cylinder Seal", Iraq 29(1967), p. 34-41.

Harry A. Hoffner, Jr. Eisenbrauns, Resent Developments in Hittite Archaelogy and History, Edited by K. Aslihan Yener And, Winona Lake, Indiana, 2002.

Johnson H. Janet, Private Name Seals of the Middle Kingdom, Seals and Sealing in the Ancient Near East, edited by Joan Goodnick Westenholz, Bible Lands Museum, Jerusalem, 1993.

Inanna - Lady of largest heart-poems of the Sumerian high priestess Enheduanna, Foreword by Betty De Shong Meador, University of Texas Press, Austin.

Kramer Samuel Noah, Inanna Queen of Heaven And Earth. New York, Cambridge, Philadelphia, San Francisco, London, Mexico City, Sao Paulo, Sydney.

Kramer Samuel Noah, Enmerkar and the Lord of Aratta [Philadelphia, 1952].

Khorsabad, Le Palais de Sargon II, Roi D'Assyrie, Louvre, 1994.

Lambert W. G., Sumerian Gods: Combiniig the Evidence of Texs and Art, Sumerian Gods and Their Representations, STYX, Groningen, 1997.

Lambert W. G., Myth and Mythmaking in Sumer and Akkad, Jack m. Sasson, Civilizations of the Ancient Near East, volume III, p. 1825-1833.

Lamia al-Gailani Werr, Studies in the Chronology and Regional Style of Old Babilonian Cylinder Seals, Malibu, 1988.

Loon M van, Insight Through Images, The Drooping Lotus Flower; Undena Publicatins, Malibu, 1986.

Madhloom T. A., The Chronology of Neo-Assyrian Art, University Of London, 1970.

Matthews M., Donald, Early dynastic glyptic in Syria, De Chypre à la Bactriane, les sceaux du Proche-Orient ancien, la documentation Francaise, Paris, 1997.

Mogens Trolle Larsen, Seal Use in the Old Assyrian Period, edited by Joan Goodnick Westenholz, Bible Lands Museum, Jerusalem, 1993.

Moller Eva, Ancient Near Eastern Seals in a Danish Collection, University of Copenhagen, 1992.

Moorey P. R. S, Ancient Mesopotamian Materials and Industries, Indiana, 1999.

Moortgat Anton, Tammuz: Der Unterchkeitsglaube in der altorientalischen Bildkunst, Berlin, 1949.

Natural Phenomena, Their Meaning, Depiction and Description in the Ancient Near East, Edited by Diederik J.W. Meijer, North-Holland, Amsterdam/Oxford/New York/Tokyo, 1992.

Nijhowne Jeanne, Politics, religion, and Cylinder Seals:A Study of Mesopotamian Symbolism in the Second Millennium B.C, BAR International Series 772, 1999.

Nunn Astrid, Stamp Seals From the Collections of the Aleppo Museum, Syrian Arab Republic, BAR International Series 804, 1999.

Nissen J. Hans, Insight Through Images, Sumerian " vs " Akkadian" Art, Undena Publications, Malibu, 1986.

Oppenheim A. L., "Assyriology – Why and How?" Current Anthropology 1 (1965).

Oppenheim A. L., Mesopotamia, Portrait of a Dead Civilization, Chicago, 1964.

Oates Joan, Babilon, T and H, 1995.

Parvine H. Merrillees, Ancient Near Eastern Glyptic in the National Gallery of Victoria, Melbourne, Australia, 2001.

Peltenburg Edgar, From Jerablus Susa notes on cylinder seal impressions with quadruple spirals, De Chypre à la Bactriane, les sceaux du Proche-Orient ancien, la documentation Francaise, Paris, 1997.

Pinnock. F., Insight Through Images, The Lapis Lazuli Trade in the Third Millenium B. C. Undena Publicatins, Malibu, 1986.

Pittman Holly, Cylinder Seals and Scarabs in the Ancient Near East , Jack m. Sasson, Civilizations of the Ancient Near East, volume III, p.1589-1601.

Pittman Holly, Ancient Art In Miniature: Near Easern Seals from the Collection of Martin and Sarah Cherkavsky, The Metropolitan Museum of Art, New York.

Pittman Holly, Towards an Understanding of the Role of Glyptic Imagery in the Administrative Systems of Proto-Literate Greater Mesopotamia, Archives before writing, Torino, 1994.

Pittman Holly, Towards an Understanding of the Role of Glyptic Imagery in the Administrative Systems of Proto-Literate Greater Mesopotamia, Archives before writing, Torino, 1994.

Porada Edith, The Collection of the Pierpont Morgan Library. Corpus of Ancient Near-Eastern Seals in North American Collectiins, volume I, Washington, 1948.

Porada Edith, Mesopotamian Art in Cylinder Seals of the Pierport Morgan Library, New York, 1947.

Porada Edith, Ancient Art in Seals, Princeton, New Jersey, 1980.

Porada Edith, "Chronologies in Old World Archaeology," AJA 72 (1968).

Porada Edith, The Iconography of Death in Mesopotamia in the Early Second Millenium B.C, Death in Mesopotamia, Copenhagen,1980.

Porada Edith, Of Professional Seal Cutters and Nonprofessionally Made Seals, Seals and Sealing in the Ancient Near East, Bibliotheca Mesopotamica, Volume Six, Malibu, 1977.

Postgate J. N., Early Mesopotamia, Society and Economy at the Dawn of History, London and New York, 1992.

Postgate J. N., Languages Of Iraq – Ancient and Modern. British School of Archaeology in Iraq, 2007.

Postgate J. N., Text and Figure in Mesopotamia, The Ancient Mind, Elements of Cognitive Archaeology,Cambridge University Press, 1994.

Renger J., Legal Aspects of Sealing in Ancient Mesopotamia, Seals and Sealing in the Ancient Near East, edited by Joan Goodnick Westenholz, Bible Lands Museum Jerusalem, 1993.

Roger J., Matthews, Cities, Seals And Writing: Archaic Seal Impressions from Jemdet Nasr And Ur, Berlin.

Sass Benjamin, The Pre-Exilic Hebrew Seals: Iconism Vs. Aniconism, Studies in the Iconography of Northwest Semitic Inscribed Seals, Fribourg, 1991.

Stein Diana, The Seal Impressions, Wiesbaden, 1993.

Stein L. Dianna, Common Mitannian and pseudo-Kassite: a question of quality and class, De Chypre à la Bactriane, les sceaux du Proche-Orient ancien, la documentation Francaise, Paris, 1997.

Steinkeller Piotr, Seal Practice in the Ur III Period, Seals and Sealing in the Ancient Near East, edited by Joan Goodnick Westenholz, Bible Lands Museum, Jerusalem, 1993.

Shua Amorai-Stark, Wolfe Family Collection of Near Eastern Prehistoric Stamp Seals, Fribourg, 1997.

Tallay Ornan, The Mesopotamian Influence on West Semitic Inscribed Seals: A Preference for The Depiction of Mortals, Studies in the Iconography of North-west Semitic Inscribed Seals.

Taylor Paul, The Iconography of Cylinder Seals, London-Turin, 2006.

Teisser Beatrice, Egyptian Iconography on Syro-Palestinian Cylinder Seals of the Middle Bronze Age, Göttingen.

Vincentelli Irene, Clay Sealings from Jebel Barkal in Sudan: Survival of An Ancient System, Archives before Writing, Torino, 1994.

Whiting M., Robert, Sealing Practices on House and Land Sale Documents at Eshnunna in the Isin-Larsa Period, Seals and Sealing in the Ancient Near East, edited by Joan Goodnick Westenholz, Bible Lands Museum, Jerusalem, 1993.

Williams Bruse, Aspects of Sealing and Glyptic in Egypt Before the New Kingdom, Seals and Sealing in the Ancient Near East, edited by Joan Goodnick Westenholz, Bible Lands Museum, Jerusalem, 1993.

William I. Rathje, New Tricks for Old Seals: A Progress Report, Seals and Sealing in the Ancient Near East, Bibliotheca Mesopotamica, Volume Six, Malibu, 1977.

Westenholz Goodnick Joan, Nanaya: Lady of Mystery, Sumerian Gods and Their Representations, STYX, Groningen, 1997.

Wiggermann F. A. M., Transtigridian Snake Gods, Sumerian Gods and Their Representations, STYX, Groningen, 1997.

Wiggerman F. A. M., Mesopotamian Protective Spirits - the Ritual Texts, Groningen, 1992.

Wiliams forte Elizabeth, Ancient Near Eastern Seals, A Selection of Stam and Cylinder Seals from the Collection of Mrs. William H. Moore, Metropolitan Museum of Art, New York, 1976.

William W. Hallo and Irene J. Winter, Seals and Seal Impressions, Maryland.

William W. Hallo, Love and Marriage in Ashtata, Sex and Gender in the Ancient Near East, Helsinki, 2002.

Winter I., The King and the Cup; Undena Publications, Insight Through Images, studies in honor of Edith Porada, Malibu, 1986.

Uehlinger Christoph, Images as Media, Sources for the Cultural History of the Near East and the Eastern Meditarranean, 57. Historiography in the Cuneiform World, Mariland, 2002.

Uenlinger Christoph, Northwest Semitic Inscribed Seals, Iconography And Syro-Palstinian Religions Of Iron Age II; Studies in the Iconography of Northwest Semitic Inscribed Seals, Fribourg, 1991.

Zettler L. Richard, The Sargonic Royal Seal: A Consideration of Sealing in Mesopotamia, Seals and Sealing in the Ancient Near East, edited by Joan Goodnick Westenholz, Bible Lands Museum Jerusalem, 1993.

გამომცემლობის რედაქტორი მარინე გიორგობიანი

გარეკანი და
კომპიუტერული უზრუნველყოფა ნინო ვაჩეიშვილი

0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14

0128, Tbilisi, 14, I. Chavchavadze Av.

www.press.tsu.ge (25-14-32)